

ძალადობის დასასრული - ერაყის „ეროვნული შერიგების“ გეგმა

A2



პრესომბუდსმენი

A3



ნუ გავყვებით მშვიდად ქარავანს!

A8


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 26 ივნისი, 2006 წელი. №140 (1292)

ფასი 50 თეთრი


24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

**www.24saati.ge**


"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი



C2

## ამბები

„რუსეთი „დიდ რვიანამდე" ვერ გაიზარდა"

A2

## სამართალი

სასამართლომ ფინანსური მაქინაცია უარყო

A4

"საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი საკონტროლო სალარო აპარატების სახელმწიფო რეესტრში" დამატებით შეტანილია ფისკალური პრინტერის საკონტროლო სალარო აპარატების შემდეგი მოდელები:

**"SLP-01F", "კასბი-02ფ" და "მერკური-180ფ"**

(საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 2 მაისის №610-ს და 7 ივნისის №887-ს ბრძანებები).

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი**

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 26/06 | 27/06 |
|---|---|---|
| თბილისი | 37 | 36 |
| ბათუმი | 32 | 30 |
| სოხუმი | 32 | 32 |
| ქუთაისი | 36 | 35 |
| გორი | 32 | 32 |
| ონი | 28 | 27 |
| ზუგდიდი | 36 | 35 |
| ახმეტა | 36 | 35 |
| სამტრედია | 36 | 36 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7750 |
| ევრო | 2.2299 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2427 |
| რუბლი | 0.0656 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| საზოგადოება | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| რევიუ | A 8 |


# კრემლის პოლიტიკის სარკე

*რუსულ მედიაში მოულოდნელად საქართველოსადმი ნოსტალგიური მოტივი გაჩნდა. უფრო სწორად, ერთი რეპორტაჟი საქართველოს შესახებ, რომელიც, საერთო ტენდენციისგან განსხვავებით, არ შეიცავდა ცალსახად ნეგატიურ კონტექსტს.*

დიმიტრი ავალიანი

საუბარია გაზეთ „იზვესტიაში" გამოქვეყნებულ ელენა იამპოლსკაიას რეპორტაჟზე სათაურით „Вина Грузии".

რუსი მკითხველისთვის ეს სათაური ორგვარად ჟღერს - როგორც „საქართველოს ღვინოები" და როგორც „საქართველოს დანაშაული".

რა იყო საინტერესო ამ პუბლიკაციაში? სტატიაში დარღვეულია რუსული ოფიციალური პროპაგანდისთვის (რომელსაც მათ შორის გაზეთი „იზვესტიაც" ემსახურება) აქამდე დამახასიათებელი რამდენიმე ფუძემდებლური პრინციპი.

პირველ რიგში ის, რომ სახელმწიფოს დაქვემდებარებულ რუსულ მედიაში აკრძალულია რაიმე პოზიტიური მოვლენის გაშუქება „რევოლუციურ" ქვეყნებში - საქართველოსა და უკრაინაში. შუქდება მხოლოდ ნეგატივი, ისიც გაზვიადებულად. რუსეთის საზოგადოებას მხოლოდ ის უნდა სცოდნოდა, რომ რევოლუციების შემდეგ ამ ქვეყნებში კატასტროფული სიტუაცია შეიქმნა. ეს გასაგებიცაა - რუსეთის ხელისუფლებას არანაირად არ აძლევს ხელს „ფერადი რევოლუციების" პოპულარიზაცია საკუთარ ქვეყანაში.

ხსენებულ სტატიაში კი ავტორი ბედავს იმის აღნიშვნას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მოაგვარა ელექტროენერგიის პრობლემა. რომ შენდება გზები და ახალი საცხოვრებელი სახლები. „ასეთი რამ მოსკოვშიც კი არ არსებობს," - წამოსცდა" ავტორს განახლებული რუსთაველის თეატრის აღწერისას.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ეკონომიკა, პიარი და რეალიზმი

B

გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ ჩინეთი ეკონომიკური ზრდის დასამუხრუჭებლად დამატებითი ზომების მიღებას აპირებს. ამის შესახებ განცხადება ქვეყნის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობამ გააკეთა: საჭიროა ზომების მიღება, რათა შეიზღუდოს კრედიტების გაცემა და ინვესტირება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიოს ყველაზე სწრაფად მზარდ ეკონომიკას "გადახურება" ელის. გადახურებაში, უპირველესად, ინფლაცია იგულისხმება, რომლის საფრთხე მუდამ ახლავს ხოლმე სწრაფ ეკონომიკურ ზრდას.



# ქართულ-ინგლისური ვექტორის დამთხვევა

„სწავლა სიბერემდე..." - ეს პოსტულატი ყველა დარგის კვალიფიციური სპეციალისტის, მით უფრო - ექიმის პროფესიული ღირსების პრინციპია. უწყვეტი განათლების სისტემის არსებობის აუცილებლობა ერთნიშნადაა აღიარებული ამერიკელი და ევროპელი მედიკოსების მიერ. ამის არგუმენტად, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების მუდმივი განვითარების აუცილებლობა მოიაზრება.

წელს, 17-19 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს (თსსუ) სტუმრობდა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ღია უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების ცენტრის დირექტორი, პროფესორი ჯენეტ გრანტი. იგი სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტია საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სფეროში. იგი საქართველოს ეწვია ერთწლიანი საქმიანი მიმოწერისა და მოლაპარაკებების შედეგად.

გაგრძელება A2 გვერდზე



# ახალი ნარკოპოლიტიკა საქართველოში

### ვინ არის ნარკომანი - კრიმინალი თუ ავადმყოფი?

ეკა ჯანაშია

ნარკოტიკების არალეგალური ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლები ასეულ მილიარდობით დოლარს აჭარბებს. სტატისტიკური მონაცემებით, განვითარებული ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოები ნარკომაფიის მთავარ პარტნიორებად რჩებიან. საყოველთაოდ ცნობილი კანონზომიერებაა - თუ არსებობს მოთხოვნა, აუცილებლად გაჩნდება პროდუქტი. ამ კანონზომიერებას ვერ შეცვლის ვერანაირი აკრძალვები და რეპრესიები. ამ რეალობის გათვალისწინებით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ შექმნა პოლიტიკა, რომელიც ნარკომანების რეაბილიტაციაზე და ნარკომანიისგან მიღებული ზიანის შემცირებაზეა ორიენტირებული. ეს პოლიტიკა თავის თავში უამრავ პროგრამას მოცავს - დაწყებული ბავშვების ანტინარკოტიკული განათლებით, დასრულებული ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებებით. მსოფლიომ ნარკომანი ავადმყოფად აღიარა. ევროსაბჭომ თავის წევრ ქვეყნებს რეკომენდაცია მისცა, ნარკოპოლიტიკა ადამიანის უფლებების გათვალისწინებით შეიმუშაოს.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოში ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი 250 ათასიდან 300 ათასამდე მერყეობს, ხოლო ნარკოტიკების ინტენსიურ მომხმარებელთა - 50.000-დან 70.000-მდე. გამოდის, რომ საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის 10 პროცენტი ნარკოტიკების მომხმარებელია.

საქართველოში ნარკოტიკები და კრიმინალი ყოველთვის გაიგივებული იყო. ქვეყანაში ამ პრობლემისადმი ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულებაა. ეს წინააღმდეგობა საკანონმდებლო დონეზეა გამოხატული - ნარკოლოგიური დახმარების შესახებ კანონი ნარკომანს ავადმყოფად აღიარებს; სისხლის სამართლის კოდექსი კი, ნარკოტიკების მრავალჯერადი მოხმარების გამო, ადამიანს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას აკისრებს.

გაგრძელება A5 გვერდზე

# თავმჯდომარეობა, თავმჯდომარეობის სანაცვლოდ

### კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის სამიტი მინსკში

რუსეთმა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის კოლექტიური უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციები ბელარუსს გადააბარა. სანაცვლოდ კი, ლუკაშენკომ პუტინს ევრაზიის ეკონომიკური თანამეგობრობის თავმჯდომარეობა დაუთმო.

პუტინისა და ლუკაშენკოს გარდა მინსკში, კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაციის სესიაზე და ევრაზიული ეკონომიკური თანამეგობრობის სხდომაზე დასასწრებად სომხეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის და უზბეკეთის პრეზიდენტები ჩავიდნენ.

რუსული პრესა წერს, რომ პუტინისა და ლუკაშენკოს ურთიერთობა მინსკში საბოლოოდ გაფუჭდა.

**„ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა,** - წერს გაზეთი „კომერსანტი", **- რომ სხდომის შემდეგ პუტინი საბოლოოდ განიხიბლა სამიტის მასპინძლით - ალექსანდრ ლუკაშენკოთი."**

სხდომის შემდეგ, რომელიც ჟურნალისტებისთვის დახურული იყო, ლუკაშენკომ განაცხადა, რომ „ევრაზეს"-ის სამიტის დღის წესრიგში შეტანილ ყველა საკითხზე მოლაპარაკება მოხერხდა.

„კომერსანტის" კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ პრეზიდენტებმა ერთ დოკუმენტზე შეთანხმება ვერ მოახერხეს. „ევრაზიული ეკონომიკური თანამეგობრობის საერთაშორისო მოქმედების კონცეფციის" პროექტზე ხელის მოსაწერად მზად იყო ლუკაშენკო, მაგრამ პუტინი არა.

„რა არ მოეწონა პუტინს დოკუმენტში?" - კითხვას სვამს გაზეთი. აქვეა პასუხი: „ერთი პუნქტი ამ დოკუმენტისა ასეთია: აუცილებელია **„ევრაზეს"-ის წევრი ქვეყნების ინტერესების უზრუნველყოფა მათი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემთხვევაში (საბაჟო კავშირის შექმნის პერსპექტივის გათვალისწინებით); და დოკუმენტის კიდევ ერთი პუნქტი: ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად შეთანხმებული მოქმედება „ევრაზეს"-ის მომავალი წარმატებული განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორია,"** - ასრულებს გაზეთი დოკუმენტის ციტირებას.

აქვე „კომერსანტის" მიმომხილველი განმარტავს ლუკაშენკოს სურვილს: მას უნდა, რომ „ევრაზეს"-ის წევრმა ქვეყნებმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემთხვევაში ბელარუსიც „გაიყოლონ". „პასუხად, დადებითი რეაქცია ლუკაშენკომ კოლეგებისგან ვერ მიიღო".

გაგრძელება A3 გვერდზე

# მსჯავრდებულთა ექსტრადიციის პროცედურა იხვეწება

იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის დეპარტამენტში ამჟამად მსჯავრდებულთა გადაცემა-გადმოყვანის (უცხო ქვეყნიდან საქართველოში და პირიქით) 48 საქმე განიხილება.

საქართველოში სასჯელის მოხდის მიზნით, სხვადასხვა ქვეყნიდან წელს შვიდი მსჯავრდებული გადმოიყვანეს, ხოლო უცხო სახელმწიფოებს კი სამი მსჯავრდებული გადაეცა. მსჯავრდებულთა გადმოყვანა-გადაცემის პროცედურის დახვეწის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის შესაბამის ბრძანებულებასა და იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციაში მომზადდა ცვლილებების პროექტი. საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის რუსუდან ტუშურის ინფორმაციით, დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობის კოორდინაციის სამმართველოს ორგანიზებით, საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის მომზადდა ანგარიში მართლმსაჯულების ეფექტურობის, ტერორიზმისა და პენიტენციურ სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამასთან სამმართველო კოორდინაციას უწევდა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან იუსტიციის სამინისტროს ურთიერთობას.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ფოთში დასუფთავების პრობლემა მოუგვარებელია

ქეთინო ჭაკობია
ფოთიდან

სხვა მრავალი პრობლემის პარალელურად ქალაქმა დასუფთავების საკითხი ვერ მოაგვარა. ე.წ. ბეიკერის ორმოს მშენებლობა დღის წესრიგიდან გამოირიცხა, გარეუბნები ერთ დიდ ნაგავსაყრელადაა ქცეული, ნარჩენების გატანა ცენტრალური ქუჩებიდანაც გვიანდება და აქ განთავსებული ურნებიდან გადმოყრილი ნაგავი მოხეტიალე პირუტყვის საკვებად იქცა.

დასუფთავება-კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ყოფილმა მთავრობამ ლიკვიდაციაში მოაყოლა. საკითხი კერძო ფირმის სასარგებლოდ გადაწყდა. ფოთში დღესაც ღიად საუბრობენ ფირმაში ექს-მერის წილებსა და პარლამენტარ ფრიდონ რუხაიას მფარველობაზე. დასუფთავებაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის სურვილი კონკურენტ კომპანიებს არ გამოუთქვამთ.

**„შპს „ფოთიქალაქსერვისს“ მარტო იმიტომ კი არ მივანიჭეთ უპირატესობა, რომ ერთადერთი იყო, არამედ საკმაოდ ნორმალური ფასები შემოგვთავაზა და ტექნიკური საშუალებებით და მუშა-ხელით უზრუნველყოფილია,“**-ამბობს „24 საათთან“ საუბრისას ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გელა ვადაქარია.

„ფოთიქალაქსერვისის“ საბანკო ანგარიშზე ბიუჯეტიდან ყოველთვიურად 24 100 ლარი ირიცხება. შედეგი სახეზეა: მომსახურებით უკმაყოფილებას არა მარტო მოსახლეობა, არამედ ქალაქის ხელმძღვანელობაც გამოთქვამს.

**„კმაყოფილი არ ვარ. „ფოთიქალაქსერვისმა“ ტენდერში გაიმარჯვა და ოფიციალურად მიენიჭა დასუფთავების უფლება. ხარვეზები არის და ხელშეკრულების პირობების დამრღვევს პასუხი მკაცრად მოეთხოვება,“**-აცხადებს ფოთის მერი ივანე სალინაძე.

მკაცრი მოთხოვნა მომსახურე ფირმის ხელმძღვანელობისადმი გაგზავნილი წერილით შემოიფარგლა.

**„შპს „ფოთიქალაქსერვისი“ ვალდებული იყო, მოეხდინა ფოთის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება და საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა-გაუვნებელყოფა, რაც ხორციელდება უხარისხოდ. არ ხდება მომსახურების გაწევა ხელშეკრულებაზე თანდართულ გეგმა-გრაფიკში ჩამოთვლილი ქუჩების მიხედვით და ვადებში“,**-მითითებულია წერილში.

„ფოთიქალაქსერვისის“ დირექტორი აკაკი შურღულაია ხელისუფლებას საპასუხო პრეტენზიებს უყენებს და ამბობს: **„მიგვაჩნია, რომ შეფასება რეალური მდგომარეობის არაადეკვატურია. შენიშვნას არ ვეთანხმებით. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის საჭიროა ალიკვეთოს ქალაქში პირუტყვის ხეტიალი, გაფართოვდეს მომსახურების ზონები. მოსახლეობის გაუფრთხილებლობით დაიწვა და განადგურდა 30-ზე მეტი პლასტმასის ყუთი, მომსახურებით მოცულია ქალაქის ტერიტორიის 30%, ამიტომაც მოსახლეობა საყოფაცხოვრებო ნარჩენებს ეზიდება და ყრის ცენტრალურ ქუჩებში განთავსებულ ნაგავშემკრებ ყუთებში.“**

გამოდის, რომ ქალაქი არა მთავრობის უუნარობისა და „ფოთიქალაქსერვისის“ უპასუხისმგებლობის გამო, არმედ მხოლოდ მოსახლეობის მიზეზით ბინძურდება.

პრობლემის არსებობა ამასწინათ ფოთში არაოფიციალური ვიზიტით მყოფმა ქვეყნის პრეზიდენტმაც შენიშნა. სააკაშვილის იმ დღეს და იმ უბანში სტუმრობის შესახებ მთავრობისთვის არ იყო ცნობილი, ამიტომ „საჩვენებელი“ დასუფათავებისთვის არავის უზრუნია. პირველი პირის მითითება ოპერატიულად შესრულდა, თუმცა, ფაქტია, საერთო ვითარების გაუმჯობესება ჯერაც შეუმჩნეველია.

# კულახმეტოვი რჩევებს იძლევა

ქართული და სამხრეთ ოსური მხარეები მოლაპარაკებათა მაგიდას უნდა მიუსხდნენ და სასწრაფოდ შეუდგნენ ერთობლივი დარეგულირების გეგმაზე მუშაობას, - განაცხადა კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების მთავარსარდალმა მარატ კულახმეტოვმა „რია ნოვისტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

მისი აზრით, თუკი არ იქნება პოლიტიკური ნება და სურვილი, სამშვიდობოების ძალისხმევისა და მონდომების მიუხედავად, ქართულ და სამხრეთ ოსურ მხარეს შორის შეთანხმების მიღწევა ძალიან რთული იქნება. მთავარსარდლის თქმით, მხარეები უსაფრთხოების გარანტიების შესახებ დოკუმენტის ხელმოსაწერად თითქმის მზად არიან, მაგრამ, თუკი მხარეების ხელმძღვანელობა დოკუმენტს „პოლიტიკური ქმედებებით არ გაამყარებს, ეს დოკუმენტი, უბრალოდ, მორიგ ფურცლად იქცევა“.

ინტერვიუში კულახმეტოვმა აღნიშნავს, რომ საქართველოს შს სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის ბოლოდროინდელი ქმედებები ბადებს კითხვას: რა ფუნქცია აკისრია სპეცრაზმს კონფლიქტის ზონაში? „კონტრაბანდასთან ბრძოლა უდავოდ სახელმწიფოებრივი საქმეა, მაგრამ არ მომწონს, როცა ეს ბრძოლა საზღვრებს სცილდება“, - აცხადებს მთავარსარდალი და განმარტავს, რომ მხედველობაში აქვს ის ფაქტი, რომ საქართველოს სპეცდანიშნულების რაზმი სპეცოპერაციებს შერეულ საკონტროლო კომისიასთან და სამშვიდობოებთან არ ათანხმებს, რაც მოწინააღმდეგე მხარის პროვოცირებაა. **მედიანიუსი**

# ქართულ-აზერბაიჯანული კონსულტაციების მორიგი რაუნდი

2006 წლის 22-23 ივნისს ბაქოში გაიმართა კონსულტაციები საქართველოსა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის. ქართულ მხარეს ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი, ხოლო აზერბაიჯანის მხარეს - საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხალაფ ხალაფოვი. დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ბელა წიფურია, რომელმაც გამართა შეხვედრები აზერბაიჯანელ კოლეგებთან, მათ შორის, აზერბაიჯანის განათლების მინისტრთან მისირ მარდანოვთან.

მხარეებმა განიხილეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ-კულტურულ სფეროებში ურთიერთობების, საზღვრების დელიმიტაციისა და რეგიონული თანამშრომლობის საკითხები. ვიზიტის ფარგლებში საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი შეხვდა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს ელმარ მამედიაროვს. მხარეებმა ხაზი გაუსვეს ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციების სარგებლობას.

შეხვედრებმა ჩაიარა მეგობრულ, კონსტრუქციულ ვითარებაში. **24 საათი**

# პარლამენტის დელეგაცია სტრასბურგში მიემგზავრება

დღეს საქართველოს პარლამენტის დელეგაცია სტრასბურგში გაემგზავრება, სადაც ქართველი დეპუტატები ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მორიგ სესიას დაესწრებიან. დელეგაციის შემადგენლობაში არიან საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიგა ბოკერია, პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნინო ნაკაშიძე და ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წევრი ლევან ბერძენიშვილი. სტრასბურგში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მიმდინარე საკითხებს განიხილავს. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა, ქართველმა პარლამენტარებმა ევროპელ კოლეგებთან ცალკეული შეხვედრებიც გამართონ, სადაც საუბარი საქართველოს კონფლიქტის ზონებში შექმნილ მდგომარეობას შეეხება. **მედიანიუსი**

# ძალადობის დასასრული - ერაყის „ეროვნული შერიგების“ გეგმა



ერაყის პრემიერ-მინისტრმა ნური მალიკიმ პარლამენტს „ეროვნული შერიგების“ გეგმა წარუდგინა, რომელმაც სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ ქვეყნის მასშტაბით დაწყებული ძალადობა უნდა დაასრულოს. გეგმა 24 პუნქტისგან შედგება და ზოგიერთი აჯანყებული დაჯგუფების წარმომადგენლების ამნისტიას ითვალისწინებს. ექსპერტები ფიქრობენ, რომ ამნისტიის მეშვეობით შესაძლებელი იქნება შერიგების პროცესის რეალურად დაწყება და აჯანყებული დაჯგუფებების წარმომადგენლების პოლიტიკურ პროცესში დადებითი კუთხით ჩართვა. გეგმის უმთავრესი პუნქტი კი ძირითად სუნიტურ აჯანყებულ დაჯგუფებებთან დიალოგის დაწყების წინადადებაა. თუმცა, ეს წინადადებები არ ეხება „ალ-კაიდასა“ და სხვა ტერორისტულ დაჯგუფებებს, რომელთა ნამოქმედარს ერაყის მშვიდობიანი მოქალაქეები ეწირებიან.

შიიტი პოლიტიკოსი ნური მალიკი თითქმის გამორიცხავს რადიკალურ დაჯგუფებებთან მოლაპარაკებების დაწყებას. თუმცა, დამკვირვებლების მოსაზრებით, მალიკიმ მაინც უნდა სცადოს მათი შემორიგება, თუკი რეალურად სურს თავისი გეგმის განხორციელება.

რაც შეეხება სუნიტების დამოკიდებულებას, ამ გეგმისადმი მათი პოზიცია მაინც უფრო ფრთხილია.

ზემოაღნიშნული პუნქტების გარდა, გეგმა ერაყის შეიარაღებული ძალების იმ დონემდე გაძლიერებასაც ითვალისწინებს, რომ კოალიციურმა ძალებმა შეძლონ ერაყელებისთვის სრული კონტროლის გადაბარება.

მიმდინარე წლის მაისში პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავებისას ნური მალიკიმ ერაყელებს წელიწადნახევარში ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გაკონტროლების ბერკეტების ეროვნული მთავრობის მიერ ხელში აღების პირობა მისცა.

გუშინ ერაყის დატოვება დაიწყეს იაპონელმა სამხედროებმა, რომლებიც ერაყელებს ქვეყნის ინფრასტრუქტურის აღდგენაში ეხმარებოდნენ და არ მონაწილეობდნენ სამხედრო ოპერაციებში. როგორც ცნობილია, ერაყის დატოვებას აშშ-ც აპირებს, მაგრამ ჯერჯერობით ვადები დაუზუსტებელია ისევ ერაყში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე.

ერაყის პრემიერ-მინისტრის მომხრეების თქმით, ზემოაღნიშნული გეგმის განხორციელება სავსებით რეალურია.

**„ეს ინიციატივა იმ კატეგორიაზეა გათვლილი, ვინც შემოურიგებელ მხარედ მიიჩნევა და ვინც ერაყის მშვიდობიან მოქალაქეებში შიშსა და ძალადობას ნერგავს. ამ ხალხის შემორიგებამდე კი ქვეყნის წარმატებულ აღდგენაზე, მშვიდობის დამყარებასა და უსაფრთხო გარემოზე ფიქრიც კი ზედმეტია. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რათა ქვეყნის მოსახლეობამ შეძლოს ნორმალური ცხოვრების დაწყება,“** - აცხადებს ერაყის პარლამენტის სპიკერი მაჰმუდ მაშჰადანი.

როგორც ქვეყნის პრეზიდენტმა ჯალალ თალაბანიმ განაცხადა, „ეროვნული შერიგების“ პაქტისთვის შეერთება იმ შეიარაღებულ დაჯგუფებებსაც შეეძლებათ, თუნდაც შეთანხმების მიღმა დარჩენილებს, რომლებიც უარს იტყვიან ძალადობაზე და დაყრიან იარაღს.

ნური მალიკის გეგმა სადამის პარტიის - „ბაას“-ის იმ ყოფილი წევრების სტატუსის გადახედვასაც ითვალისწინებს, რომლებმაც პოზიციები ინტერვენციის შემდეგ დაკარგეს.

უდავოა, რომ ყოფილი „ბაასისტები“ და სადამ ჰუსეინის არმიის წარმომადგენლები დღესაც დიდ როლს თამაშობენ სხვადასხვა შეიარაღებული დაჯგუფებების ფინანსირებაში. როგორც აშშ-ს წარმომადგენლები ერაყში აღნიშნავენ, „დებაასიფიკაციამ“ ერაყის საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის გაუცხოება გამოიწვია.

გარდა ამისა, მალიკის გეგმა ე.წ. საზოგადოებრივი პოლიციის შეიარაღებული პირების განიარაღებასაც ითვალისწინებს. ეს ფორმირებები, გარკვეულწილად, პოლიტიკურ პარტიებთანაც არიან დაკავშირებულნი და ბაღდადის მთელ რიგ კვარტლებს აკონტროლებენ, რომ აღარაფერი ითქვას ქვეყნის სხვა მსხვილ თუ შედარებით მცირე ქალაქებზე. მალიკი მათ სამთავრობო-სამოქალაქო ფორმირებებში ინტეგრაციას ან თუნდაც ერაყის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ჩართვასაც იმედოვნებს.

*24 საათი*

# „რუსეთი „დიდ რვიანამდე“ ვერ გაიზარდა“

რუსეთი „დიდი რვიანის“ წევრობისათვის საჭირო დემოკრატიის სტანდარტებს არ აკმაყოფილებს და მის მიერ G-8-ის თავმჯდომარეობა პრესტიჟული კლუბის წევრი-სახელმწიფოების ავტორიტეტს ლახავს. ასეთი დასკვნა გაკეთდა ანგარიშში, რომელიც ბრიტანულმა დამოუკიდებელმა კვლევითმა ცენტრმა Foreign Policy Centre-მა წარმოადგინა.

საგულისხმოა, რომ Foreign Policy Centre-ს პირადად დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი კურირებს. სანქტ-პეტერბურგში ივლისში დაგეგმილი „დიდი რვიანის“ სამიტის წინ გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ რუსეთში შექმნილი სიტუაცია არ შეესაბამება დემოკრატიის, ეკონომიკური სტაბილურობის, ღია საზოგადოებისა და კანონის უზენაესობის ბაზისურ პრინციპებს, რომელიც აღიარებული და მიღებულია „დიდი რვიანის“ მიერ. იქვე აღნიშნულია, რომ იმ დროიდან, რაც რუსეთი გახდა დიდი რვიანის თავმჯდომარე, ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხმა იკლო, ხოლო მოქალაქეთა უფლებები მეტად ირღვევა.

„პუტინთან დაკავშირებით საორჭოფოც აღარაფერი დარჩა“, - განაცხადა ანგარიშის ავტორმა ჰიუ ბარნსმა. მისი თქმით, ის სისტემატურად ანგრევს რუსეთის დემოკრატიას, და თუნდაც მხოლოდ ეს ფაქტი „არის „დიდი რვიანის“ დაცინვა“.

„დიდი რვიანი“, ეკონომიკური თვალსაზრისით, ყველაზე ძლიერი ქვეყნების კლუბად ითვლება. რუსეთის ეკონომიკა კი, რომელიც მსოფლიოში მეათე ადგილზეა, ანგარიშის მიხედვით, G-8-ის წევრობისათვის საკმარისი არ არის. იქვე აღნიშნულია, რომ რუსეთი არ არის თავისუფალი ქვეყანა, არც ეკონომიკური და არც პოლიტიკური თვალსაზრისით.

როგორც დოკუმენტშია მითითებული, რუსეთის მიერ „დიდი რვიანის“ თავმჯდომარეობამ შეიძლება შეაირყიოს კლუბის წევრი ქვეყნების ავტორიტეტი და მნიშვნელობა.

ანგარიშში ასევე არის მოწოდება კლუბის სხვა წევრი-ქვეყნებისადმი, შემუშავებულ იქნას შეთანხმებული პოლიტიკა, რათა „აიძულონ პუტინი, დაიცვას მის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები“.

აქამდე პრეზიდენტმა პუტინმა მსგავს კრიტიკაზე პასუხი უკვე რამდენჯერმე გასცა. „ეს ხალხი კიდევ გასულ საუკუნეში განაგრძობენ ცხოვრებას; ყველანი ისინი - გარდაუქმნელი სოვეტოლოგები არიან,“ - აცხადებდა ვლადიმირ პუტინი.

*24 საათი*

# ქართულ-ინგლისური ვექტორის დამთხვევა

პირველი გვერდიდან

პროფესორი ჯენეტ გრანტის პოზიცია უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის, როგორც ექიმის პროფესიონალიზმის სრულყოფის აუცილებელი პირობის შესახებ სრულიად ემთხვევა სამედიცინო უნივერსიტეტის განვითარების იმ ვექტორს, რომლის რეალიზებას გეგმავს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახლანდელი ხელმძღვანელობა.

სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა გიორგი მენაბდემ აღნიშნა, რომ **„სამწუხაროდ, ახლო და უახლოეს წარსულში დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება ცალ-ცალკე ინსტიტუციებად ფუნქციონირებდა. სამედიცინო უნივერსიტეტისა და სამედიცინო აკადემიის ჰარმონიულმა ინტეგრირებამ კი სამედიცინო განათლება ერთიან საუნივერსიტეტო სივრცეში მოაქცია, რაც მისი (განათლების) უწყვეტობის უზრუნველყოფის უპირველესი აუცილებლობაა. საუნივერსიტეტო კლინიკებში უნდა მიმდინარეობდეს რეზიდენტების მომზადება და სპეციალური პროგრამების გავლის შემდეგ მიეცეს პრაქტიკული სამედიცინო საქმიანობის უფლება“.**



მედიცინა საბუნებისმეტყველო დარგთაგან ერთ-ერთი ყველაზე რთული და სწრაფად განვითარებადია; მედიკოსად ჩამოყალიბება, რიგ შემთხვევებში, ათეულობით წელს მოითხოვს. საამაყოა, რომ ჯენეტ გრანტის შეფასებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მზადაა სამედიცინო განათლების ისეთი რეფორმის ჩატარებისათვის, რომელიც საქართველოს სამედიცინო განათლების სისტემის ევროპულ მოდელს მიუახლოებს; თუმცა, მან აქვე აღნიშნა, რომ ღირსეული აკადემიური პერსონალის (რომელსაც გაფრთხილება უნდა) გარეშე მომავალი თაობა ვერ გაიზრდება; ქვეყანაში ექიმების „წარმოება“ რაოდენობრივ რეგულირებას საჭიროებს, რაშიც მხარდაჭერა ჯანდაცვის სამინისტროსა და განათლების სამინისტროს უნდა ეთხოვოს.

**„განათლების სისტემა თუ არ შეიცვალა, თქვენი ექიმების მობილურობა და აღიარება ევროპის მასშტაბით ვერ განხორციელდება“** - ასეთი იყო ჯენეტ გრანტის მოსაზრება; აღნიშნულთან უნისონად გაიჟღერა რექტორის მოვალეობის შემსრულებლის პროფერორ გიორგი მენაბდის განცხადებამ იმის შესახებ, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სტანდარტები, მთლიანად აკადემიური პროცესი, მისი კურსდამთავრებულნი ორიენტირებულნი უნდა იყვნენ არა მარტო შიდა ბაზარზე, არამედ მათ უნდა ჰქონდეთ უნარი და შესაძლებლობა, იმუშაონ მსოფლიოს ნებისმიერ, მათ შორის - წამყვან კლინიკაში.

**„აღმოვაჩინე, რომ ხალხი ძალიან ბევრს მუშაობს იმისთვის, რომ მოახდინოს ევროპული და მსოფლიო სტანდარტების ადაპტაცია. რაც მთავარია, ევროპული მოდელიდან იღებენ ყველაზე საინტერესოს, ანუ იმას, რაც საქართველოს სჭირდება. ჩვენი ქართველი კოლეგები ფიქრობენ სწავლების ახალი, უწყვეტი მეთოდის დანერგვაზე, რაც ხელს შეუწყობს სამედიცინო კადრის მაღალკვალიფიციურ მომზადებას“** - აღნიშნა ინგლისელმა ექსპერტმა.

ერთია, სწავლის პროცესი და მეორე, თავად ამ პროცესის შეფასება - თუ რამდენად სწორად მიმდინარეობს იგი. სწავლის პროცესის შეფასება ხარისხის სამსახურის პრეროგატივაა, რომელიც სამედიცინო უნივერსიტეტში ჩამოყალიბების პროცესშია. **„განათლების პროცესს ექსპერტიზა თუ არ ჩაუტარდა, სამედიცინო განათლების ხარისხი ისეთივე დარჩება, როგორიც დღესაა. ხარისხის სამსახურის ჩამოყალიბება ჩვენს უნივერსიტეტში ახლა მიმდინარეობს, რომლის დანერგვასაც სექტემბრიდან ვაპირებთ. ასევე, გვინდა თანმიმდევრულად ახალი კურიკულუმისა და საკრედიტო სისტემის დანერგვა,“** - აღნიშნა გიორგი მენაბდემ.

ქართველი ექიმების მონდომებით მოხიბლული ინგლისელი პროფესორი აცხადებს, რომ ქართულ-ინგლისური თანამშრომლობა ამ ვიზიტით არ შემოიფარგლება. „ქართველ სპეციალისტებს მივიწვევთ დიდი ბრიტანეთის ღია უნივერსიტეტში, სადაც ტრენინგებს გაივლიან. ასევე საქართველოში ჩამოვლენ უცხოელი ექსპერტებიც. ამ გაცვლით პროგრამაში ბრიტანეთის საკონსულოს მხარდაჭერის იმედი გვაქვს,“ - განაცხადა ჯენეტ გრანტმა და დასძინა, რომ ქართველ ექიმებში ძალიან დიდი პოტენციალი დაინახა.

ჯენეტ გრანტის ვიზიტის დროს დაიგეგმა ქართულ-ბრიტანული თანამშრომლობის ახალი პროექტები: ქართველი სპეციალისტების ბრიტანეთის ღია უნივერსიტეტში, უცხოელი ექსპერტების სტუმრობა და კონსულტაციები საქართველოში და სხვა.

**„საქართველოს ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში გვაქვს დადგენილი კვოტა. ახალ სასწავლო წელს სამედიცინო უნივერსიტეტში 569 სტუდენტი ჩაირიცხება. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, კი უნივერსიტეტში მისაღები და გამოსაშვები სტუდენტების რაოდენობა გათანაბრდება. ამ საკითხზე მუშაობა განათლების სამინისტროში უკვე მიმდინარეობს, გარდა იმისა, რომ სწავლებაც და თავად, სწავლების დაგეგმარებაც მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად უნდა განხორციელდეს, უნდა მოხდეს ექიმების რაოდენობის იმგვარი ოპტიმიზაცია, რაც რეალურად ქვეყანას სჭირდება,“** - აღნიშნა საუბრის დასასრულს გიორგი მენაბდემ.

საქართველო, ევროპის მრავალ ქვეყანასთან ერთად, ბოლონიის პროცესს მიუერთდა. საერთოევროპული საგანმანათლებლო სივრცის შექმნის პარალელურად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლონიის ხელშეკრულება სამედიცინო განათლების სპეციფიკას მთელი სისრულით არ ითვალისწინებს. ამიტომაც, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დღევანდელმა ხელმძღვანელობამ სამედიცინო განათლების რეფორმის სწორად არჩეულ გზაზე უმაღლესი განათლების ევროპული და მსოფლიო გამოცდილების და მედიცინის დარგობრივი (დიპლომამდელი, დიპლომისშემდგომი) სპეციფიკის ჰარმონიზება უნდა შეძლოს.

*24 საათი*

## მოკლედ

### რუსეთში ჩატარებული გამოკითხვები პუტინ-სააკაშვილის შეხვედრის შესახებ

რუსეთში გამოკითხულთა 15%-მა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის სანქტ-პეტერბურგში 13 ივნისს გამართული შეხვედრა დადებითად შეაფასა, 24 პროცენტის აზრით კი, შეხვედრა უშედეგო იყო.

ასეთ შედეგებს აქვეყნებს მოსკოვში არსებული ფონდი „საზოგადოებრივი აზრი“, რომელმაც 17-18 ივნისს რუსეთის 44 მხარისა და რესპუბლიკის 100 დასახლებულ პუნქტში კვლევა ჩაატარა.

მათ, ვინც შეხვედრას უშედეგო უწოდა, მიიჩნევს, რომ არ იქნა მიღწეული კონკრეტული შეთანხმებები (4 პროცენტი), თითოეული პრეზიდენტი დარჩა საკუთარ მოსაზრებაზე (3 პროცენტი); ასევე - შეხვედრას არავითარი შედეგი არ მოუტანია აფხაზეთთან ან სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში (1 პროცენტი).

რესპონდენტები გამოხატავდნენ ნეგატიურ დამოკიდებულებას საქართველოს პოლიტიკისა და პირადად პრეზიდენტ სააკაშვილის მისამართით.

მათი აზრით, საქართველო ანტირუსულ პოლიტიკას ატარებს და არ არის დაინტერესებული რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობით (3 პროცენტი). ასევე გამოთქმული იყო აზრი, რომ საქართველოს პრეზიდენტი არასაიმედო პოლიტიკოსია (4 პროცენტი), რომ საქართველო - პროდასავლური სახელმწიფოა, სააკაშვილი კი აშშ-ის ხელდასმული პრეზიდენტი. (2 პროცენტი).

გამოკითხულთა 34 პროცენტი სააკაშვილს ნეგატიურად, 8 პროცენტი კი - დადებითად აფასებს.

რესპონდენტთა 60 პროცენტმა იცოდა სააკაშვილი-პუტინის შეხვედრის შესახებ. მათგან 22 პროცენტი თვლის, რომ შეხვედრა ორი ქვეყნის ურთიერთობას არ გააუმჯობესებს, 6 პროცენტის აზრით, ურთიერთობა გაუარესდება, 16 პროცენტი კი მიიჩნევს, რომ ურთიერთობა ქვეყნებს შორის ამ შეხვედრის შემდეგ გაუმჯობესდება. **ინტერპრესნიუსი**

### გააკონტროლეთ არტერიული წნევა

კარდიოლოგები ზღვაზე დამსვენებლებს მყუდრო ადგილებში ყოფნას და არტერიული წნევის გაკონტროლებას ურჩევენ, ამის მიზეზად ივნის-ივლისში მზის აქტიურ ფაზაში შესვლა სახელდება.მზის სისტემაში ამ დროს პლოტონური ღრუბლის ამოფრქვევის პროცესი მიმდინარეობს. რის შემდეგაც რადიაციული სხივები დედამიწის გარსში შედის.

როგორც „კარდიოლოგიური კვლევით ცენტრში“ განაცხადეს, დიდხანს მზეზე ყოფნა ნერვულ სისტემაზე ცუდად მოქმედებს, რომელიც ჰიპერტონულ და ვეგეტონერვული კრიზის გამწვავებას უწყობს ხელს. დამსვენებლებმა რადიაციული მზიდან გამომდინარე სისტემატურად უნდა აკონტროლონ არტერიული წნევა და დილასაღამოს ზღვაში ჩასვლისგან თავი უნდა შეიკავონ, რადგან იგი მზის რადიაციულ სხივებს გაორმაგებული „დოზით“ მიიღებს. პლოტონური ღრუბლის ამოფრქვევიდან დედამიწაზე რადიაციული დღეები ორი კვირის განმავლობაში გრძელდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### პატრიარქმა უნივერსიტეტისთვის პარაკლისი გადაიხადა

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, სამების საკათედო ტაძარში, გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პარაკლისი გადაიხადა. ცნობისთვის, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორატის მიერ უნივერსიტეტის სამეცნიერო თანამდებობების დასკავებლად გამოცხადებული კონკურსის გამო პროფესორ-მასწავლებლების ერთმა ნაწილმა საპროტესტო აქცია გამართა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### „უნივერსიტეტის“ მშენებლობა სექტემბრიდან დაიწყება

თბილისის მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ივლისში, გამოცხადდება ტენდერები მატროსადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობის გასაგრძელებლად. მშენებლობა მიმდინარე წლის სექტემბრიდან დაიწყება და სავარაუდოდ 2009 წლისთვის დასრულდება - განაცხადეს თბილისის მეტროპოლიტენში. დედაქალაქის პრემიერის, თემურ ქურხულის განცხადებით, სადგურ „უნივერსიტეტის“ დასრულებისთვის 22-25 მილიონი ლარია საჭირო. „დედაქალაქის ბიუჯეტი ამ თანხების სრულად გაღებას ვერ შეძლებს, აუცილებელი იქნება დახმარება,- განაცხადა თემურ ქურხულმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### 400 სომხური სკოლიდან 150 საქართველოშია

როგორც სომხეთის განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს წარმომადგენელმა, გრაჩ ტადევოსიანმა, განაცხადა, სომხური დიასპორისთვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 400 სკოლა ფუნქციონირებს, მათ შორის, ე.წ. „კლასიკური ლიცეუმის“ სახით 177. ზოგადსაგანმანთლებლო სკოლებიდან 150 საქართველოშია (მათ შორის, 112-ჯავახეთში, 8 -თბილისში, 1 -ბათუმში, ხოლო 22 - ქვემო ქართლში). რუსეთში 19 სომხურენოვანი სკოლა მოქმედებს, მათი უმეტესობა კი მოსკოვში, სოჭსა და როსტოვში მდებარეობს. **ჯი-ეიჩ-ენი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

ნოდარ ლადარია




ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



გუშინ საღამოს ერთმა მეგობარმა დამირეკა და ჩემი მეგობრებისთვის დამახასიათებელი რეფრენით დაიწყო: "აი, ეს დაწერე, რა...". თუმცა თხოვნა არც ისე ადვილია შესასრულებლად: უნდა დავწერო, რომ უნივერსიტეტი ტაძარი არაა, რომ უნივერსიტეტი სასწავლებელია, ტაძარი კი ტაძარია. როგორ გინდა ასეთი უბრალო რამ დაწერო და, ამავე დროს, სახე შეინარჩუნო?

რა სახე? — გაუკვირდება მკითხველს. აი, ის სახე, რომელზედაც ლაპარაკობს თსუ-ს რექტორი, **გიორგი ხუბუა**, როცა ამბობს: "**ჩვენი მიზანია, უნივერსიტეტი ქართული ინტელექტუალური ელიტის ცენტრად ვაქციოთ**" (**ეკა ჯანაშია**, *"საუნივერსიტეტო საზოგადოება ცვლილებების მიმართ მგრძნობიარეა"* — 22 ივნისი). მგონი რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთ პუბლიკაციაში უკვე გავიხსენე, მსაჯულთა წიგნის მეთორმეტე თავში აღწერილი ერთი ამბავი: ისრაელიანებმა ეფრემელები დაამარცხეს, მერე კი მდინარის ნაპირას დადგნენ და გადასვლის ყველა მსურველს სთხოვდნენ ერთი სიტყვის წარმოთქმას — "შიბოლეთ"; ეფრემელები წარმოთქვამდნენ "სიბოლეთ", რადგან სხვანაირად არ შეეძლოთ. არ ვიტყვი, რა ბედი ეწეოდათ მათ, ვინც გაბატონებული დიალექტის ფონეტიკურ ნორმებს ვერ იცავდა, მაგრამ საუნივერსიტეტო კონკურსის გამარტივება მართლაც შეიძლება...

იმის თქმა მსურს, რომ ჩვენს შემთხვევაში საჭირო შეკითხვა ასეთია: "არის თუ არა უნივერსიტეტი ცოდნის ტაძარი?". არა, სულაც არ ვხუმრობ, რადგან ეს გამოთქმა უკვე კარგა ხანია მეტაფორულად კი არა, სრულიად რეალისტურად გამოიყენება. "ცოდნის ტაძარი" — რაღაც გაუგებარი კენტავრია, ან, უფრო სწორად, **დავით აღმაშენებლის** განმარტება უფრო მიუდგება ამ მახინჯ ცნებას: **თითოეულთაგან მხეცთაგან შეზავებული მხეცი, მრავალგუარი და მრავალხატი და სხუა ჟამ სხუებრ ხილული და მხსენარი ბუნებისაებრ თითოეულისა**. მართლაც რომ გენეტიკური მონსტრია: წარმართულ შინაარსს რომ თავი დავანებოთ, ცხადად შეინიშნება ფრანგული რევოლუციის ეფემერული კულტების, ადრეული გამარჯვებული ბოლშევიზმის ჰიბრიდული პროპაგანდა (მაინცდამაინც **ალექსანდრე ბლოკის** "თორმეტი" რომ არ ვახსენოთ, სხვაც ბევრი იყო მაშინ ჰაგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიული: მაგალითად, "რევოლუციის მოწამე", "რევოლუციური ასკეტიზმი"), გვიანდელი სტალინური დირექტივებით შექმნილი ნაციონალური პატრიოტიზმი, "პერესტროიკის" დროს დაშვებული და გავრცელებული "პაპსა" ქრისტიანობა, ტარკოვსკის ფილმებიდან ნასწავლი რელიგიურობა და კიდევ მრავალი რამ. ერთი სიტყვით ორი კი არა, მრავალი იდეოლოგიის "ხენეში ქორწილის" შედეგად შეიქმნა ეს გამოთქმა, რომელიც თითქმის არავის არ უშლის ნერვებს, თითქმის ყველას ბუნებრივად მიაჩნია, თქვენ წარმოიდგინეთ, მათაც კი, ვინც პირველნი უნდა აღდგნენ ძველი თუ ახალი წარმართობის აღმოსაფხვრელად, სიტყვიერ კერპთა დასამხობად. მაგრამ არა, ისინი კმაყოფილნი არიან და იმასაც კი გვიჩიჩინებენ, "ინტელიგენციას" ამ მეთოდებით არ უნდა მოეპყრათო. ნეტა მაშინ სად იყვნენ "ინტელიგენციის" მაღალღირსი ადვოკატები, როცა "ცოდნის ტაძრის" იპოდიაკონები ერთ ჯერზე ათობითა და ასობით აწყდებოდნენ ერთადერთ ვიწრო სარკმელს მათხოვრული ხელფასის მისაღებად, უფრო მაღალი რანგის ქურუმები კი ღიმილით ჩაივლიდნენ ხოლმე გვერდით. მაშინ არავის ანაღვლებდა "ინტელიგენციასთან" ცუდი მოქცევა...

თუმცა კიდევ ერთ რამესაც ამბობენ: თურმე იმათ, ვისაც **ფიქრია ჩიხრაძე** უნივერსიტეტის წამყვან პროფესურას უწოდებს (იხ. "24 საათი", 15 ივნისი, *თავისუფალი სიტყვა*), კომუნისტური იდეოლოგიის სუფევის რთულ პირობებში გადამწყვეტი წვლილი შეუტანიათ ჩვენი ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საქმეში. რა ფასი აქვს ამგვარად შენარჩუნებულ იდენტობას, ახლავე გამოჩნდება. რამდენიმე დღის წინ საქართველოში სტუმრად ჩამოსულ ინგლისელს ვესაუბრე. მან გადმომცა ბრიტანეთის ელჩის სიტყვები. თუმცა ამ სიტყვების უშუალო გამგონე არა ვყოფილვარ, იდეა მაინც იდეად რჩება და მისი სიმართლის დასამტკიცებლად საკუთარ გამოცდილებაშიც მომეპოვება რამდენიმე საბუთი. ერთი სიტყვით, აზრი შემდეგია: ჩვენი ღვინის პრობლემა არა ხარისხია, არამედ ფასი — ევროპაში არც ერთი ჭკუათმყოფელი არ იყიდის ქართულ ღვინოს 20-25 დოლარად, რადგან ისეთივე ხარისხის ღვინის ყიდვა შეიძლება გაცილებით იაფად. ეს მართალია, რადგან იტალიაში სახელგანთქმული "მარძემინო", რომლის ხსენებას მოცარტის "დონ ჟუანის" მეორე მოქმედებაში ვპოულობთ, სულ რაღაც 4-5 დოლარი ღირს. უბრალოდ, სიმონჩელისა და მეძოლომბარდოს მარნებში — თუმც კი ეტიკეტებზე მოცარტს გამოსახავენ — არ მიიჩნევენ, რომ "ძირძველობა" და "ტრადიციულობა" უკვე თავისთავად საკმარისია მაღალი ფასის დასადებად. ეტიკეტიდან მოცქირალ მოცარტზე მეტად საქმის მცოდნე მყიდველს ერთი პატარა წარწერა იზიდავს: "კონტროლირებული და გარანტირებული წარმოშობის დენომინაცია". ეს წარწერა გულისხმობს, რომ ღვინოში ჩასხმულმა სითხემ განიცადა ავტორიტეტული კონტროლი და რომ ეს კონტროლი ამოწმებს შემდეგს: ღვინო წარმოებულია გარკვეულ ადგილას გარკვეულ წელს მოწეული ყურძნიდან ასეთივე გარკვეული წესით და სხვა რამ მასში არ ურევია.

სამწუხაროდ, ჩვენი "წამყვანი პროფესურის" მიერ შენარჩუნებულ ეროვნულ იდენტობაში ასეთი რამ არ მოგვეპოვება: ჩვენ მხოლოდ უაზრო მითები გვიზიდავს. ამიტომაც მეშინია, როცა თსუ-ს რექტორი ამბობს, რომ უნივერსიტეტი "**მაგინიტივით უნდა იზიდავდეს ინტელექტუალურ ელიტას, რომელიც გაბნეულია სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში, უნივერსიტეტის გარეთ არსებულ სხვადასხვა აკადემიურ წრეებში**". ნეტა, სად ნახა ამდენი გაბნეული თვალ-მარგალიტი? ესეც რაღაც მითია ალბათ. მაგრამ სხვა რამეცაა ამ სიტყვებში დამაეჭვებელი. ჯერ ერთი, ისედაც ვიცით, რაც იზიდავს ადამიანს საქართველოში — მახინჯ კრიტერიუმებზე დამყარებული პრესტიჟი. ახლა ახალი პრესტიჟის აგების პროცესში ვართ და თუ ეს პროცესი ძველი რიტორიკით შევკმაზეთ, ამას კარგი არაფერი მოჰყვება. მეორეც, ინტელექტუალთა ასეთი ცენტრალიზაცია არასოდეს იქნება კეთილის მომტანი. უბრალოდ, გაჩნდება იმის კიდევ ერთი საშუალება, რომ ამ ახალი ცენტრის რომელიმე წამყვანი პროფესორი გამოჩნდება ეკრანზე და პირდაპირი ეთერიდან აუწყებს მოსახლეობას, რომ ხელისუფლება "ვეფხისტყაოსნის" გაყიდვას აპირებს. დაუჯერებენ, აბა — ინტელექტუალურ-ელიტარული ცენტრის მკვიდრს როგორ არ დაუჯერებენ. ისიც ყველაფერს იზამს, ყოველდღიურ ოფლსა და სისხლს ჩააქცევს იმ საქმეში, რომ ამგვარი სიბრიყვის დამჯერი თაობა გამოიყვანოს. არა, შეიძლება სულ სხვა რამ თქვას, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს?

ცხოვრებაში ყველაფერი დაკავშირებულია: ღვინოც და უნივერსიტეტიც. ტყუილად კი არ იწყებს "სპექტატორის" მიმომხილველი, **სიუზან რიჩარდსი** თავის სტატიას ღვინოზე საუბრით (19 ივნისი, *ვულალატებთ თუ არა საქართველოს?*). მართალი გითხრათ, დიდი ვერაფერი სტატიაა. ოღონდ ამას ჩვენი ეროვნული კუდაბზიკობის გამო კი არ ვამბობ, რადგან ამგვარი სტატიებით რომ აივსოს ქართული პრესა, მგონი ნამდვილად გვეშველება — მე იმას ვგულისხმობ, რომ ტექსტი საშუალო ინგლისელ მკითხველზეა გათვლილი. ვნახოთ, რა მოთხოვნები აქვს საშუალო ინგლისელ მკითხველს.

ჯერ ერთი, მის დასარწმუნებლად აუცილებლად უნდა გამოიყენო რიცხვები. თანაც პირდაპირ მის თვალწინ უნდა ჩაატარო რაიმე მარტივი გამოთვლა. მაგალითად, ასეთი: "**გასულ წელს, ქართულ რეგიონში — მუკუზანში 1,4 მილიონი ბოთლი ღვინის ჩამოსასხმელად სამყოფი ყურძენი მოვიდა; ამასთან რუსეთში "მუკუზანის" მარკით 10 მილიონი ბოთლი ღვინო გაიყიდა**". მართალია, Mukuzani region — ჯობს ვთარგმნოთ როგორც "რეგიონი, სადაც მუკუზანის ღვინის დასამზადებელი ყურძენი მოდის". ასე ქართული ტექსტისთვისაც უფრო ბუნებრივი იქნება და იმასაც ვერ ვიტყვით, რომ ინგლისურს დავცილდით. მაგრამ მთავარი სწორედ ილუსტრაციის სიცხადეა: აშკარა ხდება ფალსიფიკაციის მასშტაბი. თუმცა აქ მთარგმნელი ჩვენთვის მეტად უსიამოვნო შეცდომას უშვებს: "**ფალსიფიცირებული "მუკუზანის" უმრავლესობა საზღვართან ჩამოასხეს**". ორიგინალში კი წერია — "north of the border" — "**საზღვრის ჩრდილოეთით**". არაა საჭირო, იყო თსუ წამყვანი პროფესორი, რომ განსხვავება დაინახო. ჩვენ ჩვენი გაჭირვებაც გვეყოფა, ჩრდილოკავკასიელი ან სულაც რუსი ფალსიფიკატორების ცოდვები რომ არ ავიკიდოთ.

მაგრამ ვნახოთ, როგორ ალაგებს სათქმელს ქალბატონი რიჩარდსი. ჯერ ბრიტანული იმპერიის წარსულ დიდებას შეახსენებს თანამემამულეებს: "**მე-19 საუკუნეში ჩემი წინაპრები ბრიტანეთის და რუსეთის იმპერიების წამოწყებულ "დიდ თამაშში" მონაწილეობდნენ**". დიახ, ამბობს ავტორი, მე ამასთან უშუალო კავშირი მაქვს, ჩემი წინაპრების სისხლით დამტკიცებული, მაგრამ მე დავძლიე ეს იმპერიული პრეტენზიები და თქვენც გირჩევთ. ამის შემდეგ ამერიკის წინააღმდეგ მიმართულ ბრალდებათა მთელი სერია იწყება. საწყალი რუსეთი! — ამერიკელებმა ჯერ პუტინის ანტიტერორისტულ პათოსს არ დაუჯერეს და დახმარება შეუმცირეს, მერე ცალმხრივად გამოვიდნენ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის აკრძალვის პროგრამიდან, მსო-ში შესვლას არა და არ აღირსებენ, ყირიმში საეჭვოდ თამაშობენ ცეცხლით. ერთი სიტყვით, ქართველი მკითხველი ნერვული დაძაბულობის საშიშ ზღვარს უახლოვდება. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ბრიტანელები წარმოშობით დემოკრატები არიან, ეს კი ნიშნავს, რომ საშინლად სიამოვნებთ თვითირონია, თვითკრიტიკა და თვითმხილება. ავტორის არგუმენტები საკმაოდ მყიფეა: პუტინის ანტიტერორისტული პათოსის სიყალბეს ჩეჩნური პოლიტიკა მოწმობს, ბირთვული პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობას მესამე ქვეყნებიდან მომდინარე საფრთხე კარნახობს, რუსეთის მსო-ში შესვლას რუსული ბიზნესის პოლიტიზირება აბრკოლებს და არა ოკეანისგაღმელი ბოროტი ძიების სიჯიუტე, ყირიმი უკრაინის ტერიტორიაა და არა რუსეთისა. რაო, არ იცის ქალბატონმა რიჩარდსმა ეს ყველაფერი? იცის, რა თქმა უნდა, იცის, მაგრამ აქ სულ სხვა რამ მზადდება. აი, მოვისმინოთ, რას ამბობს ადამიანი, რომელმაც იმპერიულ მენტალობასთან პირადი ანგარიში ახლახან გაასწორა ჩვენს თვალწინ: "**ბელარუსსა და უკრაინას რუსეთი არა მარტო მეზობლებად მიიჩნევს ... განიხილავს როგორც საერთო აღმოსავლეთსლავური ტერიტორიის ნაწილს, ამგვარი ხედვა განპირობებულია როგორც ისტორიით, ასევე ამ სამი ქვეყნის ნაციონალური შემადგენლობით**". რაო, საკუთარ თავს ეწინააღმდეგება ავტორი?

სულაც არა! ავტორი დიალექტიკურ დაძაბულობას ამზადებს. მისი ტექსტის მცირე სივრცეზე ყველა ჯურის მოაზროვნე პოულობს საკუთარ ადგილს. აქ ყველანი პოულობენ გულის მოსაოხებელს — მემარჯვენეები, მემარცხენეები, იმპერიალისტები, რადიკალები, წარსულში ჩარჩენილნი და მომავლისკენ მისწრაფებულნი, დემაგოგები და ცინიკოსები — ავტორი ყველას მიმართავს და ყველას ყურადღებას იპყრობს, ყველას გადაუგდებს საკბილოს, რათა მთავარი სათქმელი თქვას. აი, ისიც: "**თუ ჩვენ კვლავინდებურად მოვუწოდებთ ხალხს, არ დაიხარონ რუსეთის წინაშე, შემდეგ კი მოვატოვებთ მათ, როგორც ეს 1956 წელს უნგრეთში მოხდა, მაშინ ვინ გვენდობა ჩვენ?**".

როგორი შეხედულებებისა და პოლიტიკური მრწამსისა არ უნდა იყო, ახლა უკვე ძნელია არ დაეთანხმო ავტორს: მას შემდეგ, რაც ასე ბრწყინვალედ შეზავებული კოქტეილი მოგართვა, უბრალოდ, არაჯენტლმენური (ქართული ვარიანტი — არაქურდული) იქნებოდა მასთან კამათი.

შეჯამების დროც დადგა. შეჯამება კი ერთ კითხვაში მოვაქციოთ: რატომ წერს ბრიტანელი ავტორი ასე და არა სხვანაირად? რატომაა, რომ მისი სტატია, რომელიც, რა თქმა უნდა, ოქროს ასოებით არ ჩაიწერება ბრიტანული პრესის ისტორიაში, მაინც განუზომლად უკეთესი და შეუდარებლად ეფექტურია, ვიდრე საქართველოში გამოსული ბეჭდვითი პროდუქციის უმრავლესობა?

ამ კითხვებზე პასუხი გაცილებით უფრო მარტივია, ვიდრე გვგონია:

არ გამოვრიცხავ, რომ კოლეჯი, რომელიც სიუზან რიჩარდსმა დაამთავრა, იესოს, ყოვლადწმინდა სამების ან ქალწულ მარიამის სახელს ატარებდა; მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მას არავინ ეძახდა ტაძარს. იქაური პროფესორების დანახვაზე არავინ ტიროდა ბედნიერების ცრემლით, არც "ინგლისური უმაღლესი განათლების სინდისად" მოიხსენიებდნენ მათ, მაგრამ იმდენი მაინც მოახერხეს, რომ კარგად ასწავლეს სიუზან რიჩარდს, რას წარმოადგენს საზოგადოება და როგორ უნდა აარჩიო მასთან სალაპარაკო ენა. თვით სიუზანიც, ამაში ნამდვილად ვარ დარწმუნებული, არასოდეს ემზადებოდა კერძოდ იმასთან, ვინც თვითონ (ან თუნდაც მისი პატივსაცემი დედიკო) მისაღები კომისიის თავმჯდომარედ მოევლინებოდა გამოცდებზე, არც ის უყვირია როდესმე, მე ვამაყობ, რომ პროფესორი ჰენრი ჰიგინსი მასწავლიდა, ის ხომ ყველა ჩვენგანის მამა იყოო, არც მესიჯი გაუგზავნია რომელიმე ტოკ-შოუში — "ხელები შორს კემბრიჯისაგან, სადაც დიდი ისააკ ნიუტონის სული ტრიალებს!".

ეს გასაგებია, ეს ყველასათვის გასაგებია. მაგრამ ვერაფრით მოვიშორე გიორგი ხუბუას სიტყვებით გამოწვეული შიში — ხომ გახსოვთ, ინტელექტუალური ელიტის ცენტრზე რომ ლაპარაკობდა. შეხედეთ ჩვენს ჟურნალისტებს, ამ დიქტოფონიან გოგო-ბიჭებს — საკმარისია ორი-სამი დეპუტატი, ერთი-ორი "კანონიერი ქურდი" გაიცნო, ზედ ერთი ბიზნესმენი დაუმატო, რომ თავი ქუდში გაქვს. ჰკითხეთ მათ: სურთ კი ისეთ საზოგადოებაში ცხოვრება, სადაც ყოველი საშუალო სტატიის დასაწერად ამდენი წინასწარი მომზადება და შრომაა საჭირო? მოისმინეთ მათი პასუხი და, ჩემი არ იყოს, თქვენც შეგეშინდებათ.

# კრემლის პოლიტიკის სარკე

პირველი გვერდიდან

რა თქმა უნდა, სტატია ვერ ასცდა კრიტიკას, ნეგატივს და უბრალოდ ტიპურ რუსულ შტამპებს - „საქართველო იქ ქვეყანაა, საიდანაც ხალხი გარბის"; თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე წამოჭიმულია ჯორჯ ბუშის პორტრეტი, რაც, სტატიის ავტორის აზრით, კომიკურია. მკითხველს შეახსენეს, რომ პენსია საქართველოში მხოლოდ 17 დოლარია (ის, რომ სამი წლის წინ ის 7 დოლარი იყო, ავტორს არ გახსენებია).

იყო კიდევ ერთი „კრამოლური" თემა - აკრძალული ქართული ღვინო. რეპორტაჟში იგრძნობა სიმპათიები ტრადიციული ქართული პროდუქტის მიმართ, და მოყვანილია საქართველოში მომუშავე რუსი მეღვინის ვრცელი კომენტარი, რომელიც სიტყვა-სიტყვით იმეორებდა მიხეილ სააკაშვილის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ქართულ ღვინოს ახალი ბაზრების მოძიება არ გაუჭირდება. და იყო ავტორის ფრაზაც იმაზე, რომ ქართულ ღვინოში არ არის პესტიციდები იმ მიზეზის გამო, რომ ისინი ძვირია.

ავტორს მოჰყავს რუსებისთვის კარგად ნაცნობი ქართული კულტურის მოღვაწეების - რობერტ სტურუას და სოფიკო ჭიაურელის კომენტარები რუსეთთან ტრადიციული მეგობრული ურთიერთობების შესახებ. და სტატიის ერთ-ერთი მთავარი მოტივი - ნოსტალგია კარგად ნაცნობი საბჭოთა საქართველოსადმი, მისი ხალხისადმი.

რატომ არის საინტერესო ეს პუბლიკაცია დღეს? დავუკვირდეთ, როგორ გვიყურებენ ჩვენი მეზობლები. საქართველოს სახე რუსეთში რუსული მასმედიისა და ექსპერტების მიერ იქმნება. სწორედ მათი წყალობით, ბოლო გამოკითხვების თანახმად, რუსები საქართველოს რუსეთის მტრებს შორის ლატვიის შემდეგ მეორე ადგილს მიაკუთვნებენ.

რუსული მედიის მიერ „დამუშავებული" რუსული საზოგადოების თვალში საქართველო საშინელი ქვეყანაა. მათ წარმოდგენაში, ნანგრევებით მოფენილი საქართველოს ხელისუფლება ხელფასს აშშ-ს ბიუჯეტიდან იღებს, ხოლო უბრალო მოქალაქეები მხოლოდ რუსეთში მცხოვრები ნათესავების მიერ გამოგზავნილი ფულით საზრდოობენ. საქართველოში არ არის დენი, მძვინვარებს კრიმინალი და ქაოსი. მათ წარმოდგენაში, ქართველებს სძულთ რუსები და საერთოდ ყველა ეროვნების ადამიანები.

სამწუხაროდ, ამ შტამპებს ვერც „იზვესტია" გაურბოდა. და აღნიშნული სტატია აშკარად დისონანსში შედის არაერთ პროპაგანდისტულ მესიჯთან, რომელიც რუსული მედიიდან იფრქვევა.

თუ რას შეიძლება ნიშნავდეს ეს ერთი კონკრეტული სტატია, შეიძლება ვიმსჯელოთ, თუ რუსეთ-საქართველოს ბოლო დროის ურთიერთობის ისტორიის ფონზე რუსული მედიის მესიჯებს დავაკვირდებით.

„ვარდების რევოლუციის" პერიოდში რუსული პრესა და ტელევიზია არ იშურებდა უარყოფით ეპითეტებს „რევოლუციონერების", განსაკუთრებით კი მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ. რევოლუციის შემდეგ კი რუსული პროპაგანდის ინტონაცია შეიცვალა - ის ლოიალური გახდა საქართველოს ხელისუფლების და საერთოდ ჩვენი ქვეყნის მიმართ. აჭარის მოვლენები რუსულმა პროპაგანდამ ფაქტობრივად ვერც შეამჩნია. სადღაც გაქრა გამზადებული პროპაგანდისტული კლიშეები „აჭარელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის" შესახებ. რუსული მედია მაშინ მხოლოდ მშრალი ფაქტებით შემოიფარგლა.

ახალი ანტიქართული პროპაგანდისტული ისტერია რუსეთში, 2004 წლის აგვისტოში ცხინვალში განვითარებული მოვლენების დროს დაიწყო. როგორც ჩანს, საქართველოსა და რუსეთის ინტერესები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ სწორედ სამხრეთ ოსეთში დაუპირისპირდა. და მას შემდეგ გაჩნდა რუსულ გაზეთებში გვერდიგვერდ სააკაშვილისა და ჰიტლერის სურათები, და საინფორმაციო ომი ახალი ძალებით განახლდა.

გვაქვს თუ არა საქმე „შემობრუნებასთან" კრემლის საინფორმაციო პოლიტიკაში სააკაშვილი-პუტინის შეხვედრის შემდეგ? „შემრიგებლურ" ინტონაციაში შესრულებული ერთი ვრცელი რეპორტაჟი ამის სათქმელად საკმარისი არ არის. თუმცა, პასუხი ამ კითხვაზე რუსულ მედიაზე შემდგომმა დაკვირვებამ შეიძლება მოგვცეს.

რადგან საბჭოთა პროპაგანდის მანქანა რუსეთში, ფაქტობრივად, უცვლელი სახით არის შენარჩუნებული, და მის მუშაობაში კორექტირების შეტანა უმაღლესი ხელისუფლების მიერ მარტივად და სწრაფად ხდება.

# თავმჯდომარეობა, თავმჯდომარეობის სანაცვლოდ

პირველი გვერდიდან

„კომერსანტის" განმარტებით, ამ ფაქტმა პუტინის დამოკიდებულება ლუკაშენკოს მიმართ საბოლოოდ გააფუჭა. „**პუტინი განსაკუთრებით გააღიზიანა ლუკაშენკოს რეპლიკებმა გაზის თემაზე,**" - წერს გაზეთი.

ლუკაშენკომ პუტინს კიდევ ერთხელ გააგებინა, რომ ბელარუსისთვის რუსეთის მიერ მიწოდებული გაზის საფასურის გაზრდის კატეგორიული წინააღმდეგია. ლუკაშენკომ პუტინს ისიც არ დაუმალა, რომ სულაც არ აპირებს „ბელტრანსგაზის" საკონტროლო პაკეტის დათმობას, რასაც მისგან დიდი ხანია რუსები მოითხოვენ.

კიდევ ერთი რუსული გაზეთი „როსიისკაია გაზეტა" წერს, რომ „ევრაზეს"-ის რიგით მე-16 სამიტის მონაწილე პრეზიდენტები იძულებულნი გახდნენ, ელიარებინათ, რომ დსთ-ს სივრცის ეკონომიკური ინტეგრაცია დამუხრუჭდა.

„**დღეს „ევრაზეს"-ი საკმაოდ დინამიურად ვითარდება და დსთ-ს სივრცეში ეკონომიკური ინტეგრაციის ლოკომოტივის როლს ასრულებს,**" - ხაზი გაუსვა პუტინმა კოლეგებთან შეხვედრისას.

როგორც პუტინი ჯერ კიდევ შეხვედრის დასაწყისში აღნიშნავდა, იმთავითვე იგეგმებოდა საბაჟო კავშირიდან „ევრაზეს"-ის ფარგლებში ერთიანი ეკონომიკურ სივრცეზე გადასვლა. მაგრამ, სწორედ ამ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის შეთანხმება ვერ მოხერხდა მინსკში. მხარეები ვერ ახერხებენ საბაჟო კავშირის ფუნქციონირების ძირითადი კონტურების განსაზღვრას.

პრეზიდენტებმა მხოლოდ იმის მიღწევა შეძლეს, რომ შემდეგი შეხვედრა დანიშნეს. „ევრაზეს"-ის ლიდერები ერთმანეთს აგვისტოში, რუსეთის ტერიტორიაზე შეხვდებიან და ყველას დიდი იმედი აქვს, რომ მაშინ მაინც მოახერხებენ საბაჟო კავშირზე შეთანხმებას.

*24 საათი*

Georgian National airlines

CLUB Class - როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცედენტო CLUB Class სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ CLUB Class-ით: ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ. კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია „საქართველოს ნაციონალური ავიახაზების" ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, Bombardier CRJ 200 LR -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისათვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:
- შ. რუსთაველის პრ. № 5; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კეკელიძის ქ. № 1; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო: ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | რეისი თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანქტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
*** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან
**** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან

| | რეისი ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |

# არასამთავრობოები ხელისუფლებას ადამიანის უფლებებს ახსენებენ

*გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ 1997 წლის 26 ივნისს დაწესებული წამების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე, ტრადიციულად, ხვალაც აღინიშნება. ცივილიზებული სამყარო თანადგომას და პატივისცემას გამოხატავს იმ ადამიანების მიმართ, ვინც წამების მსხვერპლი გახდა და, გარდა ამისა, შეახსენებს სახელმწიფო მოხელეებსა და საზოგადოებას, რომ წამება ყველაზე დიდი საშინელებაა და ყველაზე მეტად არღვევს ადამიანის უფლებებს.*



*„კონსტიტუციის 42-ე მუხლი" სასამართლო რეფორმის შედეგებს აკრიტიკებს.*

არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი" სასამართლო ხელისუფლებას, სასჯელაღსრულების დეპარტამენტს და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ადამიანის უფლებების დაცვას ახსენებს; თანაც, მათ სწორედ ამ უფლებების დარღვევაში ადანაშაულებს.

ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარემ მანანა კობახიძემ სასამართლო რეფორმის შედეგები გააკრიტიკა და ამ უწყებებს მოუწოდა პატიმრებისთვის სათანადო პირობების შექმნაზე იზრუნონ.

**„რეფორმა, რომელიც თითქოს მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებას ემსახურება, პატიმართა დამცირებისა და არაადამიანური მოპყრობის მიზეზი გახდა. პატიმრების მიმართ დანაშაულის სტატისტიკამ აშკარად იმატა, თუმცა ამაზე არანაირი რეაგირება არ ხდება",** - განაცხადა მანანა კობახიძემ.

მისი თქმით, საქალაქო სასამართლოს შენობის სარდაფში მოთავსებულ 30 კვ.მ-იან უფანჯრო საბადრაგოში, სადაც არ ხდება ვენტილაცია, ათეულობით პატიმარს საათობით უწევს ლოდინი. სასამართლოს შენობაში დღემდე ინახება ქიმიური რეაქტივები და სხვადასხვა ნივითიერება, რითიც პატიმრები იწამლებიან, არ ჰყოფნით ჟანგბადი და კარგავენ გონებას. ამის გამო, სასამართლოს ხელმძღვანელობას ხშირად უწევს სასწრაფო დახმარების გამოძახება.

**„საბადრაგოში პატიმრები მთელი დღე უწყლოდ და საკვების გარეშე არიან. ორი დღის წინ ერთ-ერთი პატიმარი რამდენიმე საათის განმავლობაში ითხოვდა წყალს, თუმცა ბადრაგის ყურადღება მხოლოდ მას შემდეგ მიიქცია, როდესაც საკუთარი ხელი ამოიჭამა",** - განაცხადა კობახიძემ.

მისი განცხადებით, შენობა, რომელშიც სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაა განთავსებული, არანაირად არ პასუხობს ამ ტიპის დაწესებულებებისთვის განკუთვნილ საერთაშორისო სტანდარტებს.

**„მართალია, იქ მიმდინარეობს რემონტი, მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს საპატიო გარემოება პატიმრების გაუსაძლის პირობებში ჩაყენებისთვის",** - მიაჩნია მას.

**„სასამართლო დარბაზების სიმცირისა თუ ბადრაგის არასაკმარისი რაოდენობის გამო, განაჩენებს აცხადებენ სარდაფში, რკინის გალიის წინ. პატიმრებს არ აქვთ შესაძლებლობა, ადამიანურ პირობებში მოისმინონ, თუნდაც, მათი დაპატიმრების შესახებ სასამართლო ბრძანება. საპყრობილიდან ეტაპირებულ პატიმრებს, ბადრაგის სიმცირის გამო, უწევთ უსასრულოდ ლოდინი ავტომანქანაში, სიცხეში, უჰაეროდ, ვიდრე მათი გადაყვანა მოხდება სასამართლო შენობაში",** - აცხადებს მანანა კობახიძე და ხელისუფლებისგან იმ გაუსაძლისი მდგომარეობის სასწრაფო გამოსწორებას მოითხოვს, რომელშიც პატიმრები იმყოფებიან და რომელიც საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობით წამებად ითვლება.

წამების მსხვერპლთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თბილისში გუშინ დაიწყო კამპანია დევიზით - „ერთად წამების წინააღმდეგ". არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შარდენის ქუჩაზე მდუმარე აქცია „თენდება" გამართეს. კამპანია დღეს ვერის პარკში წამების იარაღების გამოფენითა და თეატრალიზებული წარმოდგენით გაგრძელდება და შუადღის პირველ საათზე წამების მსხვერპლთა მხარდამჭერი სიგნალით დასრულდება.

*24 საათი*

# სასამართლომ ფინანსური მაქინაცია უარყო

*ფოთის საქალაქო სასამართლოში მიღწეული შეთანხმების თანახმად, დევნილთა და განსახლების სამინისტრომ ფოთის „წყალკანალის" ხელმძღვანელობასთან ერთად ვალის რაოდენობა უნდა განსაზღვროს. უახლოეს დღეებში გადაწყდება, რამდენად დათმობს შპს „ფოთის წყალკანალი" პოზიციას და დასჯერდება თუ არა დავალიანების საურავის გარეშე გადახდას.*

ქეთინო ჭაკობია
*ფოთიდან*

საქმე ისაა, რომ, მერვე თვეა, ფოთის საქალაქო სასამართლოში შპს „აბრეშუმის" სარჩელის განხილვა მიმდინარეობს. „აბრეშუმსა" და „ფოთის წყალკანალს" შორის ვალის მოთხოვნის დათმობაზე გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელე დევნილთა სამსახურს 1998 წლიდან დაგროვილი მოხმარებული წყლის დავალიანების - მილიონ 600 ათასი ლარის გადახდას სთხოვს.

საკმაო დრო დასჭირდა იმის გარკვევას, თუ ვის უნდა გადაეხადა დავალიანება - დევნილთა და განსახლების სამინისტროს თუ ადგილობრივ სამსახურს. გაჭიანურდა სამინისტროს მხრიდან ვალის აღიარებაც. სამინისტრომ შპს „წყალკანალში" თანხის გადმორიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ წარმოადგინა.

დევნილთა ადგილობრივი სამსახურის უფროსი როლანდ თოლორდავა ფინანსური მაქინაციის ალბათობაზე მიანიშნებს და „აბრეშუმის" საქმეში ჩართვას ფულის გათეთრების მექანიზმს უწოდებს. „წყალკანალსა" და „აბრეშუმს" შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ამოღებული თანხის სანაცვლოდ, ამ უკანასკნელს - ძირითადი თანხის 20 პროცენტი, ხოლო საურავის 80 პროცენტი ეკუთვნის.

**„რატომ უნდა გადაიქაჩოს ბიუჯეტიდან კერძო სექტორში ერთ მილიონამდე ლარი? ვალის გადახდის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ თანხა უნდა ჩაერიცხოს არა კერძო იურიდიულ ფირმას, არამედ „წყალკანალს", რომლის ხელმძღვანელობასაც, სამეთვალყურეო საბჭოსთან შეუთანხმებლად, ვალის გადაბარების უფლება არ ჰქონდა. საბჭოსთან შეთანხმების დოკუმენტი კი ვერსად მოვიძიე",** - ამბობს თოლორდავა.

სასამართლომ ფინანსური მაქინაცია დავის საგნად არ მიიჩნია. „წყალკანალის" გენერალური დირექტორი ვლადიმერ მსხილაძე კი მისი მისამართით გამოთქმულ პრეტენზიებს არ ეთანხმება.

**„კანონი მაძლევს უფლებას, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, დავალიანების ამოღებაში სხვა სამსახური დავიხმარო. „აბრეშუმი", დაახლოებით, 10 ათას ლარს მიიღებს. ეს არ არის მტკივნეული თანხა ჩვენი სამსახურისთვის, რადგან შედეგს ხსენებული ფირმის დახმარებით მივაღწიეთ. სასამართლო პროცესი მოპასუხე მხარის მიზეზით გაჭიანურდა, სამინისტროს მხრიდან საპირისპირო დოკუმენტაციის წარმოდგენის უშედეგო ლოდინში დაიკარგა დრო"** , - აცხადებს მსხილაძე.

თუ სამინისტრო „ფოთის წყალკანალს" ვალის საურავის გარეშე დაბრუნებაზე შეუთანხმდება, „აბრეშუმი" 10 ათას ლარს მიიღებს, საურავიანად კი ფირმის კუთვნილი თანხა მილიონამდე ლარს უტოლდება. მსხილაძის არგუმენტების მიუხედავად, იმ ფონზე, როცა, სადამსჯელო ღონისძიების სახით, წყალკანალი გადახდისუუნარო მოსახლეობას პერიოდულად რესურსის მიწოდებას უწყვეტს, კერძო სექტორის ფასიანი მომსახურება არასასურველ ფაქტად აღიქმება.

# ერთ ღამეში „პოპულის" ქსელის ორი მაღაზია დააყაჩაღეს

„პოპულის" ქსელის ორი მაღაზია დააყაჩაღეს. როგორც „პოპულის" რეგიონული მენეჯერი აცხადებს, გამთენიისას დააყაჩაღეს დიდი დიღმის ქსელის პეტრიწის ქუჩაზე მდებარე სუპერმარკეტ „პოპულის" ფილიალი, საიდანაც წაღებულია 800 ლარი და სიგარეტები. ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე ვაკე-საბურთალოს რაიონის შს სამმართველოში აღიძრა. მიმდინარეობს მოწმეთა დაკითხვა.

მოგვიანებით „პოპულის" ისნის ფილიალიც დააყაჩაღეს. გავრცელებული ინფორმაციით, მაღაზიაში სამი ნიღბიანი პირი შეიჭრა. „პოპულიდან" წაღებულია, დაახლოებით, 3 ათასამდე ლარი, მობილური ტელეფონები და „მონო" ბარათები.

სამართალდამცველებმა ყაჩაღობაში ერთ-ერთი ეჭვმიტანილი, არასრულწლოვანი დააკავეს.

„პოპულის" ქსელში დამონტაჟებულია ვიდეოაპარატურა, რომელიც აფიქსირებს დღე-ღამის განმავლობაში მაღაზიაში შემსვლელსა და გამსვლელს. დაკავებული ეჭვმიტანილის ადვოკატი სწორედ ამ ვიდეოფირების ამოღებას მოითხოვს.

როგორც დაკავებულის ინტერესების დამცველი შალვა ხაჭაპურიძე აცხადებს, სამართალდამცველებს მისი დაცვის ქვეშ მყოფი შეცდომით ჰყავთ დაკავებული. ადვოკატი ირწმუნება, რომ არასრულწლოვანზე ეჭვი მხოლოდ იმიტომ აიღეს, რომ მისი მეგობარი გოგონა „პოპულის" ფილიალში მუშაობს.

„ზურაბ ბეჟანიშვილი ყაჩაღობამდე რამდენიმე საათით ადრე მისული იყო ნაცნობ გოგონასთან და მას მცირე კონფლიქტი მოუვიდა, თუმცა „პოპულის" ტერიტორია დატოვა და შემდეგ საკუთარი საცხოვრებელი კორპუსის ეზოში იმყოფებოდა", - აცხადებს ადვოკატი.

ადვოკატის ინფორმაციით, პოლიცია არ დაინტერესებულა იმ ვიდეოკასეტებით, რომლებზეც „პოპულის" ქსელში განვითარებული მოვლენებია ასახული.

„გამოძიებას „პოპულის" ერთ-ერთმა თანამშრომელმა განუცხადა, რომ მან ხმით ამოიცნო ეჭვმიტანილი, რომელიც ნიღბით იყო. ეს არის პროცესუალური ნორმის დარღვევა, ვინაიდან ეჭვმიტანილის ამოცნობა, კანონით, ხმით არ ხდება. ეჭვიმიტანილის იდენტიფიკაცია ხდება მხოლოდ სახის ნაკვთებით. ზურაბ ბეჟანიშვილის წინააღმდეგ არავითარი სისხლის სამართლებრივი მტიკიცებულება არ არსებობს", - აცხადებს დაკავებულის ადვოკატი. მისივე განმარტებით, პოლიციას სურს, საქმე გახსნილად გამოაცხადოს და სულ ერთია, ვინ იქნება ამ ფაქტთან დაკავშირებით დაკავებული.

16 წლის ზურაბ ბეჟანიშვილი ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილის ზურაბ ბეჟანიშვილის შვილია, რომელიც რამდენიმე წლის წინ სამსახურიდან დაითხოვეს. ბეჟანიშვილი სასამართლომ თანამდებობაზე აღადგინა. მას ემოციურ ფონზე ინფარქტი განუვითარდა და დღესაც მძიმე ავადმყოფია. ზურაბ ბეჟანიშვილი 1995-2001 წლებში ვაკე-საბურთალოს რაიონის შს სამმართველოში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა, მათ შორის - სისხლის სამართლის სამძებროს უფროსის პოსტზე.

*ინტერპრესნიუსი*

# მსჯავრდებულთა ექსტრადიციის პროცედურა იხვეწება

პირველი გვერდიდან

დეპარტამენტის საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების სამმართველოში 2006 წლის 1 იანვრიდან 1 ივნისამდე, სამართლებრივი დახმარების მოთხოვნით, 719 საქმე შევიდა. მათ შორის იყო: სასამართლო დავალებები, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის დოკუმენტების გამოთხოვა, უცხო ქვეყნის სასამართლოების მიერ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულება, უცხო ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მომართვა სხვადასხვა საკითხზე ინფორმაციის გამოთხოვნასთან დაკავშირებით და მოქალაქეთა განცხადებები უცხო ქვეყნების ტერიტორიაზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის მოთხოვნით.

საერთაშორისო ხელშეკრულებების სამმართველოში კი 2006 წლის 5 თვეში განსახილველად შევიდა 153 საერთაშორისო ხელშეკრულება. საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის დეპარტამენტი, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად მუშაობს „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" კანონის პროექტზე. იუსტიციის მინისტრის დავალებით, დეპარტამენტი მუშაობას გააქტიურებს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის კუთხით.

*24 საათი*

*მოკლედ*

# სანდრო გირგვლიანის საქმის სასამართლო განხილვა იწყება

სანდრო გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა ორ დღეში თბილისის საქალაქო სასამართლოში დაიწყება.

მოკლული სანდრო გირგვლიანის ოჯახის წევრებისთვის სასამართლოს მხრიდან საქმის დაჩქარებულად განხილვა მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან 5-ტომიანი საქმის მასალები გასაცნობად საქალქო სასამართლომ რამდენიმე დღის წინ მიიღო. როგორც გირგვლიანის დედა აცხადებს, ადვოკატებს საქმის განხილვისთვის საკმარისი დრო არ აქვთ. დაზარალებული ოჯახი მოსახლეობას მხარდაჭერისკენ მოუწოდებს.

*24 საათი*

# პოლიციამ კიდევ ერთი სქემა გაშიფრა

ფინანსური პოლიციის მეორე ოპერატიულ-საგამოძიებო სამმართველოს თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით კონტრაბანდული ტვირთის შემომტანი არჩილ ცანავა დააკავეს.

პოლიციის ინფორმაციით, არჩილ ცანავამ 2004-2005 წლებში მეორადი მოხმარების ტანსაცმელი და ფეხსაცმელი რამდენჯერმე შემოიტანა. საქონლის განბაჟების პროცესში, ყოველ ჯერზე იგი საბაჟო დეპარტამენტს გაყალბებულ დოკუმენტაციას წარუდგენდა და ტვირთის ღირებულებას საგრძნობლად ამცირებდა. საბოლოოდ მან საბაჟო ღირებულება 587 ათასი ლარით შეამცირა, რითიც სახელმწიფო ბიუჯეტს 220 ათასი ლარი დაუმალა. ამას გარდა, ცანავას, სანქცია-საურავების სახით, ბიუჯეტის სასარგებლოდ კიდევ 240 ათასი ლარი დაერიცხა. საქმის გამოძიება იმანაც გაართულა, რომ კვალის ასარევად არჩილ ცანავა და მის ზურგს უკან მდგომი ჯგუფი ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ ფირმებს უკავშირდებოდნენ და მათი შუამავლობით ახდენდნენ როგორც საქონლის შესყიდვას, ასევე - თანხის გადარიცხვასაც.

ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა საკმაოდ რთული სქემა გაშიფრეს, რომელსაც პრაქტიკაში სხვა ფირმებიც იყენებენ. ოფშორული ფირმა ცანავას ჯგუფს პროდუქციის შესყიდვის დამადასტურებელ ინვოისებს აძლევდა, სადაც საქონლის ღირებულება შემცირებული იყო. ამ გაყალბებულ ინვოისებს ცანავა საბაჟოს წარუდგენდა და განბაჟებასაც შემცირებული გადასახადით ახდენდა. ცანავა ოფშორულ ფირმას ოფიციალურად მითითებულ შემცირებულ ღირებულებას ოფიციალურადვე ურიცხავდა, თუმცა, რეალური ფასიდან გამომდინარე, სხვაობას თავისი პირადი ანგარიშიდან, ასევე, კონკრეტული პირის პირად ანგარიშზე რიცხავდა.

საბოლოოდ ფინანსურმა პოლიციამ დაადგინა, რომ საქონლის რეალური გამყიდველი ლიტვის რესპუბლიკის ერთ-ერთი ფირმაა. სწორედ ლიტვის საბაჟო სამსახურიდან გამოგზავნილი ექსპორტის დეკლარაციებითა და სხვა დოკუმენტებით დადასტურდა, რომ არჩილ ცანავამ სახელმწიფო ბიუჯეტს განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა.

გამოძიება საბაჟო წესის დარღვევის" მუხლით მიმდინარეობს, ცანავას კი 5-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. დანაშაულის ჩამდენი სხვა პირების გამოსავლენად გამოძიება ისევ გრძელდება.

*მედიანიუსი*

# ღონღაძის ცხედარს ოჯახს გადასცემენ

უკრაინის გენერალური პროკურატურა თანახმაა, ცნობილი ჟურნალისტის გიორგი ღონღაძის ცხედარი მის დედას გადაეცეს.

ჟურნალისტის მეუღლის მიროსლავა ღონღაძის განცხადებით, ამ ეტაპზე უკვე არ არსებობს ეჭვი იმის შესახებ, რომ ცხედარი მართლაც გიორგი ღონღაძეს ეკუთვნის.

მიროსლავა ღონღაძე, ასევე, აცხადებს, რომ ივლისის დასაწყისში ჩავა კიევში, სადაც შეეცდება, დედასთან შეათანხმოს გიორგის დაკრძალვის დრო და ადგილი.

ჟურნალისტი გიორგი ღონღაძე 2000 წლის 16 სექტემბერს დაიკარგა. ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ იმავე წლის ნოემბერში, კიევთან ახლოს აღმოჩენილი დამახინჯებული ცხედარი სწორედ მას ეკუთვნოდა.

*ინტერპრესნიუსი*

# ყაჩაღურ თავდასხმებში ეჭვმიტანილები დააკავეს

მოსკოვში ყაჩაღურ თავდასხმაში ეჭვმიტანილთა ჯგუფი დააკავეს. ჯგუფის წევრთაგან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქეა. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, ყაჩაღები ერთი და იმავე სქემით მოღვაწეობდნენ; კერძოდ, ისინი საკუთარი ავტომობილით (აუდი ა-6) მოსკოვის პრესტიჟულ უბნებში ავტომანქანათა გადაადგილების პრობლემას ხელოვნურად ქმნიდნენ. მათი სამიზნე, ძირითადად, ძვირად ღირებული და მაღალი კლასის ავტომობილების მძღოლები და მგზავრები იყვნენ. მანქანების იძულებითი წესით გაჩერების შემდეგ ავტომობილიდან ფული და ძვირფასეულობა იარაღის მუქარით მიჰქონდათ.

ეჭვმიტანილებისგან ამოღებულია დიდძალი თანხა და პისტოლეტი „მაუზერი", რომელსაც ისინი ძარცვისას იყენებდნენ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# თავდასხმა საცხოვრებელ სახლზე

დაუდგენელმა პირებმა ზუგდიდში მცხოვრებ მურმან გუჩუას სახლი ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილეს. ინციდენტის დროს სახლში ოჯახის წევრები და სამი მცირეწლოვანი ბავშვი იმყოფებოდა.

გავრცელებული ინფორმაციით, მურმან გუჩუა 1993 წლიდან „მხედრიონის" წევრი იყო. თუმცა, მისი ნათესავები ვარაუდობენ, რომ თავდასხმას გუჩუას წარსულთან კავშირი არ აქვს. ინცინდენტის სავარაუდო ვერსიად ბიზნესსაქმიანობაში წილების განაწილება სახელდება. თავდასხმის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

*მედიანიუსი*

## განცხადება კონკურსის შესახებ

**დეცენტრალიზებული თანამშრომლობა - განვითარებადი ქვეყნებისთვის**

**იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერა**

**რეგისტრაციის ნომერი:** *EuropeAid/123651/L/ACT/GE*

ევროკომისია აცხადებს კონკურსს პროექტებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოში შიდა კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებულთა მხარდაჭერას.

კონკურსი ტარდება დეცენტრალიზებული თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში - ევროკავშირის მიერ განვითარებადი ქვეყნებისთვის

განაცხადების შემოტანის მსურველებს პროგრამის შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ ინტერნეტ მისამართზე:

http://ec.europa.eu/comm/europeaid/cgi/frame12.pl

განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა **2006 წლის 29 აგვისტო**, თბილისის დროით 16.00 საათი.

კონკურსის შესახებ **საინფორმაციო შეხვედრები** ჩატარდება:

11 ივლისს 15.00 საათზე თბილისში - ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში (მის: თბილისი, ნინო ჩხეიძის ქუჩა N38)

13 ივლისს 11.00 საათზე ქუთაისში - სახალხო დამცველის ქუთაისის ოფისი (რუსთაველის ქ. N18)

13 ივლისს 17.00 საათზე ზუგდიდში - გაეროს დამკვირვებელთა მისიის შტაბბინა ზუგდიდში (ზუგდიდი, დგებუაძის ქ. N25)

14 ივლისს 11.00 საათზე ბათუმში - ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს ბათუმის ოფისი (ბათუმი, ნინოშვილის ქ. N23)



## ავიაკომპანია "არკია ისრაელის ავიახაზები"

აგრძელებს რეგულარულ რეისს 23 ივნისიდან, ყოველ პარასკევს

## თბილისი - თელ-ავივი

**თელ-ავივი - თბილისი - IZ 417 04.55-08.40**
**თბილისი - თელ-ავივი - IZ 418 10.25-12.25**
განრიგი ძალაშია 23 ივნისიდან 20 ოქტომბრამდე. გაფრენისა და მოფრენის დროები ადგილობრივია.

**ბილეთის ფასია:**
**275 აშშ დოლარი (ერთი გზა)**
**349 აშშდოლარი (ორი გზა)**

თანამედროვე საჰაერო ხომალდი ბოინგ 757-200/300 (191/253 სავარძელი), უმაღლესი კლასის სერვისი, კვების რეჟიმი - მგზავრის სურვილისამებრ.

გადახდა კურსის შესაბამისად ეროვნული ვალუტით. ავიაბილეთის ტარიფი არ შეიცავს აეროპორტის მოსაკრებლებს.

ჩვენთან შეგიძლიათ შეიძინოთ ბილეთები ა/კ "საქართველოს ავიახაზების" თელ-ავივის რეისზე.

აგრეთვე ბილეთები ნებისმიერი მიმართულებით.

**ქ. თბილისი. კარგარეთელის ქ. N 7, ტელ: 91-04-99, 91-06-16. ფაქსი: 91-04-99**
**e-mail: mail@arkia.ge**

**მეტი კომფორტი, მეტი სისწრაფე, ნაკლები ფასი**

# ახალი ნარკოპოლიტიკა საქართველოში

პირველი გვერდიდან

ვინ არის ნარკომანი - ავადმყოფი, რომელსაც უნდა უმკურნალონ, თუ დამნაშავე, რომლის საზოგადოებისგან იზოლირებაა საჭირო?

ვიდრე ამ კითხვაზე ცალსახა პასუხს მონახავენ კანონმდებლები, ჩვენს სიახლოვეში თუ სანათესაოში მრავლდებიან ნარკოტიკებზე დამოკიდებული ადამიანები. ისინი არიან ყველგან, მათ შორის - ხელისუფლებაშიც.

პირველად საქართველოში შეიქმნა ნარკოპოლიტიკის კონცეფცია, თანაც - ორი. ერთი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში არსებულმა ნარკოპოლიტიკის საბჭომ მოამზადა, მეორე - არასამთავრობო ორგანიზაცია "ალტერნატივა ჯორჯიამ".

არასამთავრობოს მიერ მომზადებული პროექტი ლიბერალურია და მთლიანად ევროსაბჭოს რეკომენდაციებში არსებულ მიდგომებს ეყრდნობა. სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ნარკოსტრატეგია მანამდე არსებულთან შედარებით ლიბერალურია, თუმცა ნარკომანებისთვის ადმინისტრაციულ საჯელს მაინც ითვალისწინებს.

■ ■ ■

ის ჩემი ბავშვობის მეგობარია. პირველი ცოცხალი ნარკომანია, რომელიც ვნახე. დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე. რომ გაიგო, საუბარი მის ნარკომანობაზე იქნებოდა, არ ესიამოვნა - არ დამიწყო ტვინის ბურღვა, გვიანიაო. რესპონდენტობზე, დიდ ხნის ფიქრის შემდეგ, მაინც დამთანხმდა.

**"პირველად წამალი 17 წლისამ გავიკეთე და მაგრა გამისწორდა. ამის შემდეგ ჩემი ცხოვრება შეიცვალა. დავიწყე ძებნა, სად შეიძლებოდა კიდევ მეშოვნა ეს მაგარი "ვეშჩი". პირველად ზოგს არ მოსწონს და ცუდ რეაქციას აძლევს - გული ერევა, ცხოვრება აღარ უნდა. შეუძლებელია, ასეთმა ტიპმა მეორედ გაიჩხიროს, ან თუ გაიჩხირავს, მაგარი კრეტინია.**

**დღეს ნარკოტიკები ერთგვარი მოდაა. მაგრამ იმისთვის, ვინც წამლის გარეშე ვერ ძლებს, ავადმყოფობაა. ეგეთი ადამიანები არ კაიფობენ. ვიდრე წამალს არ გავიკეთებ, სიარულიც კი არ შეუძლია. წარმოიდგინე - ავად ხარ, სიცხე გაქვს, თავი გტკივა, გამტვრევს. ასე ვარ, ვიდრე დოზას არ მივიღებ. დოზა მჭირდება იმისთვის, რომ თავი ნორმალურ ადამიანად ვიგრძნო. არიან ისეთები, ვინც კაიფის გამო იკეთებენ. თავიდან მეც ასე ვიყავი. მერე იმხელა დოზებზე ვიჯექი, ვერანაირ კაიფს ვერ ვგრძნობდი. ვიმკურნალებდი, "ლომკას" გადავიტანდი და ამის შემდეგ ხელახლა ვიწყებდი კეთებას - დგებოდა კაიფი, ანუ ის, რისთვისაც წამლის კეთებას იწყებენ. ახლა, როცა გაკეთებული მაქვს, ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, არც "მაკიმარებს", არც მეფხანება, უბრალოდ თავს კარგად ვგრძნობ. შეგიმჩნევია ჩემთვის რაიმე მსგავსი? ახლაც წამალი მაქვს გაკეთებული, მეტყობა?"**

■ ■ ■

გაერო-ს ნარკოტიკებზე კონტროლის ბიუროს 1998-2001 მონაცემებით, ყოველწლიურად 185 მილიონი ადამიანი მოიხმარდა ნარკოტიკებს. ახალი მონაცემებით, ეს მაჩვენებელი საგრძნობლად გაზრდილია.

ნარკოტიკების მომხმარებლები ორ ჯგუფად იყოფიან - მომხმარებელი და ნარკომანი.

მომხმარებლები იშვიათად მოიხმარენ ნარკოტიკებს, ან მოიხმარენ ხშირად, თუმცა აქვთ პერიოდები, როცა ნარკოტიკებს საერთოდ არ ეკარებიან.

ნარკომანი არის ავადმყოფი, რომელსაც წამლის გარეშე არ შეუძლია. ზიანის შემცირების პროგრამები განსაზღვრულია იმ ხალახლისთვის, ვისაც არ შეუძლია ან არ სურს ნარკოტიკის გარეშე ცხოვრება. საქართველოში ასეთი ადამიანების რაოდენობა, სხვადასხვა კვლევებით, 50.000-დან 70.000-მდე მერყეობს.

*მარინა ასათიანი, ორგანიზაცია ფსიქო-სოციალური ინფორმაციისა და კონსულტაციის ცენტრი "ახალი გზა":* **"რეპრესიული პოლიტიკა, რაზეც ორიენტირებულია საქართველო, შედეგს ვერ იძლევა. საქართველოში ნარკოტიკების მომხმარებელი 250.000 - 300.000 ადამიანია. ინტრავენურად ნარკოტიკს 50.000 - 70.000 ადამიანი მოიხმარს. შიდსის ვირუსით დაავადებულები, უპირველეს ყოვლისა, ნარკოტიკების ინტრავენური მომხმარებლები არიან. საქართველოში დღეისთვის 1000-მდე აივ/ვირუსით ინფიცირებული ადამიანია რეგისტრირებული. მათი 70 პროცენტი ნარკოტიკების ინტრავენური მომხმარებელია. შიდსი, C და B ჰეპატიტები, სოციუმში სწორედ ნარკომანების წრიდან გადის. ჩვენი ორგანიზაცია ზიანის შემცირების პოლიტიკაზე ორიენტირებულია. ვცდილობთ, საზოგადოებას უფრო ნაკლები ზიანი მიადგეს ნარკოტიკებისგან. ამ პოლიტიკის სტრატეგული მიმართულებებია:**

**1. შპრიცების გაცვლა - ინფორმაციის მიწოდება, რათა ნარკომანმა იცოდეს, რა საფრთხეს შეიცავს ერთი შპრიცის მოხმარება. შპრიცების დარიგება ავადმყოფებისთვის. ჩვენი ორგანიზაცია პირველია, ვინც საქართველოში შპრიცების გაცვლის პროგრამა დაიწყო;**

**2. კონსულტაცია და ტესტირება - გულისხმობს კონსულტაციებს ნარკომომხმარებლებისთვის. უფასო ტესტირებას შიდსზე, B,C ჰეპატიტზე;**

**3. ჩანაცვლებითი თერაპია - ჩანაცვლება ხდება უფრო მსუბუქი ნარკოტიკებით. ეს პროგრამა ხელს უწყობს ადამიანის დეკრიმინალიზაციას. ამ პროგრამაში მონაწილე წამალზე დამოკიდებულ პირებს აღარ უწევთ ნარკობარიგებთან ურთიერთობა, ნარკოტიკების მოსაპოვებლად ძარცვა და ყაჩაღობა. პროგრამა ხელს უშლის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას. ადამიანი ხდება სოციალურად არასაშიში;**

**4. ნარკოტიკების მომხმარებელთა ოჯახებისთვის ინფორმაციის მიწოდება - როგორ დაიცვან თავი გადამდები ინფექციებისგან. ასევე ამ პროგრამაში შედის ოჯახის წევრების ფსიქოლოგიური დახმარება;**

**5. ნარკოტიკების უსაფრთხო ინექციური მიღებისთვის განკუთვნილი ოთახები - ეს პროგრამა საქართველოში არ მუშაობს;**

**6. ნარკოტიკების მიღების გამო სამართალდასჯის შეცვლა ან მოხსნა. ჯერჯერობით არც ეს საკითხია მოგვარებული.**

**ზემოთ ჩამოთვლილ პროგრამებს "გლობალ ფონდი" აფინანსებს. და ეს პროგრამები გადანაწილებულია სხვადასხვა ორგანიზაციებზე.**

**ზიანის შემცირების პოლიტიკა ნარკომანს განიხილავს, როგორც ავადმყოფს. ის არის ადამიანი, რომელსაც გააჩნია კონსტიტუციური უფლებები (სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს მოქალაქის ჯანმრთელობაზე).**

**დღეს საქრთველოში ორმაგი სტანდარტები მოქმედებს. არსებობს ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონი, რომელიც აღიარებს, რომ ნარკომანია დაავადებაა, "რომელიც ხასიათდება ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისადმი მზარდი, დაუძლეველი სურვილით, მათ მიმართ ჩამოყალიბებული ფსიქიკური ან/და ფიზიკური დამოკიდებულებით".**

ამავე დროს არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი: პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე რაოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისთვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, არის დანაშაული და ისჯება.

"ალტერნატივა ჯორჯიას" მიერ შემუშავებული კანონპროექტი ლიბერალურია. მასში ძირითადი აქცენტი ზიანის შემცირების პოლიტიკაზეა გადატანილი. ზიანის შემცირების პოლიტიკა ახალი ნარკოსტრატეგიის განმსაზღვრელი ფაქტორი უნდა გახდეს. კანონპროექტს მხარს 18 არასამთავრობო ორგანიზაცია უჭერს. ამ პროექტის მიხედვით წამალდამოკიდებული ადამიანების პრობლემები უნდა შედიოდეს არა სამართალდამცავების, არამედ ჯანდაცვის სამინისტროს კომპეტენციაში. ეს ადამიანები უნდა ექვემდებარებოდნენ მკურნალობას და არ უნდა იდევნებოდნენ.

ამ კონცეფციის მიხედვით, ნარკოპოლიტიკა უნდა იყოს გონივრული და ჰუმანური - სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს წამალდამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობაზე და არა მის იზოლირებაზე. ნარკოპოლიტიკა უნდა იყოს კანონზომიერი. იგი უნდა შეესაბამებოდეს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას. ქვეყანაში უნდა არსებობდეს ზიანის შემცირების, სამკურნალო, სარეაბილიტაციო-სოციალური, დასაქმების პროგრამები.

ხელისუფლებაში ამ პრობლემის გარშემო აზრი ორად გაიყო. ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძემ საჯაროდ დააფიქსირა, რომ ნარკომანია არის ავადმყოფობა და არ უნდა ისჯებოდეს. მისივე აზრით, წინასწარი დაკავების იზოლატორებში და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჩანაცვლებითი თერაპიის ცენტრები უნდა არსებობდეს.

■ ■ ■

*ჩემი ნარკომანი მეგობარი:* **"ერთჯერადი შპრიცები? კაია, მაგრამ როცა წამალი უცბად "იჩითება" და შპრიცი არ არის, ვინ დაიწყებს მაგაზე "ჩალიჩს"? ახლა უფრო საშიში გახდა. ადრე მთელი უბანი ერთი შპრიცით ვიჩხირავდით. შპრიცს კორპუსის საფოსტო ყუთებში ვმალავდით და ყველას შეეძლო საჭიროების მიხედვით ესარგებლა. ეგეთებიც მომხდარა, რომ ერთჯერადი შპრიცი ვერ გვიყიდია. უბანში პოლიცამ თავის უბნელ ნარკომანებზე ყველაფერი იცის. აფთიაქში, როგორც კი დაგაფიქსირებენ, დაგიჭერენ ფაქტით და მერე უნდა გადაიხადო. ფული კიდე ძნელი საშოვნელი იყო ყოველთვის. პრინციპში, პოლიციელებთან რაღაც განსაკუთრებული პრობლემები არ მქონია. ყოველთვის ვიხდიდი იმას, რასაც მეუბნებოდნენ. ადრე ერთმა პოლიციელმა მითხარა, ყველაზე კაი კლიენტები ჩვენთვის თქვენ და კანონიერი ქურდები ხართ, რასაც გთხოვთ, უპრობლემოდ იხდითო. მართალი იყო ის კაცი. ვინც არ იხდიდა, პოლიციაზე მუშაობდა, მაგათ წამალზე იჯდა. ეს კი სახიფათო იყო. რამდენიმე წლის წინ პოლიციელებმა ქუჩაში ჭუჭყიანი წამალი გაყიდეს და 6 ადამიანი დაიღუპა. ყველაზე სერიოზული პრობლემა ბარიგებთან ურთიერთობაა, ყველა პოლიციასთან არის შეკრული დღემდე. თუ გადააგდებ, დედა არა გყავს."**

■ ■ ■

*დალი ურუშაძე, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის - "ახალი გზა" - ხელმძღვანელი:* **"სახელმწიფოს ნარკომანიის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს. საკითხი, ძირითადად, ჩინოვნიკების დონეზე წყდება. ზოგ ჩინოვნიკს ესმის პრობლემა, ზოგს კი მიაჩნია, რომ ნარკომანები ერთ დღეს უნდა გაჟლიტო. კანონი მათ დამნაშავედ მიიჩნევს. დღევანდელი კანონი არაკეთილსინდისიერ პოლიციელებს აძლევს საშუალებას, ავადმყოფი ადამიანები დააშანტაჟოს, მოექცეს მათ არაადამიანურად, შელახოს მათი უფლებები და ღირსება.**

**ჩემს პაციენტებს აქვთ მოყოლილი საზარელი შემთხვევები - არ იყიდეს აფთიაქში ერთჯერადი შპრიცი, ვინაიდან აფთიაქთან პოლიცია იდგა. ამ მხრივ უმძიმესი ვითარებაა რაიონებში. პატარა ქალაქებში ყველა ერთმანეთს იცნობს და აფთიაქებში შპრიცების ყიდვა სახიფათოა. ერთმა პაციენტმა მიამბო, როგორ გაიჩხირეს წამალი ტყეში, ამის შემდეგ შპრიცი ხეში შეარჭვეს. მეორე დღეს წავიდნენ, ხიდან ამოაძვრეს და იმით გაიკეთეს წამალი.**

**ახლა ხშირად ამბობენ, რომ "ალტერნატივა ჯორჯიას" მიერ შემუშავებული კონცეფცია ლიბერალურია. ლიბერალიზაცია კი ნარკოაფეთქებას გამოიწვევსო.**

**ამ ხალახს ავიწყდება, რომ ლიბერალიზაცია უკვე მოხდა - გაუქმდა ნარკომანიასთან ბრძოლის ბიურო, სსკ-ს 273 მუხლი აღარ სრულდება, ნარკოტიკი ხელმისაწვდომი გახდა, მისი გაყიდვა სამარცხვინო საქმედ აღარ ითვლება. დღეს საზოგადოება ამართლებს ნარკოვაჭრებს, რომლებიც საჯაროდ აცხადებენ, რომ ამ საქმეს ხელი ოჯახის გამოსაკვებად მოჰკიდეს - აბა, შიმშილით ხომ არ დახოცავს ოჯახსო. მომხდარმა ლიბერალიზაციამ გამოიწვია ნარკოტიკების მომხმარებელთა ასეთი სწრაფი და კატასტროფული ზრდა. ნარკოაფეთქება უკვე მოხდა.**

**ასეთ ვითარებაში ინტრავენური ნარკომანები ბედის ანაბარა არიან მიტოვებული. არადა კონსტიტუციაში წერია, რომ ადამიანს აქვს უფლება, იმკურნალოს. კანონში მითითებულია, რომ ნარკომანმა აუცილებლად უნდა გაიაროს იძულებითი მკურნალობის კურსი, მაგრამ ეს სამკურნალო დაწესებულებები არ არსებობს. ცხადია, კარგია ნარკოპრევენცია, კარგია რეაბილიტაცია, მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც 50.000-70.000 ათასი ნარკომანია, ზიანის შემცირების პოლიტიკა ნარკოპოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტი უნდა იყოს".**

ნარკოპოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭოს მიერ წარმოდგენილი სტრატეგიის ძირითადი მიზნები საქართველოში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის, ნარკომანიის გავრცელებისა და მისგან გამოწვეული საზიანო შედეგების შემცირებაა.

ამ დოკუმენტში პრიორიტეტული მიმართულებია ნარკოტიკების მოხმარების გავრცელების შეზღუდვისთვის საზოგადოების აქტივობის გაზრდა, ქვეყნის მოსახლეობაში ნარკოტიკების მოხმარების გავრცელების შემცირება, ახალგაზრდებში ნარკოტიკების მოხმარების პრევენცია, ძალოვანი სტრუქტურების მიზანდასახული მოქმედების გააქტიურება ნარკოტიკების ხელმისაწვდომობის შესამცირებლად.

ნარკოპოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭოს ხელმძღვანელის თამუნა სირბილაძის განცხადებით, ნარკოტიკებზე დამოკიდებულ პირთა მკურნალობის, სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის, საზოგადოებაში რეინტეგრაციის ეფექტური სისტემის ამოქმედება აღნიშნული სტრატეგიის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს.

დაფინანსების სიმცირის გამო, სახელმწიფო ვერ ახერხებს შესაბამისი ზომების გატარებას ქვეყანაში ნარკოტიკების მიწოდების შეზღუდვის, მათი მოხმარების პრევენციისა და სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროგრამების დანერგვის მხრივ. ამ ვითარებას კიდევ უფრო ართულებს არასრულყოფილი კანონმდებლობა, აღსრულების მოძველებული მექანიზმები, საზოგადოების უმოქმედობა.

ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გიგი წერეთელი აცხადებს, რომ სახელმწიფოს ამ პრობლემის სრულად მოგვარების სახსრები არ გააჩნია: **"როდესაც ნარკოპოლიტიკის დოკუმენტი მზად იქნება, გაიწერება კონკრეტული სამოქმედო გეგმა. ეს დაკავშირებულია ფინანსებთან და სახელმწიფომ ზუსტად უნდა იცოდეს, რაში დახარჯავს ფულს, ანუ რა იქნება პრიორიტეტი".** გიგი წერეთელი "ალტერნატივა ჯორჯიას" მიერ შეთავაზებული კონცეფციის იმ ნაწილს, სადაც ნარკოპოლიტიკის სრულ ლიბერალიზაციაზეა საუბარი, ეჭვის თვალით უყურებს.

სავარაუდოდ ორივე კონცეფციის შეჯერების შემდეგ შეიქმნება ერთიანი დოკუმენტი, რომელიც საქართველოს ახალი ნარკოპოლიტიკის მიმართულებებს განსაზღვრავს. უკვე წინასწარ ცნობილია, რომ ნარკოტიკების მოხმარებისთვის ადმინისტრაციული სასჯელი ძალაში დარჩება. სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილ პროექტში გაზრდილია ნარკოტიკების შენახვისთვის დაკისრებული ჯარიმის თანხა. გახდება თუ არა გაზრდილი საჯარიმო სანქციები კორუფციის წყარო?

ნარკომანს წამლის გაკეთება, პირველად დაჭერის შემთხვევაში - 1500, შემდეგ კი 3000 ლარი დაუჯდება. ფულის გადაუხდელობისთვის, მას რამდენიმედღიან პატიმრობას მიუსჯიან. გამოცდილება აჩვენებს, რომ ასეთ შემთხვევებში, საკითხი უფრო მარტივად წყდება: პოლიციელი არ გაატარებს რეგისტრაციაში ფაქტზე დაჭერილ ნარკომანს. 1500 ან 3000 ლარის ნაცვლად გარკვეულ თანხას გამოსძალავს ნარკომანს და ყველაფერი მოგვარებული იქნება.

იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გიგა ბოკერია სახელმწიფოს მიერ ნარკოპოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დაფინანსებას ამ წელს არარეალურად მიიჩნევს: **"სახელმწიფოს ამისთვის ამ ეტაპზე რესურსები არ გააჩნია. საკითხს პარლამენტი შემოდგომაზე განიხილავს. რაც შეეხება ადმინისტრაციულ სასჯელსა და სახდელს, ადმინისტრაციული სასჯელი ნარკოტიკების შენახვისთვის დარჩება. ასეა ევროპის ყველა ქვეყანაში. ექსპერიმენტი ჩატარდა ბერლინში, სადაც ნარკოტიკების მოხმარებისთვის ყოველგვარი სასჯელი გაუქმდა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ის არ აღმოჩნდა წარმატებული. ადმინისტრაციულ სასჯელზე ნარკომომხმარებლების მიმართ არც ერთ სახელმწიფოს უარი არ უთქვამს".**



## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს შემდეგი სახის მომსახურებაზე:. თბილისის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ტყის ფონდის 8854ჰა ფართობზე ტყეთმოწობის (ინვენტარიზაცია და მონაცემთა დამუშავება) მომსახურების სამუშაოების ჩასატარებლად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. მომსახურების სამუშაოს მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 4 დეკემბრისთვის.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის *17 ივლისის 12 საათიდან 24 ივლისის 12საათამდე,* შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი მინდელის ქN9 V სართული.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ცნობებს შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას შესაბამისი რაიონული საგადასახადო ინსპექციიდან რომ მათ ბიუჯეტის წინაშე არ ერიცხებათ დავალიანება;

დ) ინფორმაციას უკანასკნელ პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

ე) ცნობას, შესაბამისი რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია აგრეთვე რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ვ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვლიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

4. დაინტერესებული პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2006 წლის 27ივნისის *12 სთ-დან 14 ივლისის 12სთ-მდე მისამართზე:* ქ. თბილის მინდელის ქ.9, V სართული.

6. სატენდერო მოსაკრებელი შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ვაკე-საბურთალო) საიდენტიფიკაციო კოდი 206160606, ანგარიშის N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი კოდი 220101107 შემოსულობების კოდი 300043133

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი დავლაძე-ტელ:(899)114364; ეკატერინე ირემაძე-ტელ:(893)619061 (822)329092. მისამართი: ქ. თბილისი მინდელის ქ.N9 V სართული.

**/სატენდერო კომისია/**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აცხადებს ტენდერს **ეროვნული სააგენტოს ცენტრალური და ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების დაცვის მომსახურების შესასყიდად** ერთ ლოტად და გიწვევთ მონაწილეობის მისაღებად.

2. დასაცავი ობიექტების ნუსხა:

| № | *დასაცავი ობიექტის დასახელება* | *მისამართი* |
|---|---|---|
| 1 | **საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცენტრალური ოფისი** (1953,1 მ²) | ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.№2 |
| 2 | **თბილისის** სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (1478 მ²) | ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზ.№89/24, IV და V სართული. |
| 3 | **თბილისის** სარეგისტრაციო სამსახურის ტექ.ინვენტარიზაციის არქივი (739 მ²) | ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზ.№89/24, VI სართული |
| 4 | **ბათუმის** სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (288 მ²) | ქ.ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №72ა |
| 5 | **ქუთაისის** სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (მ²) | ქ.ქუთაისი, რუსთაველის ქ.№3ა |
| 6 | **წყალტუბოს** სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (150 მ²) | ქ.წყალტუბო, რუსთაველის ქ.№25 |
| 7 | **ზესტაფონის** სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (92 მ²) | ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქ.№11 |
| 8 | **სამტრედიის** სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (122 მ²) | ქ.სამტრედია, რესპუბლიკის ქ.№6 |
| 9 | **ხონის** სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (80 მ²) | ქ.ხონი, კაკაბაძის ქ.№17 |
| 10 | **ფოთის** სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (175 მ²) | ქ.ფოთი, 26 მაისის ქ.№7 |
| 11 | **ზუგდიდის** სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (233 მ²) | ქ.ზუგდიდი, სტალინის ქ.№5 |
| 12 | **სენაკის** სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (101 მ²) | ქ.სენაკი, რუსთაველის ქ.№235 |
| 13 | **ოზურგეთის** სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (228 მ²) | ქ.ოზურგეთი, კოსტავას ქ.№1 |
| 14 | **რუსთავის** სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (მ²) | ქ.რუსთავი, კოსტავას ქ.№36 |
| 15 | **მარნეულის** სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (187მ²) | ქ.მარნეული, რუსთაველის ქ.№70 |
| 16 | **მცხეთის** სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (305 მ²) | ქ.მცხეთა, მუხრანის ქ.№17 |
| 17 | **თელავის** სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (200 მ²) | ქ.თელავი, კავკასიონის ქ.№33 |
| 18 | **სიღნაღის** სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (262 მ²) | ქ.სიღნაღი, ქეთევან წამებულის ქ.№1 |
| 19 | **ახალციხის** სარეგისტრაციო სამსახურის ოფისი (467 მ²) | ქ.ახალციხე, კეცხოველის ქ.№6 |

3. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა 2006 წლის 8 აგვისტოდან 2007 წლის 8 აგვისტომდე.

4. მონაწილეობაზე თანხმობის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოთ ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება, მოთავსებული ერთ დახურულ პაკეტში, 2006 წლის 17 ივლისიდან 18 ივლისის 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2, სააგენტოს შესყიდვების სამსახურში (III სართული).

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ე) სასამართლოს დადგენილება ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ, წესდება (ასლი), ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის - დებულება ან წესდება (ასლი) დამტკიცებული ზემდგომი ორგანოს მიერ და რეგისტრირებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროში;

ვ) საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ზ) ცნობა საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

თ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ლიკვიდაციის და სანაციის საქმის წარმოება;

**ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

გარდა ამისა, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მომსახურება:

| № | მომსახურების დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| | | | |

- მომსახურების გაწევისათვის საჭირო აღჭურვილობა:

| № | აღჭურვილობის სახე | მოდელი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან), შეძენილ იქნება (ვისგან) |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

პერსონალი, რომელიც განახორციელებს ტენდერით გათვალისწინებული ობიექტების დაცვას, აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი უნიფორმით, კავშირგაბმულობის საშუალებებით (რაციები, მობ.ტელეფონები), სასურველია უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი ტრანსპორტით და რეგიონული ოფისით;

- მონაწილე იურიდიული პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინა საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

6. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი და ვადაგასული.

7. ტენდერში მონაწილეობის მსურველები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 18 ივლისამდე, სატენდერო მოსაკრებლის (200 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2 (ხეთაგუროვის ქ.N2), სააგენტოს შესყიდვების სამსახურში (III სართული).

8. სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი) გადარიცხული უნდა იქნეს:
მიმღების დასახელება - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიში N200122900, მიმღები ბანკი - საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი N220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N302003000, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, დამატებითი ინფორმაცია - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო - 8191.

9. პაკეტები გაიხსნება 2006 წლის 18 ივლისს 12 საათზე.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან:
**გიორგი უშვერიძე** - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი,
საკონტაქტო ტელეფონი: 91-05-17
ფაქსი: (995 32) 91-03-41
მისამართი: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2, სააგენტოს შესყიდვების სამსახური (IIIსართული).

**სააგენტოს სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "სამგზავრო" (მის: 4600, ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა მე-9 ჩიხი, N2), აცხადებს ტენდერს საწვავ-საპოხი საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
**შესასყიდი საქონელი: დიზელის საწვავი 80000 ლიტრი**

მიწოდების ადგილი: ქუთაისი
მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს დადგენილ ნორმებსა და სტანდარტებს.
2. მიწოდების სავალდებულო ვადაა: 2006 წლის 24 ივლისი - 31 დეკემბერი 2006წ. ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის მიხედვით.
3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე, ერთ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 18 ივლის 11 საათიდან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: 4600, ქ.ქუთაისი, ნიკეას ქუჩა მე-9 ჩიხი, N2 , შპს "სამგზავრო", სატენდერო კომისიის აპარატი,. განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.
4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
**4.1 იურიდიული პირისათვის:**
ა) სასამართლო დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.
ბ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ან მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან და სასამართლოდან)
გ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);
დ) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);
**4.2 ფიზიკური პირისათვის**:
ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);
ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);
გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)
**4.3 როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**
ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები)
ბ) ცნობა სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.
გ) ცნობა სრულად გასტუმრებული ვადიანი გადასახადების შესახებ სახელმწიფოს წინაშე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საგადასახადო ინსპექციიდან)
დ) ინფორმაცია მსგავს შესყიდვებში მონაწილეობის შესახებ, აღნიშნული პირის ანალოგიური შესყიდვის პროცედურების უკანასკნელი 3 წლის გამოცდილება შემდეგი მონაცემების წარმოდგენით:

| № | მიწოდებული ობიექტის (საქონელი, სამუშაო, მომსახურება) დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |
| | | | |

ე) საქონლის მიწოდებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმები, სატრანსპორტო საშუალებები და მოწყობილობა-დანადგარები:

| № | მოწყობილობა მექანიზმის დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან), შეძენილი იქნება (ვისგან) |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | | | | | |

ზ) ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

| № | თანამდებობა | გვარი,სახელი, მამის სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |

თ) საწვავის ხარისხის შესაბამისობის სერთიფიკატი;

5. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით
6. სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში N200122900, მიმღები საქართველოს ეროვნული ბანკის ცენტრალური ფილიალი, თბილისი, მფო. 220101107, ს/კ 212831550, ბიუჯეტის შემოსავლების სახაზინო კოდია - 300184040, დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 17 ივლისის 16 საათამდე, მისამართზე: ქ.ქუთაისი, ნიკეას ქუჩა მე-9 ჩიხი, N2, შპს "სამგზავრო".
7. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

8. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი წინადადება. ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა მიუღებელია.

9. ტენდერში მონაწილეობისათვის დაუშვებულია სუბ-კონტრაქტორების გამოყენება.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან გოჩა მარგველაშვილი, მისამართზე ქ.ქუთაისი, ნიკეას ქუჩა მე-9 ჩიხი, N2 ტელ: (8231) 2 11 52 შპს "სამგზავრო".

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აცხადებს ღია ტენდერს ქ. თბილისში მიწისქვეშა გადასასვლელების სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
შესყიდვის ობიექტი დაყოფილია - 6 ლოტად (პოზიციად):
1. ლოტი (პოზიცია) - კოსტავას ქუჩაზე - ფილარმონიასთან მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელი;
2. ლოტი (პოზიცია) - რუსთაველის გამზირზე - მეცნიერებათა აკადემიასთან მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელი;
3. ლოტი (პოზიცია) - რუსთაველის გამზირზე - ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრთან მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელი;
4. ლოტი (პოზიცია) - რუსთაველის გამზირზე - I გიმნაზიასთან მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელი;
5. ლოტი (პოზიცია) - თავისუფლების მოედანზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელი;
6. ლოტი (პოზიცია) - ლეონიძისა და გალაქტიონის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელი;
შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: ლესვითი, მოპირკეთებითი სამუშაოები, მიწისქვეშა გადასასვლელების კოსმეტიკური რემონტი.
**2**. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 დღე. 3.განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 19 ივლისის 12 საათიდან 2006 წლის 19 ივლისის 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.
**4.**პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახე;
- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (იჯარის შემთხვევაში საიჯარო ხელშეკრულება);
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.
6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 26 ივნისის 12 საათიდან 2006 წლის 18 ივლისის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.
7.ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.
8.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" (საქართველო, 4401 ფოთი, დ. აღმაშენებლის N52, ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48), **bjojua@potiseaport.com,** საინდ/კოდი 215080999, საბანკო რეკვიზიტები "თი-ბი-სი" ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა 609103, ბ/კ 220101937; ან Bankers Trust Company, New york Ny 10006, Swift BKTRU 33, FED. ABA-021001003, CHIPS UID-090400, Cor. Acc. 04414200. TBS - BANK. CHIPS UID N368655. SWIFT TBCB GE22. for TBC BANK P0ti Branch. acc N10070337. LTD Poti SEA PORT აცხადებს ღია ტენდერს მცურავი საშუალებებისათვის ძრავების შესყიდვაზე.

2. შესასყიდი საქონლის დასახელება და რაოდენობა:

**ლოტი N1**

ძრავი - ცხენის ძალა bhp-420; kv bkw-313; მეტრი ცხენის ძალა mhp-426; ტურბო ჩარჯერით შემდგომი გაგრილებით, ASP-TA; ბრუნი/წუთში rpm-2800; წვა გალონი/საათში u.s. gph-21,8, წვა ლიტრ/საათში L/h-82,6 3126 (მარჯვენა) - 1 ცალი

**ლოტი N2**

ძრავი დიზელის - 3 ე12 ალ (მარცხენა ბრუნი) - 1ც

რედუქტორთან ერთად წინა სვლა - 1:2,95; უკანა სვლა - 1:2,18

2.1 საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ცენტრალურ საწყობში "მიმწოდებლის" ხარჯებითა და სატრანსპორტო საშუალებებით, 3. საქონლის მიწოდების სასურველი ვადაა: 2006 წლის 1 ნოემბრამდე

4. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა", თავისი ქვეყნის კანონით დადგენილი შესაბამისი უწყებებიდან მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული, კანცელარია

4.1 წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;

5.1 იურდიული პირებისათვის;

5.1.1.ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე;

5.1.2.ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

5.1.3 ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

5.2 ფიზიკური პირისათვის:

5.2.1. ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია;

52.2. ცნობა საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული.

5.2.3 ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

5.3 იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:

5.3.1. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით) რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი (მიუთითეთ საკონტაქტო პირის ტელეფონი-ფაქსი)

5.3.2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

5.3.3. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება

| № | საქონლის დასახელება | შემსყიდველის დასახახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1 | | | |
| 2 | | | |
| | | | |
| | | | |

6. ტენდერში მონაწილე ვერ გაივლის თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის (პაკეტის) გატანისათვის პრეტენდენტმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

8. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა (სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) პრეტენდენტის მოთხოვნისამებრ განხორციელდება 2006 წლის 17 ივლისის 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართული. სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48.

9. დალუქულ კონვერტებში სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წამოდგენის ბოლო ვადაა: 2006 წლის 17 ივლისის 17.00 საათამდე განცხადების მე-4 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

10. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია სატენდერო წინადადების მთლიანი ღირებულების 1%-ის ოდენობით.

11. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

12. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

13. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესრულების ბოლომდე.

14. სატენდერო კომისიის მიერ მითითებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს, რომლებიც იქნებიან ჩართულნი "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

15. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გმარჯვებულის გამოვლენა.

16. ტენდერში მონაწილეებმა სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინონ მოსაწოდებელი საქონლის ხარისხისა და შესაბამისობის სერთიფიკატები.

17. დამატებითი ინფორმაცია ტენდერის პროცედურების შესახებ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ტელ-ფაქსი: (+995 393) 7-01-48, ტექნიკური მონაცემების შესახებ ვლადიმერ ხოხობაიასაგან შპს "ფ.ს.ნ."-ს დირექტორი წარმოებისა და ექსპლუატაციის დარგში ტელ-ფაქსი: (+995 393) 7-01-02 მობ/ტელ: 8(99) 57-01-03, ელ. ფოსტა: contact@potiseaport.com ან admin@potiseaport.com.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" (საქართველო, 4401 ფოთი, დ. აღმაშენებლის N52, ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48), **bjojua@potiseaport.com** საინდ/კოდი 215080999, საბანკო რეკვიზიტები "თი-ბი-სი" ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა 609103, ბ/კ 220101937; ან Bankers Trust Company, New york Ny 10006, Swift BKTRU 33, FED. ABA-021001003, CHIPS UID-090400, Cor. Acc. 04414200. TBS - BANK. CHIPS UID N368655. SWIFT TBCB GE22. for TBC BANK Piti Branch. acc N10070337. LTD Poti SEA PORT აცხადებს ღია ტენდერს სხვადასხავა სახის სადაზღვევო მომსახურების შესყიდვაზე.

2. შესასყიდი სადაზღვევო მომსახურების დასახელება:

**ლოტი N1** - ქონების (გარდა ლოტი N2 და ლოტი N5) დაზღვევა

**ლოტი N2** - მანქანა-დანადგარების დაზღვევა

**ლოტი N3** - სამოქალაქო პასუხისმგებლობის,

**ლოტი N4** - გემის ძარისა და P&I დაზღვევა

**ლოტი N5** - ავოტრანსპოტის დაზღვევა

2.1 მომსახურების ადგილი და ვადა: შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური, 2006 წლის

1 აგვისტოდან 2007 წლის 1 აგვისტომდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული, კანცელარია.

4.1 წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

4..2.საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას

იურიდიული პირებისათვის

4.2.1.ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე;

4.2.2.ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

4.2.3.ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

4.2.4.მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით) რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი (მიუთითეთ საკონტაქტო პირის ტელეფონი-ფაქსი)

4.2.5.ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

4.2.6.უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მომსახურება: სახეობების მიხედვით მოზიდული პრემია, ანაზღაურებული ზარალი, გადაზღევევის მოცულობა.

| № | მომსახურების დასახელება | შემსყიდველის დასახახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1 | | | |
| 2 | | | |

4.2.7.კომპანიის ბოლო 3 (სამი) წლის ფინანსური ანგარიშგების ფორმები, დამოწმებული სერთიფიცირებული აუდიტორიული კომპანიის მიერ.

4.2.8ზემოხსენებული სახეობების დაზღვევის პირობები, გადამზღვევ კომპანიათა შესახებ ინფორმაცია, გადაზღვევის მოცულობა, გადაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი. (არ მიიღება გადაზღვევა A.M. Best შეფასებით B- და Standard and Poors შეფასებით BBB- დაბალი რეიტინგის მქონე კომპანიებიდან, გადაზღვევის შესახებ ინფორმაცია ექვემდებარება გადამოწმებას).

5. ტენდერში მონაწილე ვერ გაივლის შერჩევას საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის (პაკეტის) გატანისათვის პრეტენდენტმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

7. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა (სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) განხორციელდება პრეტენდენტის მოთხოვნისამებრ 2006 წლის 14 ივლისის 1700 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართული. სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48.

8. სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წამოდგენის ბოლო ვადაა: 2006 წლის 14 ივლისის 1700 საათამდე განცხადების მე-4 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

19. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია სატენდერო წინადადების მთლიანი ღირებულების 1%-ის ოდენობით.

10. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

11. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

12. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესრულების ბოლომდე.

13. სატენდერო კომისიის მიერ მითითებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს, რომლებიც იქნებიან ჩართულნი "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

14. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გმარჯვებულის გამოვლენა.

15. ტენდერში გამარჯვებულის გამოსავლენად უპირატესობა მიენიჭება შემდეგ პრიორიტეტებს: კომპანიის ფინანსურ საიმედოობა, სადაზღვევო ტარიფი, ზარალის დარეგულირების ვადები. ტენდერში მონაწილემ სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს აღნიშნულ სახეობებში სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიები,

16. დაინტერესებულ პირებს ტენდერის პროცედურების დამატებითი ინფორმაციისათვის შეუძლიათ მიმართონ ლალი კეშელავასა და მანანა დანელიას ტელ-ფაქსი: (+995 393) 7-01-48, ხოლო ტექნიკური მონაცემების შესახებ შპს "ფ.ს.ნ."-ს სადაზღვევო საქმიანობის კოორდინატორ მაია დაგარგულიას მობ: 8(99)966928

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" (საქართველო, 4401 ფოთი, დ. აღმაშენებლის N52,ტელ-ფაქსი:8(293)7-01-48),bjojua@potiseaport.com საინდ/კოდი 215080999, საბანკო რეკვიზიტები "თი-ბი-სი" ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა 609103, ბ/კ 220101937; ან Bankers Trust Company, New york Ny 10006, Swift BKTRU 33, FED. ABA-021001003, CHIPS UID-090400, Cor. Acc. 04414200. TBS - BANK. CHIPS UID N368655. SWIFT TBCB GE22. for TBC BANK Poti Branch. acc N10070337. LTD Poti SEA PORT აცხადებს ღია ტენდერს სხვადასხავა სახის გადამტვირთავი ტექნიკის სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე.

2. შესასყიდი საქონლის დასახელება:

**ლოტი N1**

**2.1. ავტომტვირთველებისათვის:**

2.1.1.CUKUROVA GF40;

2.1.2.KALMAR DRD420-60S5;

2.1.3.KALMAR LMVDC 10-600;

2.1.4.TOYOTA 7FB15;

2.1.5.TOYOTA FLK-02-7FD40FSV EC 241;

2.1.6.TOYOTA 02-5FD40FSV A4;

2.1.7.TOYOTA 02-6FD18FV;

2.1.8.TOYOTA 3FD100FV.

**ლოტი N2**

**2.2 ტრაქტორმტვირთველებისათვის:**

2.2.1.KOMATSU wa200-1;

2.2.2.LIEBHER L531;

2.2.3.CUKUROVA 848H;

2.2.4.TOYOTA RAH-4SDK8

2.2.5.CBOBCAT 843.

**ლოტი N3**

**2.3. უნაგირა მაწევარასათვის:A**

2.3.1. SISU TR160L3.

2.3.2. Terberg-RT25-008;

2.3.3 Terberg YT180-4X2

3. საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ცენტრალურ საწყობში "მიმწოდებლის" ხარჯებითა და სატრანსპორტო საშუალებებით. (CIF-ფოთი)

4. **საქონლის მიწოდების სასურველი ვადებია:**

**4.1.** I; II და III ლოტები 2006 წლის 30 ნოემბრამდე.

5. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა" თავისი ქვეყნის კანონით დადგენილი შესაბამისი უწყებებიდან მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული კანცელარია. წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას

6.1. **იურიდიული პირებისათვის:**

6.1.1.ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე.

6.1.2.ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

6.1.3.ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

6.2. **იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:**

6.2.1.მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით) რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი (მიუთითეთ საკონტაქტო პირის ტელეფონი-ფაქსი).

6.2.2.ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

6.2.3.უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება.

| № | საქონლის დასახელება | შემსყიდველის დასახახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1 | | | |
| 2 | | | |

7. ტენდერში მონაწილე ვერ გაივლის შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

9. სატენდერო დოკუმენტაციის (პაკეტის) გატანისათვის პრეტენდენტმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

10. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა (სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) პრეტენდენტის მოთხოვნისამებრ განხორციელდება 2006 წლის 17 ივლისის 1700 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართული. სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48.

11. დალუქულ კონვერტებში სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წამოდგენის ბოლო ვადაა: 2006 წლის 17 ივლისის 1700 საათამდე განცხადების მე-5 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

12. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია სატენდერო წინადადების მთლიანი ღირებულების 1%-ის ოდენობით.

13. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

14. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

15. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესრულების ბოლომდე.

16. სატენდერო კომისიის მიერ მითითებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს, რომლებიც იქნებიან ჩართულნი "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

17. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

18. ტენდერში გამარჯვებულის გამოსავლენად უპირატესობა მიენიჭება შემდეგ პრიორიტეტებს: საქონლის ხარისხს, საქონლის მიწოდების ვადებს, ანგარიშსწორების პირობებს და საქონლის ღირებულებას. ტენდერში მონაწილემ სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი საქონლის ხარისხის, შესაბამიოსობისა და წარმოშობის სერთიფიკატები.

19. დამატებითი ინფორმაცია ტენდერის პროცედურების შესახებ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ტელ-ფაქსი: (+995 393) 7-01-48), ხოლო ტექნიკური მონაცემების შესახებ თამაზ ბერაისაგან შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს მექანიზაციის განყოფილების უფროსი ტელ-ფაქსი: (+995 393) 7-01-31, მობ/ტელ: 8(99) 21-90-73.

## მოკლედ

### მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალი

მოსკოვში ტრადიციული საერთაშორისო კინოფესტივალი გაიხსნა. ფესტივალზე წარმოდგენილია 200 ფილმი მსოფლიოს 30 ქვეყნიდან.

ფესტივალის ჟიური ასე გამოიყურება: ანჯეი ჟულავსკი - თავმჯდომარე (პოლონეთი), ალექსეი უჩიტელი (რუსეთი), რემუ ჟერარი (კანადა), ჯული კრისტი (დიდი ბრიტანეთი), პიერ ანრი დელე (საფრანგეთი).

პირველი ფილმი, რომელიც ფესტივალის გახსნის დღეს აჩვენეს ჩინელ კინორეჟისორს, ჩენ კაიგს ეკუთვნის. მისი ფილმი "ფიცი" ისტორიული ეპოსის ჟანრს განეკუთვნება. კაიგს მსოფლიო კინემატოგრაფში შეტანილი წვლილისათვის ფესტივალის საპატიო ჯილდო გადაეცა.

საკონკურსო პროგრამაში შესულია 17 სურათი. მათ შორის "რამდენი ღირხარ" (საფრანგეთი, რეჟისორი ბერტრან ბლიე, მთავარ როლებში ჟერარ დეპარდიე და მონიკა ბელუჩი), "შეეკითხე მტვერს" (აშშ, რეჟისორი რობერტ ტოუნი, მთავარ როლიში კოლინ ფარელი), "მატლი" (რუსეთი, რეჟისორი ალექსეი მურადოვი).

მაყურებელი ასევე იხილავს კანის კინოფესტივალის პრიზიორ ფილმს, პედრო ალმადოვარის "დაბრუნება". წარმოდგენილია პიერ პოლ რენდესის "როგორც ყველა" (დანია), ჩილელი რეჟისორის რაულ რუისის ევროპაში გადაღებული ფილმი "კლიმატი", იშტვან საბოს "ნათესავი"(უნგრეთი) ბრიტანელი რეჟისორის ჯერემი ბრიკის "მართვის გაკვეთილები".

აღსანიშნავია, რომ ფესტივალიზე მსოფლიოს კინოს რეტროსპექტივაში მაყურებელი თენგიზ აბულაძისა და ელდარ შენგელაის ფილმებსაც ნახავს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### "სიყვარულით შეშლილის" პრემიერა

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი პრემიერისთვის ემზადება. რეჟისორ გოგი ქავთარაძის ვაჟი ბექა ქავთარაძე სემ შეპარდის ერთმოქმედებიან დრამაზე - "სიყვარულით შეშლილი" ორი თვეა მუშაობს.

სპექტაკლში მესხიშვილის თეატრის ოთხი ახალგაზრდა მსახიობია დაკავებული. პრემიერა 27 ივნისს შედგება. სპექტაკლის ნახვის საშუალება ქითაისის შემდეგ თბილისელ და ბათუმელ მაყურებელსაც მიეცემა.

**ინტერპრესნიუსი**

### "ახმატოვას დღეები"

სანკტ-პეტერბურგში ანა ახმატოვას დაბადების დღე ორიგინალური ფორმით აღნიშნეს. ღონისძიების ორგანიზატორებმა ექსკურსიაზე "ჩვენი ჩრდილი მუდმივად" ანა ახმატოვას შემოქმედების თაყვანისმცემლები დაპატიჟეს.

მათ "ფანტანის სახლის" ის უბნები მოიარეს, სადაც ანა ახმატოვა ცხოვრობდა. დაათვალიერეს ის ოთახებიც, სადაც პოეტმა სიცოცხლის ბოლო დღეები გაატარა. ექსკურსიის მონაწილეები იყვნენ ასევე, ლეიტენის უბნის თეატრში, სადაც ვოდევილში "ქალის ცნობისმოყვარეობა" ანა ახმატოვას უახლოესი მეგობარი ოლგა გლებოვა-სუდეიკინა თამაშობდა.

"ანა ახმატოვას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოს ჩატარება, სამეცნიერო კონფერენციების ნაცვლად, ასეთი ფორმატით გადავწყვიტეთ. ეს ექსკურსია ახმატოვას ცხოვრების მხოლოდ ერთ მონაკვეთს გვახსენებს. თუმცა, მისი შემოქმედების მოყვარულებს პოეტის ცხოვრების ყველა დეტალი ისედაც ახსოვთ," აღნიშნეს ექსკურსიის ორგანიზატორებმა.

მათივე ინფორმაციით, ექსკურსიის მიმდინარეობისას შედგა პრემიერა ჩანაწერისა "ფანტანის სახლის ხმები". მხატვარმა ლიუდმილა ბელოვამ და კომპოზიტორმა ალექსეი რახოვმა ანა ახმატოვას ცხოვრების პერიოდისთვის დამახასიათებელი მუსიკის, ხმებისა და ხმაურის სინთეზი შექმნეს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### მიშელ კრაიდერი

დღეს იტალიური რეპერტუარის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებლი, მიშელ კრაიდერი ჩამოდის და თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ვერდის ოპერაში "აიდა" აიდას პარტიას შეასრულებს.

ორკესტრს უდირიჟორებს ზაზა აზმაიფარაშვილი. რეჟისორია დავით საყვარელიძე, მხატვარი პოლინა რუდჩიკი. რაც შეეხება რადამესის პარტიას, მას ქართველი არტისტი, ბადრი მაისურაძე, იმღერებს.

მიშელ კრაიდერმა ვოკალის შესწავლა აიოვას უნივერსიტეტში დაიწყო. რეგიონალურ საოპერო კონკურსში ორჯერ გამარჯვების შემდეგ, მან დატოვა აიოვა და სწავლა ციურიხის საოპერო სტუდიაში განაგრძო.

მიმდინარე სეზონში მიშელ კრაიდერი მიწვეულია ბერლინისა და ციურიხის სახელმწიფო საოპერო თეატრებში ტოსკას პარტიის, მეტროპოლიტენ ოპერაში აიდას, ხოლო თელ ავივის საოპერო თეატრში კი ამელიას როლის შესასრულებლად "ბალ-მასკარადის" ახალ დადგმაში.დღეისათვის, მიშელ კრაიდერი იტალიური რეპერტუარის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად ითვლება მთელ მსოფლიოში.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### ენდი უორჰოლის პარიკი

ნიუ იორკში, კრისტის აუქციონზე კინოსა და თეატრის მოღვაწეთა წარმომადგენელთა პირადი ნივთების აუქციონი მოეწყო. აუქციონის ერთ-ერთი ყველაზე ძვირად შეფასებული ნივთი იყო ამერიკელი მხატვრისა და კინორეჟისორის ენდი უორჰოლის ჭაღარა პარიკი, რომელიც 10 800 დოლარად გაიყიდა.

ძვირად ღირებულ ნივთების კატეგორიაში მერლინ მონროს ბეწვის ქურქი და დღიური შევიდა. ქურქი 50 ათას დოლარად შეფასდა, დღიური კი - 70 ათას დოლარად. აუქციონზე გასაყიდად კლარკ გეიბლის ხელის საათი და მარლონ ბრანდოს ფოტოებიც გაიტანეს.

ქართული თეატრის პრობლემები

# ნუ გავყვებით მშვიდად ქარავანს!

## რობერტ სტურუა: "საქართველო ჯერ კიდევ საბჭოთა რესპუბლიკის ჩარჩოებში ცხოვრობს"



ნანა ჭრელაშვილი

ქართული თეატრის თანამედროვე პრობლემებზე მუშაობა იქ მიმდინარე ნეგატიურმა პროცესებმა გამოიწვია. ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებთან საუბრისას ნათელი ხდება საკითხის სიმწვავე და მისი გადაჭრის აუცილებლობა.

სახელმწიფოს, თეატრსა და საზოგადოებას შორის წარმოქმნილი პრობლემების გვერდით მკვეთრად გამოჩნდა პორტრეტები ადამიანებისა, ვინც დღეს თეატრალურ ხელოვნებას მართავს, ვისზეც დამოკიდებულია (შემოქმედებითი თვალსაზრისით) ქართული თეატრის წარმატებები. სად გადის ზღვარი ობიექტურობასა და სუბიექტურობას შორის? რა იმალება პრობლემების მიმართ ხელოვანის ლოიალური და ზოგჯერ კრიტიკული დამოკიდებულების მიღმა? რა არის პატრიოტიზმი და ვის როგორ ესმის თავისუფლება? ვინ როგორ გამოხატავს თავის პოზიციას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი? ვინ დათმო, ვინ გაემიჯნა და ვინ მოუფრთხილდა პიროვნულ ღირსებებს, ვინ შეინარჩუნა ინდივიდუალობა? - ეს ცალკე დრამატურგიული მასალაა.

ქართული თეატრის ისტორიის ძირითადი ნაწილი საბჭოთა ეპოქაში შეიქმნა, როცა თავისუფლებაზე საუბარიც კი დანაშაული იყო. მაგრამ მაშინ ხელისუფლებას ესმოდა თეატრის მნიშვნელობა. ძნელი დასაჯერებელია, რომ იმ ეპოქაში დადგმული ანტისაბჭოური სპექტაკლები ვიღაც ჩინოვნიკის ფარული მხარდაჭერით არ იდგმებოდა. ალბათ დრო გავა და ისტორია ამაზეც ალაპარაკდება.

დღეს კი...

სახელმწიფო მმართველობის პრიორიტეტები გვერდს უვლის თეატრსა და ხელოვნების სხვა დარგებს. უცნაურია პოპულისტური და მოდური დამოკიდებულება წლევანდელი საფეხბურთო მატჩების მიმართ, გასაკვირია ტელევიზიების აქცენტებიც. სამწუხაროდ, ვერც ერთ არხზე ვერ ნახავთ გადაცემას, რომელშიც ჩანს თანამედროვე თეატრალური პროცესების მიმოხილვის თუნდაც სურვილი. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია მხოლოდ ერთწუთიანი სიუჟეტებით შემოიფარგლება, ისიც სპორტის და ამინდის პროგნოზის შემდეგ. იქნებ ამ საკითხზე მეტი დაფიქრება მართებს არა მარტო ხელისუფლებას, არამედ საინფორმაციო საშუალებებს, საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც მშვიდად ადევნებს თვალს მიმდინარე პროცესებს.

პარადოქსია ისიც, რომ დღეს ჩემს პირველ (იქნებ ერთადერთ) შანსს, შევხვდე და ვესაუბრო რობერტ სტურუას, ვიყენებ არა მის შემოქმედებასა და პიროვნულ შტრიხებზე, არამედ პრობლემებზე სასაუბროდ. თუმცა, ის ფაქტი, რომ ის დღეს, ამ ულმობელ დროშიც არ ტოვებს სამშობლოს, თეატრში გაჩენილი კრიზისის დროსაც ერთგულებს რუსთაველის თეატრს, მისი პიროვნების გამორჩეულობაზე მეტყველებს. ეს არის პატრიოტიზმი და არა მიტინგზე დგომა, დროშის ფრიალი და არც ის, რასაც ყოველდღე ვუსმენთ: **"საქართველო ჯერ კიდევ საბჭოთა რესპუბლიკის ჩარჩოებში ცხოვრობს და ალბათ კიდევ დიდხანს იქნება ამ მდგომარეობაში. იმიტომ, რომ არ გვაქვს თავისუფლების მოთხოვნილება. თავისუფლება ხომ მეტ ცოდნას, განათლებას, პასუხისმგებლობას გულისხმობს. ეს კი უბრალო ობივატელისთვის სერიოზულ სირთულეს წარმოადგენს. ობივატელი იოლ და მარტივ გზებს ეძებს, ურჩევნია ვიღაც სხვამ გადაჭრას და გადაწყვიტოს მისი პრობლემები, ამიტომ სანამ ერისთვის, ხელისუფლებისთვის თავისუფლება ჰაერივით საჭირო და აუცილებელი არ გახდება, ვერ გაექცევა საბჭოთა სივრცეს",** - ასეთია ბატონი რობერტის დამოკიდებულება დღევანდელი პროცესების მიმართ.

**"ასეთი მთავრობა ვერასოდეს აიტანს ხელოვნების თავისუფლებას. თეატრს კი მხოლოდ თავისუფალ გარემოში შეუძლია გაიზარდოს და მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანოს ქვეყანას. ხელისუფლებამ უნდა გაითავისოს, რომ თეატრი კი არ ებრძვის სახელმწიფოს, არამედ გამოხატავს თავის პოზიციას უსამართლობის, ძალადობისა და ადამიანთა ჩაგვრის წინააღმდეგ. თეატრის ასეთ დამოკიდებულებას ოპოზიციურს უწოდებენ, უარყოფითად აღიქვამენ და არა ნორმალური ადამიანის სურვილად - ცხოვრობდე ნამდვილ, ჯანსაღ ატმოსფეროში. ამ წინააღმდეგობის მიუხედავად, თეატრი არ უნდა გაჩუმდეს. თუ ის დუმილს არჩევს და არ იქნება თავისუფალი, განწირულია. ალბათ მთვრობისთვის თავისუფალი აზრის მქონე თეატრი მიუღებელია და ის თავიდანვე ცინიკურად განეწყო არა მარტო ამ სფეროსადმი, არამედ საერთოდ ხელოვნებისადმი. სახელმწიფოსა და თეატრს შორის ურთიერთობა დამოკიდებულია ხელისუფლებაზე და არა ჩვენზე. სამწუხაროდ, დღეს თეატრი ხალხსაც აღარ სჭირდება. ჩვენს ქვეყანაში, როცა მთავრობა ცუდად ეპყრობა ვიღაცას, კონიუნქტურა თხოულობს ადამიანებისადმი ასეთივე დამოკიდებულებას. გადამდები სენივითაა. ესეც საბჭოური ფსიქოლოგიის გადმონაშთია.**

სახელმწიფო მმართველობისა და საზოგადოების ორიენტაციას, მის ფსიქოლოგიურ პროცესებს რეჟისორი განიხილავს როგორც გენეტიკურ მეკვიდრეობას და გვახსენებს: **"ვგიჟდები, როცა გვავიწყდება, რომ საბჭოთა იმპერიის შემქმნელები არიან დიდი ქართველი ტირანები სტალინი და ბერია. მეცინება, როცა დღეს ვხსნით საქართველოს ოკუპაციის მუზეუმს. გავიხსენოთ, როგორ შემოვარდნენ ბოლშევიკები, სტალინი - დაიპყრეს ქვეყანა და მოგვექცნენ ისე, როგორც უნდოდათ. ნუ დაგვავიწყდება, რომ დიქტატორული სისხლი დღესაც ჩქეფს ჩვენში, მათ შორის დღევანდელ პოლიტიკოსებშიც. როგორც ხშირად ხდება, ახალმოსულ ადამიანს სურს, ერთი დარტყმით ყველაფერი გარდაქმნას, გამოასწოროს, მაგრამ როცა საქმეს შეუდგება, აღმოჩნდება, რომ, მიმდინარე პროცესები არც მისი ბრალია და არც წინამორბედის. ეს ისტორიული კანონზომიერებაა, რის გათვალისწინებასაც, სამწუხაროდ, ადამიანი ვერ ახერხებს. სწორედ ამიტომ არსებობს სხვადასხვა შეხედულება სამყაროზე, პოლიტიკურ მოღვაწეებზე. დღეს ძნელია განსაზღვრო, როგორ მოიქცე, მით უმეტეს, მაშინ, როცა საქმე ეხება ასეთ დაქუცმაცებულ საქართველოს. მე, სხვათაშორის, მომხრე ვარ ასეთი დაქუცმაცებისა. მირჩევნია ჩემი ერი თავისუფალი იყოს ინდივიდუალურად და ცალცალკე ცხოვრობდეს, ვიდრე ჭიანჭველებივით ერთი შეძახილით აკეთებდეს საქმეს. ნერვებს მიშლის რუსეთის პრიმიტიული პოსტმოდერნიზმი, საქართველო კი იმეორებს რუსეთის ყველა ნაბიჯს, ხშირ შემთხვევაში - ცუდს.**

როდესაც თეატრისადმი სახელმწიფოს გულგრილ დამოკიდებულებაზე ვსაუბრობთ და ამის მიზეზად საბჭოთა ფსიქოლოგიას ვასახელებთ, ბატონ რობერტს იმ საუკეთესო წლებს ვახსენებ, როცა ანტისაბჭოური სპექტაკლები იქმნებოდა და რომლის ავტორი არაერთხელ თავად გახლდათ. ამაზეც მისთვის ჩვეული ირონიით მპასუხობს:

**- მე მაქვს პირადი აფორიზმი - თავისუფლება იბადება ციხეში. მაგრამ ახლა გაუგებარ სიტუაციაში ვიმყოფებით. სიტყვით თავისუფალ სამყაროში ვართ, რეალურად კი - ღმერთმა უწყის სად.**

**ჩემი ხელობა მოქმედების და საქციელის სფეროა. სიტყვებს ჩვენთან, არა აქვს მნიშვნელობა. სცენაზე მთავარია, რას აკეთებს გმირი. "რიჩარდ III", რომელიც დაუნდობლად ხოცავს მოწინააღმდეგეებს, საუბრისას ერთ-ერთი მაღალი ზნეობის კაცად გამოიყურება ანუ ატყუებს ხალხს. სამწუხაროდ, დღეს რეჟისორები ვერ ხვდებიან, რომ არ უნდა დაუჯერონ სიტყვებს, უნდა შეხედონ საქციელს. როცა ამას მიხვდებიან, ძალიან გვიან იქნება... უკვე დამონებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.**

რეჟისორი ამ პროცესებზე საუბრისას მხოლოდ ხელისუფლების ნაკლოვანებებზე კი არა, თეატრის პასიურობაზეც მიუთითებს: **"თეატრი ყოველთვის იარსებებს, მაგრამ ჩვენ უნდა მოვძებნოთ საშუალებები, როგორ ვიყოთ თავისუფლები ამ სიტუაციაში. მარტო მთავრობის ხელშეწყობითაც ვერ იარსებებს თეატრი. თუ ყველაფერი მთავრობას სთხოვე, მაშინ რატომ არ უკეთებ იმას, რასაც ის გთხოვს? უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ პიროვნულ პროტესტს ხელოვნებისეული ენით არ გამოხატავ, პოლიტიკოსად დარჩები. თეატრში კი პოლიტიკოსები არ გვჭირდება. ძნელია ხელოვნებისეულ ენაზე საუბარი. აქ მიუღებელია ლოზუნგებით ლაპარაკი, ისე როგორც ეს გრიგოლიას და ხოფერიას ტელეგადაცემებში ხდება, სადაც ერთმანეთს გაუგებარი ძალები ებრძვიან ასევე გაუგებარ თემებზე.**

**თუ თეატრში ხელოვნებისეული ენა და სიმართლის დანახვის სურვილი გაქრება, გაქრება თეატრიც, ყოველგვარი მთავრობის დადგენილების გარეშე. ღირსების მატარებელი ადამიანები და თეატრები ცოტა, მაგრამ ყოველთვის არსებობდნენ და დღესაც არსებობენ.**

**გერმანია, სადაც რამდენიმე წლის წინ სპექტაკლები დავდგი, კოლოსალურ თანხას ხარჯავდა თეატრის განვითარებისთვის, აფინანსებდა და აძლევდა თავისუფლებას, რათა საუკეთესო თეატრი ჰქონოდათ. ახლა გაუჭირდათ და ცოტა თანხები შეუმცირეს, მაგრამ ქალაქებმა იკისრეს თეატრების დაფინანსება.**

**საქართველოში ისტორიულად თეატრი ირონიული დამოკიდებულების საგანი გახლდათ. ამის მაგალითი ბევრია. თუნდაც, 30-იანი წლები, როცა დახვრიტეს ისეთი რეჟისორი, როგორიც იყო სანდრო ახმეტელი. ამ ფაქტის გამო ხალხი შეშინდა და დიდი ხნით გაემიჯნა თეატრს. ესეც გათვლილი პოლიტიკის ნაწილი იყო.**

**გაეცანით, როგორ ელაქუცება მოლიერი ლუი მე-14 საფრანგეთის განათლებულ და გენიალურ მეფეს, იმისთვის, რომ დაედგა "ტარტიუფი". ახლა მე რომ დავდგა ეს პიესა, ეკლესია არ მომცემს უფლებას. ეკლესია თუ არა, ის ადამიანები შემრისხავენ, რომლებიც "და ვინჩის კოდის" გამო ქუჩაში დარბიან. სირცხვილია, 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ.**

**ცუდი დრო დადგა. ერთმანეთში აირია ბოროტება და სიკეთე, პატიოსნება, კორუფცია. ადამიანს უჭირს ჭეშმარიტების დადგენა. სავალალო მდგომარეობაა იურისპრუდენციაში, კონსტიტუციაში. ფანატიკურია უცხოეთიდან იდეების გადმოტანა. კანონი უმნიშვნელო დარღვევებსა და შეუსაბამობასაც ვერ უძლებს. თვით ამერიკაშიც კანონებს მკაცრად აკრიტიკებენ. ჩვენ კი სხვა ქვეყნების მაგალითებიდან პირდაპირ ვიღებთ მედიცინის, განათლებისა და სხვა სფეროების მართვის სისტემებს. მთავრობას ჩვეული ჯიუტობის გამო არ სურს შეცდომების აღიარება. ეშინიათ, რაც თქვეს, თუ არ ასრულდა, სისუსტეში ჩაუთვლიან და თავმოყვარეობა შეელახებათ, არავინ დაუჯერებთ და დასცინებენ.**

**კიდევ დიდი ხნის გამოცდილება დაგვჭირდება, რომ გავხდეთ მართლა კანონიერი სახელმწიფო.**

დღევანდელი საუბარი დასასრულისკენ მიდის. იმედს ვიტოვებთ, რომ ისინი, ვინც კულტურას მართავს, დაფიქრდებიან ამ მტკივნეულ საკითხებზე.

- გმადლობთ, ბატონო რობერტ, რომ დრო გამონახეთ ჩემთან სასაუბროდ. ძირითადად რა კრიტერიუმებით ირჩევთ ჟურნალისტებს, რას ფიქრობთ დღევანდელი პრესის შესახებ, გჯერათ და ენდობით მას?

**-ყველაფერს ვირჩევ ინტუიციით. ჟურნალისტს ხომ ვერ ვხედავ, ვუთანხმდები ტელეფონით. კარგ ჟურნალისტს რა სჯობს. ძალიან ბევრ ჟურნალს და გაზეთს ვკითხულობ. სხვანაირად ვერაფერს გავიგებ სამყაროზე, მეცნიერებაზე. კარგი მეცნიერული მიმომხილველი თუ მეტყვის, რა ხდება ახალი სამყაროში, ეს ჩემთვის აუცილებელია. თუ არ წავიკითხე, ვერ გავიგებ, რა ხდება ხელოვნებაში. ზოგჯერ მეღიმება პრესაზე, ჟურნალისტებზე, მაგრამ სპექტაკლებზე რომ დავდივარ, მაშინაც მეღიმება ხოლმე. რა მოხდა, თუ ზოგჯერ კრიტიკოსიც იმ დონის ვერ არის, როგორიც უნდა იყოს. მასობრივად კარგი არც კრიტიკოსებია, არც მსახიობები, არც რეჟისორები და არც მხატვრები. ყველაფერი მაღალი ხარისხის ძნელად მოსაძიებელია.**

- მაშინ ისიც გვითხარით, ამ პრობლემების მიუხედავად, ინტუიცია რას გკარნახობთ, როგორი იქნება ხვალინდელი დღე?

**- ცხოვრებას, საბედნიეროდ, ერთი გენიალური თვისება აქვს: ის გულგრილია ჩვენი ვნებებისადმი. თავისთავად ვითარდება. გაზაფხული მოდის, ზამთარიც მოვა, შემოდგომაც, სიყვარულიც იარსებებს ადამიანთა შორის...ცხოვრება თავად დაარეგულირებს ყველაფერს. პოლიტიკოსები ხელს უშლიან ლამაზ ცხოვრებას, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ამასაც მოევლება. მაგრამ უნდა შევეგუოთ, რომ დავკარგავთ დროს...**

ნუ გავყვებით მშვიდად ქარავანს!


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

განებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06
893 65 38 39

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



## ცვლილებები Toyota Motor-ის ხელმძღვანელობაში

იაპონიის უდიდესი საავტომობილო კომპანია Toyota Motor-ის დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელმა ხიროსი ოკუდამ თანანმდებობიდან გადადგომის შესახებ ოფიციალურად განაცხადა. მან აღნიშნულ თანამდებობაზე 11 წელი იმუშავა. დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელის ვაკანტურ ადგილს მფლობელი უკვე გამოუჩნდა და კომპანია Toyota Motor-ის დირექტორთა საბჭოს ტიო ფუდზიიო უხელმძღვანელებს. ის აქამდე კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი იყო. რაც შეეხება ოკუდას, ის დირექტორთა საბჭოს რიგით წევრად დარჩება და პარალელურად კომპანიის პრეზიდენტის, კაცუაკი ვატანაბეს მთავარი მრჩევლის თანამდებობასაც შეითავსებს.

შეგახსენებთ, რომ დირექტორთა საბჭოს უკვე ყოფილი ხელმძღვანელი ოკუდა იაპონიის საქმიან წრეებში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ადამიანია. მისი ხელმძღვანელობის დროს, კომპანია Toyota Motor ავტომობილების წარმოების მიხედვით, მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებს. წინასწარი მონაცემებით, კი კომპანია კიდევ უფრო დაწინაურდება და ამერიკულ კონცერნ General Motors-საც კი ჩამოიტოვებს. ოკუდა კომპანიის ერთადერთი წარმომადგენელია, რომელიც ახალი ბაზრების ათვისებისთვის ყველაზე აქტიურად იღწვოდა. ამის წყალობით, Toyota Motor იაპონიაში ყველაზე მსხვილ კომპანიად ითვლება. ამ ეტაპზე კი კომპანია Toyota Motor სანკტ-პეტერბურგში ახალი ქარხნის მშენებლობით არის დაკავებული.

## Toyota რუსეთში საკრედიტო ბანკს გახსნის

Toyota Kreditbank Gmbh რუსეთში საკუთარი საკრედიტო ბანკის გახსნას აპირებს. უახლოეს მომავალში რუსეთის ბანკში კომპანია სარეგისტრაციო დოკუმენტებს შეიტანს. ამ საკრედიტო ბანკის მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანია Toyota-ს მარკის ავტომობილების მყიდველებს სესხს მისცემს.

როგორც ცნობილია, Toyota Kreditbank-ი თავის საქმიანობას რუსეთში საბანკო ოპერაციებს დასრულების შემდეგ დაიწყებს. კომპანიის წარმომადგენლების ვარაუდით, საკრედიტო ბანკის რეგისტრაციის პროცესი პეტერბურგში კომპანია Toyota-ს საავტომობილო ქარხნის მშენებლობის დასრულებას დაემთხვევა. ცნობილია, რომ ქარხანა მომავალი წლისთვის ამოქმედდება. კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ კომპანია პეტერბურგში მხოლოდ Toyota Camry-ის სედანებს არ აწარმოებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კომპანია Toyota-ს, მისი კონკურენტი Ford-ის, Peugeot-სა და nissan-ისგან განსხვავებით, ჯერ არც ერთი საკრედიტო პროგრამა არ აქვს განხორციელებული. ეს საავტომობილო კომპანია აქამდე საკრედიტო პროგრამებს პარტნიორი ბანკების დახმარებით ახორციელებდა.

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3000 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9810 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4833 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7750 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8285 |
| 1 | ბულგალური ლეი | BGL | 1,1406 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2991 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3086 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2299 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4255 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3413 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,0453 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1529 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2427 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1939 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2362 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3978 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5857 |
| 1 | ლატვური ლატი | LVL | 3,1982 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,5104 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3316 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2809 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5429 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5963 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0656 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1126 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4236 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5414 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4504 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5465 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,7983 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1391 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1484 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4405 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2419 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4264 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0783 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2219 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2285 |




# ხარისხი - კონკურენციის მთავარი კრიტერიუმი

### მენაშენეთა ურთიერთობებს "ეთიკის კოდექსი" დაარეგულირებს

ნინო ნატროშვილი

*ადგილობრივ ბაზარზე მოთამაშე ყველაზე მსხვილმა ცხრა სამშენებლო კომპანიამ ეთიკის კოდექსი შეიმუშავა, რომელიც მენაშენეთა ასოციაციის წევრების და მათი დამკვეთების ურთიერთობებს დაარეგულირებს. ბინათმშენებლობის პროცესში დადებულ ხელშეკრულებაზე და მისი პუნქტების დაცვაზე, შემსრულებელიც და დამკვეთიც ერთნაირად იქნება პასუხისმგებელი, რაც ამ სეგმენტში ბოლო დროს შექმნილ პრობლემებს მოაგვარებს.*

**ეთიკის კოდექსს სასტუმრო "მეტეხში" გამართულ პრეზენტაციაზე ხელი მოაწერა: შპს "არსმა", "არქსტუდიამ", შპს "აქსისმა", შპს "ბაგები 2002"-მა, სამშენებლო კომპანია "იბერიამ", შპს "კავკასიის ინდუსტრიისა და დისტრიბუციის მომსახურებამ", შპს "მაგისტილმა", "ცენტრ პოინტ ჯგუფმა" და " საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიამ".**



B2

# ტყიბულის ქვანახშირის ლიცენზიისთვის "საქინვესტი" იბრძოლებს

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

*გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო შაორ-ტყიბულის ქვანახშირის საბადოზე წიაღისეულის მოსაპოვებლად ლიცენზიას აუქციონზე ყიდის. ლიცენზიის საწყისი ფასი 100 ათასი ლარია, ხოლო მისი მოქმედების ვადა - 30 წელი.*
*შაორ-ტყიბულის საბადოდან ქვანახშირის მოპოვებას ოდითგან "საქნახშირი" აწარმოებდა, რომელსაც 90-იან წლებში სს "ტყიბულნახშირი" ეწოდა. აღნიშნული საბადოს ასათვისებლად ოთხი შახტა მუშაობდა. სამი მათგანი, უკვე 15 წელია, გაჩერებულია და ქვანახშირის მოპოვებას მხოლოდ ერთი - ელიზბარ მინდელის სახელობის შახტა ახორციელებს.*



B2

# ეკონომიკა, პიარი და რეალიზმი

თორნიკე შარაშენიძე
*ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი*

### პეკინი ეკონომიკური ზრდის დამუხრუჭებას ცდილობს

გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ ჩინეთი ეკონომიკური ზრდის დასამუხრუჭებლად დამატებითი ზომების მიღებას აპირებს. ამის შესახებ განცხადება ქვეყნის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობამ გააკეთა: საჭიროა ზომების მიღება, რათა შეიზღუდოს კრედიტების გაცემა და ინვესტირება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიოს ყველაზე სწრაფად მზარდ ეკონომიკას "გადახურება" ელის. გადახურებაში, უპირველესად, ინფლაცია იგულისხმება, რომლის საფრთხე მუდამ ახლავს ხოლმე სწრაფ ეკონომიკურ ზრდას.

**გასული ერთი წლის განმავლობაში იუანი 1,3 პროცენტით გამყარდა, თუმცა ამტკიცებენ, რომ მისი რეალური კურსი ახლანდელ კურსზე კვლავაც მაღალია. იუანის კურსის ბუნებრივ მაჩვენებლამდე აწევა უკმაყოფილების საბაბს მოუსპობს აშშ-ს, რომლის სავაჭრო დეფიციტი ჩინეთთან განუწყვეტლივ იზრდება.**



B3

## ბანკებს ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ყოველ კვარტალში ევალებათ

საბანკო სექტორისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლების მიზნით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით, "კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესი" დამტკიცდა. ახალი წესით, ბანკებს ევალებათ, წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განთავსების პარალელურად, ყოველკვარტალური ფინანსური ანგარიშგებებიც გამოაქვეყნონ. ახალი წესის მიღებამდე, კომერციული ბანკები გარე აუდიტორულ დასკვნასა და აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას წელიწადში ერთხელ აქვეყნებდნენ. "კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესი" განსაზღვრავს კომბანკების ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. მათი შესრულება სავალდებულოა საქართველოში მოქმედი ყველა. აღნიშნული წესის თანახმად, ბანკის ფინანსური ანგარიშგებები ექვემდებარება, როგორც ბეჭდვით ორგანოებში, ასევე ბანკის საკუთარ (თუ ბანკს აქვს) და ეროვნული ბანკის ვებგვერდებზე განთავსებას. **ჯი-ეიჩ-ენი**

## რეზიდენტი ბანკების კაპიტალში უცხოური ინვესტიციების წილი იზრდება

2006 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში საქართველოს საბანკო სექტორმა ზრდის ტენდენცია შეინარჩუნა. როგორც ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, იზრდებოდა მოსახლეობის ნდობა ბანკებისადმი, უმჯობესდებოდა ბაზრის კონკურენტუნარიანობა. 2006 წლის 31 მარტის მდგომარეობით, საქართველოს რეზიდენტი კომერციული ბანკების კაპიტალში უცხოური ინვესტიციების წილმა საბანკო სექტორის მთლიანი კაპიტალის 51,6 პროცენტი შეადგინა. კომერციული ბანკების კაპიტალში უცხოური ინვესტიციების მონაწილეობით, საქართველოში ფუნქციონირებდა 10 ბანკი, რომელთა წილი საბანკო სექტორის მთლიან აქტივებში 79 პროცენტს შეადგენდა. ამ ბანკების საწესდებო კაპიტალში 50 პროცენტზე მეტს უცხოელები ფლობდნენ. ამ 10 კომერციული ბანკიდან 6 ბანკის კაპიტალში ინვესტიციები განხორციელებული აქვთ სხვადასხვა უცხოურ და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), საერთაშორიო საფინანსო კორპორაცია (IFC ), გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანია (DEG), გერმანიის ალმშენებლობისა საკრედიტო დაწესებულება (KfW), სს პროკრედიტ ჰოლდინგი, გერმანული კომერცბანკი, რუსული ვნეშტორბანკი, ყაზახური ბანკი, ავსტრიული კრედიტანშტალტი, სომხური კასკად ბანკი და სხვა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საბანკო სექტორის აქტივები 343 მლნ ლარითაა გაზრდილი

2006 წლის 31 მარტის მონაცემებით, წლის დასაწყისთან შედარებით, საბანკო სექტორის მთალიანი აქტივები 343 მლნ ლარით (13 პროცენტი) გაიზარდა და 2,9 მლრდ ლარი შეადგინა. ზრდა მეტწილად განპირობებული იყო ბანკებში დეპოზიტებისა და ნასესხები სახსრების მატებით. საბანკო სექტორის მთლიანი აქტივების 64 პროცენტს შეადგენდა წმინდა სესხები, 22 პროცენტს - ფულადი სახსრები, 1 პროცენტს - ფასიანი ქაღალდები. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ბანკების საკრედიტო პორტფელი 13 პროცენტით გაიზარდა

საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელი 2006 წლის 3 თვის განმავლობაში 13 პროცენტით გაიზარდა და 1,9 მლრდ ლარი შეადგინა. როგორც ეროვნულ ბანკში აცხადებენ, ბანკების საკრედიტო საქმიანობა მიმართული იყო კერძო სექტორის დაფინანსებაზე, რომლის ხვედრითმა წილმა საკრედიტო პორტფელის 97 პროცენტი შეადგინა. ბანკების მიერ გაცემული სესხები, ძირითადად, კონცენტრირებულია შემდეგ დარგებში: ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში - 34 პროცენტი, ფიზიკური პირებისთვის მიცემული კრედიტები - 26 პროცენტი და მრეწველობის დასაკრედიტებლად - 11 პროცენტი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ბანკების მთლიანი ვალდებულებები 2,4 მილიარდ ლარს უდრის

საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2006 წლის 1 კვარტლის განმავლობაში, საბანკო სექტორის მთლიანი ვალდებულებები 16 პროცენტით გაიზარდა და 2,4 მლრდ ლარი შეადგინა. საბანკო სექტორის მთლიანი ვალდებულებების 69 პროცენტს შეადგენდა დეპოზიტები, 24 პროცენტს - ნასესხები სახსრები და 7 პროცენტს - სხვა ვალდებულებები. ბოლო წლების განმავლობაში დეპოზიტების ხვედრითი წილი მთლიანი ვალდებულებების სტრუქტურაში სტაბილურად 70-80 პროცენტის ფარგლებში იყო მოქცეული. როგორც საბანკო საქმის ექსპერტები აცხადებენ, საბანკო სექტორში მთლიანი ვალდებულებების ზრდა, ძირითადად, განპირობებული იყო დეპოზიტების მოცულობის ზრდით, რომელიც, თავის მხრივ, გაიზარდა 7 პროცენტით და 2006 წლის 31 მარტისათვის თითქმის 1,7 მლრდ ლარს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ დეპოზიტების 49 პროცენტი ფიზიკურ პირთა დეპოზიტებია, რომლებიც საანგარიშო წლის განმავლობაში 12 პროცენტით გაიზარდა. ამას ექსპერტები ბანკებისადმი მოსახლეობის ნდობის ამაღლებით ხსნიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ევროსთან მიმართებაში აშშ დოლარის რეკორდული ზრდა დაფიქსირდა

ევროსთან მიმართებაში აშშ დოლარის რეკორდული ზრდა დაფიქსირდა. ევროსთან მიმართებაში დოლარის მნიშვნელოვანი ზრდა გუშინ მსოფლიო საფინანსო ბაზარზე დაფიქსირდა. ევროპაში ბირჟების დახურვის დროს ერთი ევროს ღირებულება 1, 2512 დოლარი იყო. ინვესტორები ვარაუდობენ, რომ 29 ივნისისთვის დოლარის საბანკო განაკვეთი გაიზდება. ფედერალურმა სარეზერვო ფონდმა 2004 წლიდან დოლარის განაკვეთი 15-ჯერ გაზარდა. გუშინ ახალი ქვეყნების ბაზარზე ობლიგაციების კურსზე ცვლილება კვლავ დაფიქსირდა. ეს შეეხო თურქეთს, არგენტინასა და ეკვადორს. თურქეთის ნაციონალური ბანკი, ეროვნული ვალუტის კურსის შესანარჩუნებლად ბოლო დღეებში იძულებული გახდა ნაციონალური ვალუტის - ლირის შესყიდვა განეხორციელებინა. ფინანსურ და საობლიგაციო ბაზარზე შექმნილი ვითარების განსახილველად დღეს ცენტრალური ნაციონალური ბანკების მმართველი საბჭოს საგანგებო სხდომა გაიმართება. ფინანსისტები ელიან, რომ ინფლაციის თავიდან ასაცილებლად და მსოფლიო ბაზარზე ლირას პოზიციების შესანარჩუნებლად, თურქეთი იძულებული გახდება, გაზარდოს ლირაზე საბანკო განაკვეთი. 2005 წლის მაისიდან თურქული ლირა ამერიკულ დოლართან შეფარდებით 23 პროცენტით გაუფასურდა. **ინტერპრესნიუსი**




# პრეზიდენტის ნაქებმა ბიზნესმენმა ქიზიყელი ფერმერები გაანაწყენა

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*როგორც ყოველ სეზონზე, ამჟამადაც, ხორბლის მოსავლის დაბინავება ქიზიყელი ფერმერებისთვის პრობლემას წარმოადგენს. თუ წინათ აქაურ მეზვრეს თავსატეხს ხელისუფლების წარმომადგენელთა ოჯახის წევრები უჩენდნენ, ამჯერად მათ რიგებს უკვე პრეზიდენტის მიერ ნაქები ბიზნესმენი, კაჭრეთის წისქვილკომბინატის და "ფორტე ჯგუფის" ერთ-ერთი მეპატრონე სერგი კაკალაშვილიც შეუერთდა.*

სიღნაღსა და დედოფლისწყაროს რაიონებში ალოობის დაწყებას, უკვე მერამდენე წელია, წინ ყოველთვის პრობლემები უძღვის. პრობლემები დღემდე უცვლელია - ქიზიყელი ფერმერების თქმით, მათ მიერ მოყვანილ მოსავალს ფასს ის ბიზნესმენები უწესებენ, რომლებიც ხორბლის და ფქვილის ბიზნესით არიან დაკავებულები.

სიღნაღელი ფერმერი ირინა ფხოველიშვილი იმ წლებს იხსენებს, როცა პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის მამის - ანზორ ბურჯანძის წყალობით, მოყვანილი ხორბლის მოსავალი ჩალის ფასად გაყიდა. **"ეს ზუტად სამი წლის წინ იყო, როცა ანზორ ბურჯანაძემ საქართველოში საზღვარგარეთიდან დიდი რაოდენობის ხორბალი შემოიტანა, რის გამოც ჩვენი მოსავლის ღირებულება 15 თეთრამდე დაეცა. მაშინდელ ხელისუფლებას დახმარებას ვთხოვდით, აქციებსაც კი ვმართავდით, მაგრამ ქიზიყელი გლეხის მოსმენა არავის უნდოდა. ანალოგიური სიტუაცია რომ არ განმეორდეს, მთავრობისგან მოვითხოვთ, დროულად მოგვაქციონ ყურადღება,"** - ამბობს ფერმერი ფხოველიშვილი.

თუმცა ამჯერად, როგორც ფერმერები ამბობენ, ნინო ბურჯანაძის მამას პრეზიდენტის მიერ ქებული ბიზნესმენი სერგი კაკალაშვილი ჩაენაცვლა, რომლის უკან ყაზახ ინვესტორებს მოიაზრებენ. კაკალაშვილმა ქიზიყელ ფერემერებს უკვე მოურიდებლად განუცხადა, რომ საქართველოში ნაყიდი ხორბალი მისი საწარმოსთვის უფრო წამგებიანია, ვიდრე ყაზახეთიდან შემოტანილი ნედლეული. **"ყაზახეთიდან თვეში დაახლოებით 13 გემი ხორბალი შემოგვაქვს. ის ხარისხიანიცაა და უხარისხო ქართულ ხორბალზე იაფიც. მისი თვითღირებულება 30-34 თეთრი გვიჯდება. ამ პირობებში კი ბიზნესმენი ფულს უაზროდ ნამდვილად არ გადაყრის,"** - განაცხადა სერგი კაკალაშვილმა.

სწორედ ამის გამო ბიზნესმენი კაკალაშვილი ფერმერებს მოწეულ მოსავალში 28 თეთრს სთავაზობს. ამ განცახდების შემდეგ, მშვიდად დაწყებული შეხვედრა მწვავე დისკუსიაში გადაიზარდა. **"წელს, ჩემი ანგარიშით, 50 ტონამდე ხორბალი უნდა ავიღო, მისი თქვენთან ჩამოტანა კი 500-600 ლარი დამიჯდება. მინდა გითხრათ, 28 თეთრად იქ კი არ წამოვიღებ, აქეთ ჩამოდით და შეგვეხვეწეთ, რომ 35 თეთრად გაგატანოთ,"** - განუცხადა ბიზნესმენს ფერმერმა მერაბ რობიტაშვილმა.

განაწყენებული ქიზიყელების დაწყნარებას სერგი კაკალაშვილი დიდხანს ცდილობდა. წისქვილკომბინატის ხელმძღვანელი ფერმერებს საკუთარ საწყობში პროცენტის გარეშე ხორბლის შენახვას და შემდეგ მის ყიდვას თავადვე დაჰპირდა, რაზეც "უბატონო ქიზიყელებმა" უარი თქვეს. **"თუ მოსავალი მოგვივა, თავადვე შევინახავთ, მაგრამ თუ დახმარებაში მაინცდამაინც უპროცენტო შენახვას გულისხმობთ, არ გვინდა, ამის მაგიერ კარგი ფასი მოგვეცით და პირდაპირ წაიღოთ, ის გვირჩევნია,"** - ამბობს ქედელი ფერმერი დავით ბუჩუკური. დედოფლისწყაროელი ზურაბ თეთვაძე კი, სერგი კაკალაშვილს სხვაგვარ თანამშრომლობას სთავაზობს. იგი ბიზნესმენს თავის მამულში გრძელვადიანი ინვესტიციის ჩადებას სთავაზობს და გარანტიასაც იძლევა, რომ კარგ მოსავალს მოიყვანს. **"თქვენ ამბობთ, რომ ჩვენს საუკეთესო ხარისხის ხორბალში 28 თეთრს გადაიხდით. მე კი გეუბნებით, დღეს პირდაპირ ყანიდან აღებული ხორბალი 40 თეთრად წაიღეს. თუ თქვენ მართლაც ჩვენი დახმარება გინდათ, მაშინ ერთობლივი გრძელვადიანი პროგრამა შევიმუშაოთ - ჩადეთ ინვესტიცია და ნახავთ, რომ ჩვენც შეგვიძლია კარგი ყანის მოყვანა. ნუ გგონიათ, რომ საქართველოს ხარისხიანი ხორბალი არა აქვს. დამერწმუნეთ, ჩვენს რაიონში ამის შესაძლებლობა ნამდვილად არის,"** - განაცხადა ზურაბ თეთვაძემ, რომელიც 28 თეთრად ხორბლის გაყიდვას არ აპირებს.

შეხვედრა ბიზნესმენსა და ფერმერებს შორის რამდენიმე საათს გრძელდებოდა, მაგრამ შედეგი ვერ გამოიღო. ამის გამო ფერმერები პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე სპეციალური წერილის გაგზავნას აპირებენ. ისინი სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე საბაჟო გადასახადის ნულოვანი ვარიანტის გაუქმებას, სხვა ქვეყნებიდან ფქვილისა და ხორბლის საქართველოში შემოტანას და საურავებისგან გათავისუფლებას მოითხოვენ. **"თუ მომავალშიც ასე გაგრძელდა, მარცვლეული კულტურის მოყვანაზე ხელს საერთოდ ავიღებთ. მე პირადად მაქვს 20 ჰექტარი, რომლის დამუშავება, უხეში გათვლებით, 2 ათასი დოლარი მიჯდება. მაინც რა უნდა ავიღო იქიდან, რომ 28 თეთრში გავყიდო და მან წლიური დანახარჯი დამიფაროს? ეს იმ დროს, როცა ყაზახებს თურმე ერთი ჰექტარის დამუშავება 66 დოლარი უჯდებათ. სახელმწიფო ამაზე კარგად უნდა დაფიქრდეს და კანონი ისე მიიღოს, რომ ჩვენისთანა ხალხი მთლად ხელცარიელი არ დარჩეს,"** - აცხადებს დედოფლისწყაროელი ფერმერი ქეთინო ნასყიდაშვილი.

# ტყიბულის ქვანახშირის ლიცენზიისთვის "საქინვესტი" იბრძოლებს

პირველი გვერდიდან

**"გასულ წელს შახტაში კონსტრუქციები ჩამოინგრა და დაზიანდა სავენტილაციო სისტემა, რის გამოც მთელი ერთი წლის მანძილზე ქვანახშირის მოპოვებას ვეღარ ვაწარმოებდით. სახელმწიფო ბიუჯეტიდან შახტების შესანარჩუნებლად წელიწადში ვიღებდით 1 მილიონ 200 ათას ლარს, რაც არსებული სოლიდური ვალების პირობებში საკმარისი არ იყო. გასულ თვეში "ტყიბულნახშირს" მყიდველი გამოუჩნდა და უკვე დაიწყო შახტების რეაბილიტაციის პროცესი, რამაც საშუალება მოგვცა, ერთ თვეში 1000 ტონამდე ქვანახშირი მოგვეპოვებინა,"** - აცხადებს "24 საათთან" საუბარში მინდელის სახელობის შახტის ხელმძღვანელი ბადრი არაბიძე.

სს "ტყიბულნახშირი" ეკონომიკის სამინისტრომ ერთი თვის წინ 1 მილიონ 910 ათას ლარად მიჰყიდა კომპანია "საქინვესტს", რომელსაც ამჯერად ქვანახშირის მოპოვებისთვის საჭირო ლიცენზიისთვის მოუწევს ბრძოლა.

**"ალბათ, აუქციონზე კონკურენტები გვეყოლება, მაგრამ ჩვენ არ უნდა გაგვიჭირდეს ლიცენზიის მოპოვება, რადგან უკვე დავიწყეთ "ტყიბულნახშირის" შახტების რეაბილიტაცია, სადაც ქვანახშირის მოპოვება ხდება,"** - აცხადებს "საქინვესტის" წარმომადგენელი როლანდ გოცაძე.

აუქციონში გამარჯვებულმა ფირმამ გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ წაყენებული პირობები უნდა შეასრულოს. კერძოდ, ახალმა ლიცენზიანტმა პირველ წელს არანაკლებ 200 ათასი ტონა ქვანახშირი უნდა მოიპოვოს, ხოლო მომდევნო წლებში კი - 350 ათასი, მაშინ, როცა ამჟამად ტყიბულში თვეში მხოლოდ 600-დან 1000 ტონამდე ქვანახშირს მოიპოვებენ.

**"მას შემდეგ, რაც მინდელის სახელობის შახტის რეაბილიტაცია დასრულდება, ჩვენი გათვლებით, უპრობლემოდ მოვახერხებთ 200 ათასი ტონა ქვანახშირის მოპოვებას. მომდევნო ეტაპზე კი არჩილ ძიძიგურის სახელობის შახტის რეაბილიტაცია დაიწყება და მოპოვება, ცხადია, კიდევ უფრო გაიზრდება. მთავარია, ლიცენზია "საქინვესტმა" მოიპოვოს,"** - აცხადებს ბადრი არაბიძე.

იმის მიუხედავად, რომ "ტყიბულნახშირის" ადმინისტრაცია დიდ იმედებს ახალ მფლობელზე - კომპანია "საქინვესტზე" ამყარებს, იგივე პათოსი თავად მეშახტეებში ნაკლებად შეინიშნება. მინდელის სახელობის შახტაში 38 მეშახტე მუშაობს. თითოეული მათგანი დღეში რვა საათს მიწის ზედაპირიდან 1 კილომეტრის სიღრმეში 450-ლარიანი ანაზღაურების მოლოდინში ატარებს. თუმცა, უკვე მეოთხე თვეა, მათ კუთვნილი ხელფასი არ მიუღიათ. ადმინისტრაცია პირობას დებს, რომ რამდენიმე დღეში ეს პრობლემა მოიხსნება. თუმცა მეშახტეებს კიდევ ერთი, ხელფასზე არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა აწუხებთ: **"სტალინმა მეშახტეები მეომრებს შეგვადარა, "კომუნისტების" დროიდან ჩვენ 50 წლის ასაკში გავდიოდით პენსიაზე, მაგრამ ახლანდელმა მთავრობამ იმ ადამიანებთან გაგვათანაბრა, რომლებსაც არასდროს უმუშავიათ. ჩვენ ისეთ პირობებში ვმუშაობთ, 65 წლის ასაკამდე მივაღწევთ? იქნებ, მოგვხედოს მთავრობამ,"** - ამბობენ მეშახტეები.

"საქინვესტი" "ტყიბულნახშირის" მართვას ოფიციალურად 1 ივლისიდან შეუდგება. ქვანახშირის მოსაპოვებლად ლიცენზიისთვის კი აუქციონი გარემოს დაცვის სამინისტროში 21 ივლისს, 11 საათზე გაიმართება.

ტყიბულის ნახშირის ფასი საერთაშორისო ბაზარზე 40-დან 50 დოლარამდე მერყეობს. მისი რეალიზაცია საქართველოს რამდენიმე მსხვილი საწარმოს (ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, საქცემენტი და ა.შ) გარდა, სომხეთსა და აზერბაიჯანშიც იგეგმება.

## საფონდო ბირჟაზე 47536,44 ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდი გაიყიდა

საქართველოს საფონდო ბირჟაზე 8 სააქციო საზოგადოების (სს "დილა", სს"საქართველოს ბანკი", სს "რეა ქართუ", სს "საქწყალპროექტი", სს "თბილაბრეშუმი", სს "თბილხელსაწყო", სს "უნივერმაღი თბილისი", სს "ელექტროკავშირი") აქციაზე 128 გარიგება დაიდო. გარიგებათა საერთო მოცულობამ 47536,44 ლარი შეადგინა. აქედან 91292 აქცია გასხვისდა.

საბირჟო ვაჭრობაში ყველაზე მსხვილი წილის ყიდვა-გაყიდვა დაფიქსირდა სააქციო საზოგადოება "დილას" აქციებზე - გასხვისდა 29572 აქცია, თითოეული 0,18 ლარში.

სხვა სააქციო საზოგადოებაში რაიმე არსებით გადანაწილებას ადგილი არ ჰქონია. საქართველოს საფონდო ბირჟაზე მიმდინარე ვაჭრობებში სააქციო საზოგადოება "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" (ყოფილი "ელექტროკავშირი") აქციებზე კლების დინამიკა შეინიშნება. ერთი აქციის ფასი 0,529 ლარამდე დაეცა. მკვეთრად შემცირდა ამ საზოგადოების აქციაზე ყიდვა-გაყიდვების მოცულობაც.

ბირჟის მონაცემებით, ორი კვირის განმავლობაში გასხვისდა, სულ რაღაც, 22 ცალი პაკეტი (თითო პაკეტი 1150 ცალი).

როგორც ბირჟის ანალიტიკოსები აცხადებენ, ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაფიქსირდა 900000 ცალი აქციის შეძენის განაცხადი, თუმცა, ფასი 0,30-,35 ლარის ფარგლებში მერყეობდა.

## სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობამ 166872 ათასი აშშ დოლარი შეადგინა

2006 წლის იანვარ-მაისში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გამართული ვაჭრობის მოცულობამ 166872 ათასი აშშ დოლარი, 6986300 ევრო, 20 ათასი შვეიცარული ფრანკი და 24 ათასი დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი შეადგინა. საანალიზო პერიოდში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავაჭრო სესიებზე 71422 ათასი აშშ დოლარი შეიძინა, ხოლო 34113 ათასი აშშ დოლარი გაყიდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოს სავალუტო რეზერვებმა 550,6 მილიონი დოლარი შეადგინა

საქართველოს საერთაშორისო სავალუტო რეზერვებმა 550,6 მლნ დოლარს მიაღწია. როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, ეს მაჩვენებელი გასული წლის მოცულობას 106,5 მლნ დოლარით აჭარბებს.

რეზერვის მნიშვნელოვანი ზრდა, ძირითადად, განპირობებულია ფულადი სახსრების შემოსვლით პრივატიზაციიდან და ინტერვენციიდან, რომელიც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ბანკთაშორის სავალუტო აუქციონზე განახორციელა. 2006 წლის იანვარ-მაისში შემოსავალმა, რომელიც მიღებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ქვეყნის სავალუტო რეზერვების მართვით, შეადგინა 13 495 757 ლარი, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 5 693 336 ლარით მეტია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საავტომობილო გზების დეპარტამენტი სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს

ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობს გზის იმ მონაკვეთების რეაბილიტაციაზე, რომლებიც საქართველოს კულტურულ და სულიერ ძეგლებს უკავშირდება. ამის შესახებ საავტომობილო გზების დეპარტამენტში განაცხადეს.

ამჟამად მიმდინარეობს დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება საგარეჯო-უდაბნოს გზაზე. დასრულდა გელათის მონასტერთან მისასვლელი 2.6 კმ-იანი გზის რეაბილიტაცია. ბოდბეში და წმიდა ნინოს მონასტერთან მისასვლელი გზა უკვე შეკეთდა. უახლოეს მომავალში სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება უფლისციხესთან და გარეჯის მონასტრებთან მისასვლელ გზებზე. **ინტერპრესნიუსი**

## აშშ-მ ფინანსური შპიონაჟი აღიარა

ამერიკის ფინანსთა სამინისტრომ აღიარა, რომ არსებობს საბანკო ოპერაციების სათვალთვალო საიდუმლო პროგრამა. საუბარია გადახდის საერთაშორისო სისტემა SWIFT-ით წარმოებულ გადარიცხვებზე, რომელშიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით 8 ათასამდე ფინანსური ინსტიტუტი, მათ შორის პლანეტის ყველა უმსხვილესი ბანკი შედის.

საიდუმლო პროგრამა უკვე 5 წელია ხორციელდება და მას დაზვერვის ცენტრალური ბიურო აკონტროლებს. თუმცა, ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, ეს პროგრამა სრულიად კანონიერია და ტერორიზმთან ბრძოლისათვის გამოიყენება.

ამ მოსაზრებას არ იზიარებენ დემოკრატი კონგრესმენები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ თავდაპირველად აშშ-ს მთავრობას საერთაშორისო ფინანსური ტრანზაქციის სათვალთვალოდ აუცილებელი ნებართვა უნდა აეღო.

## ირანი ბენზინის მიწოდებას ზღუდავს

ირანის ხელისუფლება ბენზინის იმპორტზე უარს აცხადებს და ქვეყნის ტერიტორიაზე საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებით გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს.

ირანის ნავთობმრეწველობის მინისტრის კაზემ ვაზირი ხამანეს განცხადებით, ბენზინის იმპორტი 2006 წლის 23 სექტემბრიდან შეწყდება. ბენზინის გაყიდვის ნორმირებაზე მუშაობას კი ხელისუფლება მომავალი კვირიდან დაიწყებს.

ირანი აღნიშნული ნედლეულის ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორია მსოფლიოში. გადამამუშავებელი საწარმოების უკმარისობის გამო ირანის ბენზინის წარმოების სიმძლავრე 40 მილონს არ აღემატება. ეს ყოველივე კი ავტომობილების რაოდენობის მკვეთრი ზრდის ფონზე და მეზობელ ქვეყნებში კონტრაბანდის მაჩვენებლის ზრდასთან ერთად საწვავის დეფიციტს ქმნის. დღევანდელი მონაცემებით საწვავის საკმარისი რაოდენობა კი 70 მილიონი ლიტრით განისაზღვრება.

ერთი ლიტრი ბენზინი ირანში დღეისათვის 12 ცენტი ღირს. ეს ფასი აღნიშნული საწვავის მსოფლიო ფასთან შედარებით საკმაოდ დაბალია.

თებერვალში ირანის პარლამენტმა ბენზინის იმპორტზე მხოლოდ 2,5 მილიარდი დოლარი გამოყო, მაშინ როცა ირანის ხელისუფლებამ 4 მილიარდი დოლარი მოითხოვა.

## British Airways-ის საქმით გამოძიება დაინტერესდა

ბრიტანული ავიაკომპანია British Airways-ს ბილეთებისა და საწვავის ღირებულების ხელოვნურ გაზრდაში ადანაშაულებენ. სწორედ ეს გახდა გამოძიების ინტერესის საგანი, რომლითაც, პარალელურად, ლონდონი და ვაშინგტონიც დაკავდნენ. British Airways-ს ხელმძღვანელობა ხაზგასმით აცხადებს, რომ კომპანიის საქმიანობა დიდი ბრიტანეთის სავაჭრო წესებს არ ეწინააღმდეგება და ამასთან ერთად, ისინი ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროსთანაც აქტიურად თანამშრომლობენ. იმ შემთხვევაში, თუ ბრიტანული ავიაკომპანია კონკურენციის წესების კანონის დარღვევაში თავს დამნაშავედ სცნობს, მას დააჯარიმებენ. წინასწარი ინფორმაციით კომპანიას მოგების 10%-ის გადახდა მოუწევს. შეგახსენებთ, რომ გასულ წელს კომპანიის მოგებამ 8,5 მილიარდ ფუნტ სტერლინგს (15,9 მილიარდი დოლარი) მიაღწია. ბრიტანეთის ოფიციალური მხარე მომხდარზე კომენტარის გაკეთებისგან ჯერ-ჯერობით თავს იკავებს და აცხადებს, რომ გამოძიების დაწყება პოლიციის პროვოცირებულია. British Airways თავის მხრივ არც იმას გამორიცხავს, რომ გამოძიების დაწყებაში სხვა ავიაგადამზიდების ინტერესებიც შეიძლება იყოს. ხელმძღვანელობა აცხადებს,რომ თავად ავიაკომპანია, ყოველთვის კონკურენციის შესაბამისი კანონმდებლობით ხელმძღვანელობდა. გარდა ამისა, ცოტა ხნის წინ, ბრიტანულმა ავიახაზებმა კორპორაციის კომერციული დირექტორი მარტინა ჯორჯა და საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენელი იენა ბერნსა გამოძიებასთან თანამშრომლობის გამო თანამდებობიდან გაათავისუფლა. გასული წლის თებერვალში ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრომ და ევროკომისიამ British Airways-ისა და კიდევ რამდენიმე ევროპული ავიაგადამზიდის საქმიანობა გამოიკვლიეს. მათ შორის აღმოჩნდა Lufthansa და SAS.

# ეკონომიკა, პიარი და რეალიზმი

პირველი გვერდიდან



ამგვარი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად ჩინეთის ცენტრალური ბანკი მხოლოდ განცხადებებით არ შემოიფარგლება. ცოტა ხნით ადრე მან ქვეყნის ბანკებს რეზერვის (თანხა, რომელიც კომერციული საქმიანობისათვის არ გამოიყენება და ერთგვარი დაზღვევისათვის არის გადადებული) 0,5 პროცენტით გაზრდა მოსთხოვა.

ბანკმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა, რომელიც ჩინეთის ეროვნულ ვალუტას - იუანს შეეხო. განცხადების მიხედვით, იუანის კურსი მოთხოვნა-მიწოდების პრინციპით იქნება განსაზღვრული. ამის განხორციელება ნიშნავს, რომ იუანის კურსზე ხელოვნური ზეწოლა აღარ მოხდება. ამ ქმედებამ, შესაძლოა, ერთობ სერიოზული გავლენა მოახდინოს მსოფლიოს ეკონომიკურ ურთიერთობებზე, რადგან დასავლელი ექსპერტების მტკიცებით, ჩინური ვალუტა ხელოვნურადაა გაუფასურებული და ჩინური საქონლის კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც სწორედ ესაა.

გასული ერთი წლის განმავლობაში იუანი 1,3 პროცენტით გამყარდა, თუმცა ამტკიცებენ, რომ მისი რეალური კურსი ახლანდელ კურსზე კვლავაც მაღალია. იუანის კურსის ბუნებრივ მაჩვენებლამდე აწევა უკმაყოფილების საბაბს მოუსპობს აშშ-ს, რომლის სავაჭრო დეფიციტი ჩინეთთან განუწყვეტლივ იზრდება. თუმცა, ცხადია, პეკინის შესაძლო ნაბიჯები იუანის გამყარებასთან დაკავშირებით მხოლოდ ვაშინგტონის გულის მოგების სურვილით არაა გამოწვეული: ხელოვნურად გაუფასურებული იუანი და ამგვარი გზით გაბერილი ექსპორტი ისევ და ისევ ეკონომიკის მეტისმეტად სწრაფ ზრდას უწყობს ხელს. აშკარაა, რომ ბანკების მიერ რეზერვების გაზრდა პროცესის შესაჩერებლად საკმარისი არ იქნება და საჭირო გახდება დამატებითი ზომების მიღება.

ემუქრება თუ არა ამით რაიმე საფრთხე ჩინურ საქონელს მსოფლიო ბაზარზე? იუანის გამყარება ხომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჩინური ნაწარმის გაძვირებას გამოიწვევს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩინური საქონელი უკვე არა მხოლოდ სიიაფით, არამედ ხარისხითაც იზიდავს მყიდველს. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა "მეიდ ინ ჩაინა" მხოლოდ ხელმისაწვდომ ფასს ნიშნავდა; ახლა ეს წარწერა სულ უფრო და უფრო ასოცირდება მაღალ ხარისხთანაც. თავის დროზე, სწორედ ამგვარად გაიკვლია გზა იაპონურმა საქონელმა მსოფლიო ბაზარზე - ჯერ სიიაფე, შემდეგ კი ხარისხი.

### ენერგეტიკა+პიარი

მეორე მნიშვნელოვანი განცხადება, რომელმაც ასევე მიიპყრო ფინანსური სამყაროს ყურადღება, მოსკოვში გაკეთდა: რუსეთი მზადაა, ვადაზე ადრე დაუფაროს ვალი პარიზის კლუბს. ამის მეშვეობით ქვეყანა 7,7 მილიარდ დოლარს დაზოგავს, რომელიც ვალის მომსახურებაზე უნდა დახარჯულიყო. ამ გარემოების გამო პარიზის კლუბის რამდენიმე წევრი - მაგალითად, გერმანია - რუსეთის ამ ჩანაფიქრს ეწინააღმდეგებოდნენ, რადგან ვალის ადრე გადახდით ისინი ზემოხსენებულ თანხას კარგავენ. მაგრამ, ჩანს, რუსეთმა საბოლოოდ თავისას მიაღწია.

ეს ვალი - 22,3 მილიარდი დოლარი - მოსკოვს, წესით, 2015 წელს უნდა დაეფარა, მაგრამ როგორც ფინანსთა მინისტრმა ალექსეი კუდრინმა განაცხადა, მისი გადახდა უკვე მიმდინარე წლის აგვისტოში დასრულდება. შედეგად, რუსეთის საგარეო ვალი, რომლის ლომის წილი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირიდან მოდის, 50 მილიარდ დოლარზე ჩამოვა. ეს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 5 პროცენტია, რაც არც ისე სახარბიელო მაჩვენებელია, მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთის სტაბილიზაციის ფონდი და სავალუტო რეზერვები უკვე რამდენიმე ასეულ მილიარდ დოლარს ითვლის და ამ ვალის გასტუმრება დიდ პრობლემას აღარ წარმოადგენს.

ზემოხსენებული განცხადებები შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის საიუბილეო სამიტის დასრულების შემდეგ გაკეთდა. სამიტზე აშშ-ს მისამართით ნასროლი პოლიტიკური მესიჯების შემდეგ, ორგანიზაციის ორივე წამყვანი სახელმწიფო თავის შიდა საქმეებს მიუბრუნდა და ეკონომიკა გაიხსენა.

თუმცა, რუსეთისათვის საგარეო ვალების გასტუმრება მხოლოდ ეკონომიკა არ არის. კუდრინის განცხადება კეთდება დიდი რვიანის სამიტის წინ, რომელსაც რუსეთი მასპინძლობს და, ცხადია, მასპინძელს დიდი სურვილი აქვს, ამ სამიტზე დასავლეთის თანასწორ პარტნიორად წარმოჩინდეს. სამიტის დღის წესრიგში მთავარ თემად ენერგეტიკული უსაფრთხოებაა შეტანილი. რუსეთისათვის, რომელიც ენერგეტიკული ზესახელმწიფოს აგებას ესწრაფის, უკეთესი თემა, ალბათ, არ არსებობს. დღევანდელი რუსეთის პოლიტიკა, ძირითადად, ხომ ორ ვექტორზეა აგებული. ეს ვექტორებია: საგარეო ენერგეტიკული ექსპანსია და საშინაო პოპულისტური პროპაგანდა.

პირველ ვექტორს ახორციელებს "გაზპრომი", რომლის ამბიციები მნიშვნელოვნად სცდება ყოფილ საბჭოთა კავშირს. გარდა ამისა, ამბიციები არ გულისხმობს მხოლოდ ინვესტიციების განხორციელებასა თუ კლიენტურის რიგების გაფართოებას; "გაზპრომი" საგარეო პოლიტიკის იარაღადაც გამოიყენება. გასულ კვირას საუბარი დაიწყო უკრაინისათვის გაზის საფასურის შემდგომ გაზრდაზე. ეს საუბარი, ნებსით თუ უნებლიეთ, დაემთხვა იმ დროს, როცა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ "ნარინჯისფრებმა", როგორც იქნა, ერთიმეორეში ურთიერთობები გაარკვიეს და პრემიერ-მინისტრის პოსტზე ისევ ტიმოშენკოს კანდიდატურა წამოაყენეს. საგულისხმოა, რომ ტიმოშენკოსთან კრემლს, რბილად რომ ვთქვათ, თბილი ურთიერთობები არ აკავშირებს.

დღეს უკრაინა, 1000 კუბური მეტრი გაზის სანაცვლოდ, 95 დოლარს იხდის, რაც ძველ ტარიფზე დაახლოებით ორჯერ მეტია. ქვეყნის ეკონომიკამ ეს დარტყმა, ასე თუ ისე, გადაიტანა. თუკი შარშან უკრაინას 2006 წლისათვის 3,5-5-პროცენტიან ეკონომიკურ ზრდას უწინასწარმეტყველებდნენ, ახლა ეს მაჩვენებელი შემცირდა, თუმცა 2 პროცენტზე დაბლა არ უნდა ჩამოვიდეს. ოღონდ, ეს იმ პირობით, თუკი გაზი კიდევ უფრო არ გაძვირდება; "გაზპრომი" კი ახლა ფასის 230 დოლარამდე გაზრდით იმუქრება, რაც კიევს მართლაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს. როგორ იმოქმედებს "გაზპრომი" უკრაინელთა მხრიდან ურჩობის შემთხვევაში, ამის მაგალითი უკვე ახალ წელს ვნახეთ - ქვეყანას, უბრალოდ, გაზის მიწოდება შეუწყვიტეს. ძნელი სათქმელია, წავა თუ არა იგივეზე კრემლი მეორედ, იმის გათვალისწინებით, რომ ახალი წლის საქციელმა სერიოზულ პანიკაში ჩააგდო ევროპა - რუსული გაზის უმსხვილესი მომხმარებელი და ყველაზე საიმედო პარტნიორი. მაშინ მოსკოვი იმედოვნებდა, რომ დასავლეთის კრიტიკა კიევს დაატყდებოდა თავს, მაგრამ კრიტიკის ობიექტად კრემლი იქცა. ახლა რუსეთი ცდილობს, გათიშვის შესაძლო სცენარისათვის უკეთ მოემზადოს და უკრაინას სხვადასხვა ბრალდებას უყენებს: ამბობენ, რომ უკრაინა ახალ წელს ევროპისათვის განკუთვნილ გაზს იპარავდა, რომ უკრაინა ახლა გაზს მიწისქვეშა საცავებში ინახავს და ა.შ.

ეს განცხადებები გარე მოხმარებაზეა გათვლილი, მაგრამ, ცხადია, არც შიდა მოხმარების ყურადღების მიღმა რჩება. პროპაგანდა ქვეყნის შიგნით ის ვექტორია, რომელსაც ენერგოექსპანსიაზე არანაკლები ყურადღება ეთმობა.

### კრემლის სავარაუდო რეალპოლიტიკა

სანამ შიდა მოხმარების პიარი მთელი გაქანებით ხორციელდება, კრემლში, ალბათ, უფრო რეალურ პრობლემებზე ფიქრობენ. ეს პრობლემები ისლამურ სამყაროს და ჩინეთის ექსპანსიას უკავშირდება. ასევე, პრობლემად განიხილება დასავლეთიც (აქ შიდა პიარი და უსაფრთხოების პოლიტიკა ერთიმეორეს ემთხვევა). მაგრამ ამდენი "მტრის" გარემოცვაში "გადარჩენა", ალბათ, გაუჭირდება, თუკი რომელიმე მათგანთან საერთო ენას არ გამონახავს და პარტნიორად არ აქცევს. მოსკოვს ყველაზე მისაღებ პარტნიორად, აშკარად, ჩინეთი მიაჩნია. ამას ორი ქვეყნის ბოლოდროინდელი დაახლოებაც მოწმობს (თუნდაც, იგივე შანხაის შეხვედრის ფარგლებში), მაგრამ რამდენად მზადაა ჩინეთი, მოსკოვთან ერთად დაუპირისპირდეს დასავლეთსა თუ ისლამურ სამყაროს? დასავლეთთან პეკინს მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა აკავშირებს, რუსეთისგან კი პეკინს უპირველესად ენერგორესურსები სჭირდება (და მას იღებს კიდეც). მართალია, ჩინეთი მოსკოვის დარად მხარს უჭერს ირანისადმი უფრო რბილი პოლიტიკის გატარებას, მაგრამ პეკინის ეს პოზიცია უპირველესად, ალბათ, იმითაა გამოწვეული, რომ ჩინურ კომპანიებს ირანში სერიოზული კაპიტალდაბანდება აქვთ განხორციელებული - ინტერესი უფრო პრაგმატულია და არა იდეოლოგიური.

დასავლეთთან კავშირი რეალურ ვარიანტად არ განიხილება, რადგან ამ ნაბიჯს დასავლეთის მხრიდან აუცილებლად მოჰყვება რუსეთში დემოკრატიული რეფორმების გატარების მოთხოვნა.

რაც შეეხება ისლამურ სამყაროსთან ალიანსს, ეს, ალბათ, კიდევ უფრო ნაკლებად რეალურია. ისლამური სამყარო საკმაოდ სუსტია და გათიშული და მის გასაძლიერებლად დიდძალი რესურსები იქნება საჭირო. გაძლიერების შემთხვევაში კი რადიკალური ისლამი უკვე თავად რუსეთს შეუქმნის სერიოზულ პრობლემებს.

რუსი ექსპერტები განიხილავენ ჩინეთის წინააღმდეგ იაპონიასთან ალიანსის ვარიანტსაც, მაგრამ რუსეთს არაფრით არ სურს იაპონიისათვის კურილიის კუნძულების დაბრუნება.

კრემლის ამ სავარაუდო გათვლებსა და რეალპოლიტიკას ძველ ჭეშმარიტებამდე მივყავართ - თვითიდენტიფიკაციის პრობლემა. რუსეთს ვერაფრით ვერ გაურკვევია, თუ რომელ ცივილიზაციას მიეკუთვნება. მას დასავლეთთან ყოფნა არ სურს, მაგრამ, ამავე დროს, აზიაში მას "თავისიანად" არ აღიქვამენ და მაინც უფრო ევროპულ სახელმწიფოდ მოიაზრებენ.

სანამ ნავთობზე მაღალი ფასები შენარჩუნდება, რუსეთი დიდძალი შემოსავლის წყალობით, ასე თუ ისე, დაცულად იგრძნობს თავს. მაგრამ, ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ზრდა სახიფათოა. ასეთ ვითარებაში აქცენტები სხვა მიმართულებითაც კეთდება. მაგალითად, საგრძნობი წარმატება იქნება "არსელორისა" და "სევერსტალის" გაერთიანება, რადგან ამ შემთხვევაში, ნავთობისა და გაზის გარდა, რუსეთი მეტალურგიული წარმოებითაც გავიდოდა მსოფლიო ბაზარზე. ჯერჯერობით, "არსელორის" ბედი კვლავაც გაურკვეველია, რადგან მისი ხელში ჩაგდების მსურველი, ინდური "მიტალ სტილი" კვლავაც არ კარგავს კომპანიის აქციონერებთან გარიგების იმედს და მაზანდასაც სულ უფრო მაღლა წევს. მართალია, მეტალურგიას საინფორმაციო ეპოქაში წამყვან დარგად აღარ მიიჩნევენ, მაგრამ რუსული კომპანიისთვის "არსელორთან" გაერთიანება მაინც მეტად მნიშვნელოვანი იქნება, თუნდაც იმის გამო, რომ რუსული ბიზნესი ამით ევროპულ ბიზნესს დაუხლოვდება და დასავლეთთან გაჯიბრების მომენტიც, ასე თუ ისე, უკანა პლანზე გადაიწევს.

# იაპონელ ფინანსისტს სამი წლით დააპატიმრებენ



იაპონიის პროკურატურამ ცნობილ ფინანსისტს, საინვესტიციო ფონდ Murukami Fund-ის ყოფილ შეფს იოშიაკი მურუკამის განაჩენი გამოუტანა. სააგენტო Bloomberg-ის ინფორმაციით, გამოძიებამ ფინანსისტი ინსაიდერულ გარიგებებში მონაწილეობის გამო დააკავა. რის გამოც მურიკამის სამი წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, ან წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარიმის სახით 3 მილიონი იაპონური იენის (26 ათასი დოლარი) გადახდა მოუწევს.

იაპონელმა ფინანსისტმა 2004 წლის ბოლოსა და 2005 წლის დასაწყისში ბაზარზე nippon Brodcasting-ის 1,93 მილიონიანი აქციები 86,7 მილიონ დოლარად შეისყიდა. ამასთან ფლობდა ინსაიდერულ ინფორმაციას კომპანია Liverdoor-ის შესყიდვის შესახებ. მას შემდეგ რაც გარიგება შედგა, Nippon Brodcasting-ის ქაღალდების ფასმა საგრძნობლად მოიმატა, რის შედეგადაც მურუკამიმ თავისი აქციები სარფიანად გაყიდა.

იაპონელმა ფინანსისტმა დანაშაული დაპატიმრებამდე რამდენიმე საათით ადრე, სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე აღიარა. მურუკამის მიერ დადებულმა ამ ინსაიდერულმა გარიგებამ იაპონიის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელის ტოსიხიკო ფუკუიმის რეპუტაციაზე ძალიან ცუდად იმოქმედა. საქმე იმაში გახლავთ, რომ ტოსიკიხო ფუკუიმ თავისი სახსრების გარკვეული ნაწილი მურუკამის ფონდში ჩადო. 2006 წლის თებერვალში კი მან თავისი წილი გაყიდა. ოპოზიციამ ჩათვალა, რომ ეს ქმედება თანამდებობიდან გადადგომის ტოლფასი იყო, თუმცა ფუკუიმ სრულიად საპირისპირო ნაბიჯები გადადგა და იაპონიის პრემიერ-მინისტრს ძუნიტირო კოიდზუმის დაუჭირა მხარი.

## აშშ-ს ბირჟაზე კვირა კლებით დასრულდა










გასული კვირის ბოლოს ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა ნავთობის გაძვირებამ მოახდინა. ამასთან, დოლარის კურსის გამყარების მიუხედავად, კვლავ არსებობს ძირითადი საპროცენტო განაკვეთის გაზრდის საშიშროება. გარდა ამისა, აშშ-ს ვაჭრობის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ქვეყანაში ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე შეკვეთები მაისში აპრილთან შედარებით 0,3 პროცენტით შემცირდა. არადა, უოლ სტრიტის ანალიტიკოსები 0,5 პროცენტიან ზრდას ელოდნენ. საბოლოოდ, Dow Jones Index 0,27 პროცენტით, 10.989,09 პუნქტამდე შემცირდა. 0,07 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.121.47 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,09 პროცენტით, 1.244,50 პუნქტამდე მოიკლო.

## "ოპეკის კალათი" ორკვირიან მაქსიმუმამდე გაძვირდა

პარასკევს ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების მცირე ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 69,97 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 70,81 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა. ასე რომ, გასული კვირის ბოლოს ნავთობის გაძვირების ტენდენცია შენარჩუნდა, რისი მიზეზიც ზაფხულის დადგომასთან ერთად ბენზინზე მოთხოვნილების ზრდა და ახლო აღმოსავლეთსა და ნიგერიაში არსებული დაძაბული ვითარებაა. ექსპერტთა აზრით, ფასების ზრდა კიდევ უფრო მნივშნელოვანი იქნებოდა, რომ არა აშშ-ში ნედლი ნავთობის მარაგის რაოდენობის მატება და მექსიკის ყურეში უშტორმო ამინდის შესახებ სინოპტიკოსთა მიერ გავრცელებული ინფორმაცია. შედეგად, პირველად უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში, "ოპეკის კალათის" ფასი პირველად გადასცდა 64 დოლარი/ბარელის ზღვარს და მისმა ოფიციალურმა ღირებულებამ 64,36 დოლარი/ბარელი შეადგინა, რაც 12 ივნისის შემდეგ დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელია, როცა "ოპეკის კალათის" ფასი 65,41 დოლარი/ბარელი იყო. შეგახსენებთ, რომ ტერმინი "ოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი 11 ქვეყნის მიერ მოპოვებული ამდენივე მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17. 1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური "ფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი "კალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა. "ოპეკის კალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი 68 დოლარი/ბარელი 2006 წლის 2 მაისს დაფიქსირდა.

## ძვირფასი ლითონები გაიაფდა

გასული კვირის ბოლოს ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლო ბირჟებზე, მიუხედავად ნავთობის გაძვირებისა და მსოფლიოში არსებული დაძაბული გეოპოლიტიკური ვითარებისა, ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქრო 0,9 პროცენტით, 585,4 დოლარამდე გაიაფდა. ვერცხლის ფასმა კი 2 პროცენტით მოიკლო და 10,210 დოლარი/უნცია შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეს ოქროსა და ვერცხლის უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური ღირებულებაა. ძვირფასი ლითონების გაიაფების მიზეზი მსოფლიოს წამყვან ვალუტებთან მიმართებაში დოლარის კურსის გამყარებამ და წინა დღეებში მნიშვნელოვანი გაძვირების შემდეგ მოგების ფიქსაციამ განაპირობა.

## ევროპაში ღვინო გაძვირდება

ევროკომისიამ კონტინენტის ღვინის ინდუსტრიის რეფორმის გეგმა წარმოადგინა. კარგა ხანია ევროპული ორგანოები შეშფოთებულია იმით, რომ ძბებერი კონტინენტის" ღვინის წარმოება აშკარად ჩამორჩა ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკელ, ავსტრალიელ და სამხრეთ აფრიკელ კონკურენტებს. გეგმის მიხედვით, მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს იაფი ღვინის წარმოების მოცულობა. ევროკავშირის ბიუჯეტიდან ფერმერებისათვის, რომლებიც რეფორმას ვერ განახორციელებენ და ამ ბიზნესიდან გამოსვლას გადაწყვეტენ, სუფსიდიების სახით 2 მილიარდი ევრო გამოიყოფა. ივნისის დასაწყისში ევროკომისიამ რამდენიმე ასეული მილიონი ბოთლი ფრანგული და იტალიური ღვინის სამრეწველო სპირტად და ბიოსაწვავად გადამუშავებისათვის 131 მილიონი ევრო გამოყო, რომ ჭარბ პროდუქტს ევროპულ ბაზარზე ფასების ვარდნა არ გამოეწვია. აღსანიშნავია, რომ ევროპაში უცხოური ღვინის იმპორტი ყოველწლიურად 10 პროცენტით იზრდება, ევროპული ღვინის იმპორტი კი, შესაბამისად მცირდება.

## General Electric და Hitachi ორ ატომურ ელექტრო სადგურს ააშენებს

ამერიკული მრავალპროფილიანი, მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი კონცერნი General Electric და ელექტრონიკის მწარმოებელი იაპონური კომპანია Hitachi ტეხასის შტატში, ქალაქ ჰიუსტონის მახლობლად ორი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის ერთობლივ პროექს განახორციელებენ, რომლის საერთო ღირებულება 5,2 მილიარდი დოლარია. ატომური ელექტოსადგურების, რომელთა მშენებლობა 2014 წელს დამთავრდება, მმართველი ელექრტოენერგიის გამანაწილებელი კომპანია NRG Energy Inc იქნება. ამ ორი ატომური ელექტროსადგურის აგება NRG Energy Inc-ის მიერ შემუშავებული აშშ-ში ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის პროექტის, რომლის მთლიანი ღირებულება 16 მილიარდი დოლარია, ნაწილია. 2005 წელს პრეზიდენტმა ბუშმა ხელი მოაწერა ქვეყანაში ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის განვითარების ინიციატივას. ამჟამად აშშ-ში 100 ატომური ელექტროსადგურია, რომლებიც ქვეყნის მიერ მოხმარებული ელექტრო ენერგიის მთლიანი მოცულობის 20 პროცენტს გამოიმუშავებენ.







# ხარისხი - კონკურენციის მთავარი კრიტერიუმი

პირველი გვერდიდან

ეთიკის კოდექსს სასტუმრო "მეტეხში" გამართულ პრეზენტაციაზე ხელი მოაწერა: შპს "არსმა", "არქსტუდიამ", შპს "აქსისმა", შპს "ბაგები 2002"-მა, სამშენებლო კომპანია "იბერიამ", შპს "კავკასიის ინდუსტრიისა და დისტრიბუციის მომსახურებამ", შპს "მაგისტილმა", "ცენტრ პოინტ ჯგუფმა" და " საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიამ".

ეთიკის კოდექსის ხელმომწერების განმარტებით, ეს არის მენაშენეთა ასოციაციის დოკუმენტი, რომელიც, ფაქტობრივად, შიდა სერტიფიცირების პროცესს დააჩქარებს და ბინათმშენებლობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

ექსპერტთა შეფასებით, კომპანიებს შორის ბაზარზე კონკურენცია არ არის მძაფრი. აქ არის კონკურენცია მხოლოდ ხარისხზე. საქართველოს ბაზრის მოთხოვნაა წელიწადში 800 ათასი კვადრატული მეტრის მშენებლობა. ამიტომ, სამშენებლო კომპანიები ამ სეგმენტს მშვიდად ითვისებენ. ადგილობრივ ბაზარზე 70 პროცენტი "ცენტრ პოინტ ჯგუფის" წილია. ბოლო წლების სტატისტიკით, ბაზარზე სამი ძლიერი მოთამაშე - "ცენტრ პოინტ ჯგუფი", "არსი" და " აქსისი" გამოიკვეთა.

სამშენებლო საქმის ექსპერტების შეფასებით, ეს სფერო "სამშენებლი კოდექსით" უნდა დარეგულირდეს, რომელიც ამ ეტაპზე პარლამენტში განხილვის სტადიაშია, ხოლო სამშენებლო კომპანიებს შორის არსებულ ურთიერთობებს ეთიკის კოდექსი მოაგვარებს. მის მნიშვნელობაზე "24 საათი" მენაშენეთა ასოციაციის პრეზიდენტს ვახტანგ ხმალაძეს ესაუბრა.

**- რატომ გახდა აუცილებელი "ეთიკის კოდექსის" მიღება და მენაშენეთა ასოციაციაში სხვა კომპანიებს თუ შეუძლიათ გაწევრიანება?**

- ასოციაცია შეიქმნა 2004 წლის გაზაფხულზე. დადგა საკითხი, ასოციაციას მიელო ეთიკის კიდექსი, რომელიც მენაშენეთა ასოციაციის წევრების შიდა რეგულურებას მოახდენდა. დავიწყეთ მუშაობა. ავიღეთ სხვადასხვა ქვეყნების მაგალითები.

ეთიკის კოდექსის ამოსავალი არის ის, რომ განისაზღვროს ასოციაციის წევრების მოთხოვნები და ვალდებულებები. მათ ის ვალდებულებები უნდა აიღონ თავის თავზე, რაც კანონით არის განსაზღვრული. ფაქტობრივად, ერთი წლის მუშაობის შემდეგ ჩამოვაყალიბეთ პოზიცია. რაც შეეხება მენაშენეთა ასოციაციას, ეს ორგანიზაცია 2004 წელს შეიქმნა. მენაშენეთა ასოციაციის დაფინანსებით გაანალიზდა ქალაქის ურბანული განვითარების სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა. მომზადდა სათანადო წინადადებები გარკვეული რეორგანიზაცია გაკეთდა, დაინერგა მართვის ავტომატური სტრუქტურა. მენაშენეთა ასოციაციაში ცხრა წევრია. ეთიკის კოდექსის მიღების შემდეგ



*ეთიკის კოდექსს ათმა კომპანიამ მოაწერა ხელი.*

ასოციაციის კარი ყველა იმ მენაშენესათვისაა ღია, ვინც აღიარებს ეთიკის კოდექსს და შეასრულებს იმ პირობებს, რაც იქ არის დადგენილი. საწევრო მენაშენეთა ასოციაციის წევრებისათვის, თვეში 1000 დოლარის ეკვივალენტით, ლარებში განისაზღვრა.

**- განსაზღვრავს თუ არა ეთიკის კოდექსი ბინათმშენებლობის ხარისხს? რადგან ამ კუთხით სამშენებლო კომპანიების საქმიანობაში ხშირად გარღვევაა.**

- მოგეხსენებათ, ბოლო ორ წელიწადში მკვეთრად გაიზარდა მშენებლობის რაოდენობა. შესაბამისად, გაიზარდა მოთხოვნილება ხარისხისადმი. მაგრამ არსებობს საშუალო დონე მშენებლობისა, რაც ჩვენთან არის გავრცელებული (როგორც ბარდება სახლები).

მენაშენეთა ასოციაციის წევრებმა თავის თავზე აიღეს ვალდებულება, დაადგინეს გარკვეული სტანდარტები, რომლის ქვევითაც მათ დაშვების უფლება არ აქვთ.

მაგალითად, შენობა უნდა იყოს დასრულებული, საერთო სარგებლობის ნაწილი - სადარბაზოები, ეზო, ფასადი მოპირკეთების ჩათვლით - უკანასკნელ სახემდე უნდა იყოს მიყვანილი. ეზო, ამ შენობის მიმდებარე გზის ნაწილი უნდა იყოს კეთილმოწყობილი. ბინებში კომუნიკაციები უნდა იყოს დასრულებული. რაც შეეხება უსაფრთხო მშენებლობას, ამაზე პასუხს სახელმწიფო ექსპერტიზა აგებდა. ახლა მუშავდება სამშენებლო კოდექსი. წესით, ასეთი საკითხი კოდექსმა უნდა დაარეგულიროს. ეს ეთიკის კოდექსის ფარგლებს სცილდება. ჩვენ ვცდილობთ, შემოვიღოთ ისეთი შიდა სერტიფიცირება, რაც ასოციაციის წევრ კომპანიებს მეტ გარანტიას და სტიმულს მისცემს ხარისხიანი მშენებლობისათვის. შესაბამისად, მყიდველი მოულოდნელი პროცესებისაგან უფრო დაცული იქნება.

**- რაც შეეხება დამკვეთთან ურთიერთობას, ამ კუთხით სამშენებლო კომპანიებთან პრობლემები ხშირად არსებობს. რამდენად არის ასახული ეს პრობლემა ეთიკის კოდექსში?**

დამკვეთთან ურთიერთობაში აუცილებლად იქნება გათვალისწინებული ორმხრივი პასუხისმგებლობა. ხელშეკრულების დარღვევისთვის სასჯელი უნდა იყოს ორმხრივი,. დღესდღეობით, უმეტეს შემთხვევაში, ხელშეკრულებაში მხოლოდ დამკვეთის პასუხისმგებლობები დევს ხოლმე. ეთიკის კოდექსის პირობების დარღვევის შემთხვევაში მენაშენეები გარიცხულნი იქნებიან ასოციაციიდან. ასოციაციის წევრობის დაკარგვა კი სამშენებლო კომპანიისათვის ანტირეკლამა იქნება.

## ქართული პროდუქციის გამოფენა-პრეზენტაცია რიგაში

28-29 ივნისს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით, რიგაში ქართული პროდუქციის გამოფენა-პრეზენტაცია გაიმართება, სადაც მონაწილეობას 15-მდე ქართული კომპანია მიიღებს. გამოფენაზე, ძირითადად, წარმოდგენილი იქნება ქართული ღვინის კომპანიები, მათ შორის "თბილღვინო", "ვაზიანი", "თელავის ღვინის მარანი", "თელიანი ველი", "თბილისის ღვინის მარანი", "უშბა დისტილერი" და "კახეთის ტრადიციული მეღვინეობა". ასევე წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა სექტორში მომუშავე კომპანიები, როგორიცაა "მინისა და მინერალური წყლები კომპანია", "დენდრო", PშP, "ლუქს-2004" და "მადნეული". როგორც საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში აცხადებენ, ღონისძიებაზე კომპანიებს, თავიანთი პროდუქციის პრეზენტაციის გარდა, პოტენციურ პარტნიორებთან შეხვედრის საშუალება ექნებათ. დელეგაციას სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ჯემალ ინაიშვილი უხელმძღვანელებს. **ინტერპრესნიუსი**

## ეკონომიკური განვითარების სამინისტრო "თეცის" გაყიდვას მესამეჯერ ეცდება

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ს/ს "თეცის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის გაყიდვას კიდევ ერთხელ შეეცდება.

ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ "თეცის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის 8,4 პროცენტის გაყიდვის მიზნით, აუქციონი გამოაცხადა. ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი 1 000 000 აშშ დოლარით განისაზღვრა. "თეცის" საწესდებო კაპიტალი 1 595 244 აშშ. დოლარს შეადგენს.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განცხადებების მიღება ხვალიდან დაიწყება და 27 ივლისს, 17.00 საათზე დასრულდება. აუქციონი კი 27 ივლისს, 17.30 საათზე ჩატარდება.

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო "თეცის" პრივატიზებას მესამედ ცდილობს, წინა ორივე შემთხვევაში საპრივატიზაციოდ გამოტანილი ობიექტის შესყიდვით არავინ დაინტერესებულა. **ინტერპრესნიუსი**

## "ხუდონჰესის" წინასაპროექტო სამუშაოებით 9 კომპანიაა დაინტერესებული

დაკონსერვებული "ხუდონჰესის" ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და გარემოსდაცვითი პროექტების მომზადებაზე განაცხადებით ენერგეტიკის სამინისტროს 9 კომპანიამ მიმართა. როგორც ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, "ხუდონჰესის" მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური კუთხით შესწავლაზე განაცხადი ექვსმა კომპანიამ წარმოადგინა. მათ შორის გამარჯვებული განსაზღვრავს ჰესისა და კაშხლის პარამეტრებს, დაითვლის ხარჯებს და სხვ. გარემოსდაცვითი პროექტის მომზადებაზე გამარჯვებული კი სამი კომპანიიდან გამოვლინდება. "სატენდერო კომისიამ მათი წინადადებების შესწავლა დაიწყო და გამარჯვებულებს ორ თვეში გამოავლენს. შერჩეულ კომპანიებს პროექტის მოსამზადებლად 18 თვე მიეცემათ. ამის შემდეგ გამოცხადდება ტენდერი ჰესის მშენებლობაზე," - დასძინა მან. ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და გარემოსდაცვითი პროექტის მომზადებაზე ტენდერი სამინისტრომ მსოფლიო ბანკთან ერთად გამოაცხადა. მისია მზად არის "ხუდონჰესის" საპროექტო სამუშაოებისთვის გრანტი გამოყოს, დაახლოებით 6 მილიონი დოლარი. ჰესის მშენებლობა, წინასწარი პროგნოზით, ნახევარი მილიარდი დოლარი დაჯდება. ქვეყნის ენერგოსისტემას მისი ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ 700 მეგავატი რესურსი შეემატება. ამით "ხუდონჰესი" "ენგურჰესის" ალტერნატივა გახდება, რაც ქვეყნის ენერგოსისტემის საიმედოობის გარანტიას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, ქვეყანას ელექტროენერგიის ექსპორტის საშუალება მიეცემა. "ხუდონჰესის" ჰიდროელექტროსადგური უნდა აშენდეს მდინარე ენგურზე, ზუგდიდიდან 75 კმ-ში და ენგურის კაშხლიდან 38 კმ-ში ჩრდილოეთით. "ხუდონჰესის" მშენებლობა 1979 წელს დაიწყო და 1989 წელს შეწყდა. **ინტერპრესნიუსი**

## უკრაინელი ტურ-ოპერატორები იმერეთით დაინტერესდნენ

გუშინ ქუთაისს ტურ-ოპერატორთა 21-კაციანი ჯგუფი ეწვია უკრაინიდან, რის შემდეგაც კოპიტნარის აეროპორტში უკრაინისა და იმერეთის ტურ-პროდუქციის პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციაზე აღინიშნა, რომ უკრაინული ფირმა "იუ ემ აირის" თვითმფრინავის რეისები კოპიტნარის აეროპორტში შესრულდება, რაც ბათუმის აეროპორტში სარემონტო სამუშაოებმა განაპირობა. უკრაინა-ბათუმის მიმართულებით თვითმფრინავის ჩარტერული რეისები, უკვე ოთხი წელია, ხორციელდება. ბათუმის აეროპორტში სარემონტო სამუშაოების პერიოდში კოპიტნარის აეროპორტში გადაინაცვლებს თურქეთი-ბათუმის თვითმფრინავის რეისებიც.

უკრაინელი ტურ-ოპერატორების გარდა, გუშინვე ქუთაისს 12-კაციანი დელეგაცია თურქეთიდანაც ეწვია. აღნიშნული ვიზიტები საქართველოს რეგიონებთან ტურისტული ურთიერთობების გაღრმავებას ისახავს მიზნად.

## ამინდი

| | 26/06 | 27/06 | 28/06 |
|---|---|---|---|
| კიევი | 30 | 32 | 35 |
| რიგა | 29 | 31 | 23 |
| ვილნიუსი | 28 | 33 | 30 |
| მოსკოვი | 27 | 28 | 33 |
| მინსკი | 32 | 35 | 37 |
| პარიზი | 23 | 22 | 25 |
| რომი | 36 | 35 | 39 |
| ლონდონი | 19 | 21 | 23 |
| მადრიდი | 30 | 29 | 31 |
| ბონი | 21 | 25 | 23 |
| ვარშავა | 35 | 36 | 32 |
| ათენა | 30 | 32 | 34 |
| ბერნი | 28 | 31 | 29 |
| ამსტერდამი | 16 | 20 | 21 |
| ოსლო | 21 | 12 | 18 |
| ანკარა | 32 | 30 | 30 |
| ვარნა | 35 | 36 | 37 |
| დელი | 54 | 53 | 47 |
| ტოკიო | 25 | 28 | 32 |
| კოპენჰაგენი | 23 | 20 | 17 |
| ბაქო | 33 | 32 | 32 |
| ერევანი | 37 | 36 | 36 |
| ასტანა | 22 | 22 | 23 |
| ჰელსინკი | 19 | 20 | 18 |
| დუბლინი | 13 | 22 | 16 |
| ლისაბონი | 21 | 21 | 23 |
| პრაღა | 32 | 31 | 32 |
| სოფია | 31 | 31 | 35 |
| ბუდაპეშტი | 41 | 42 | 41 |
| ბუხარესტი | 40 | 41 | 42 |

# რწმუნებულებს ტურიზმში ჩაეთვალათ

*საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ ბათუმში, თავისი რწმუნებულები შემოიკრიბა და კურორტების განვითარების საკითხი დაწვრილებით გამოიკითხა. ქვეყნის მეთაურმა თავის ნდობით აღჭურვილ პირებს აქტიურობისკენ მოუწოდა და უკვე მერამდენედ განაცხადა: საქართველო ტურისტულ ქვეყნად უნდა იქცეს. მისი თქმით, ამისათვის უკვე მზადდება სარეკლამო ვიდეორგოლები, რომლებიც ცნობილ უცხოურ ტელეარხებზე გავა.*

**"ჩვენ უცხოელი ტურისტების მოზიდვასთან ერთად, უნდა ვეცადოთ, საქართველოს მოქალაქეებსაც რიგიანად დასვენების საშუალება მიეცეთ. ამისთვის კი, რეკლამის გარდა, უნდა ვიფიქროთ გზების გაკეთებაზე, ელექტროენერგიით უწყვეტ მომარაგებაზე, უსაფრთხოებაზე და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნაზე,"** - აცხადებდა გუშინ პრეზიდენტი.

პრეზიდენტისა და რწმუნებულების შეხვედრა ტურისტული სეზონისთვის შესრულებული სამუშაოების ანგარიშის მოსმენით დაიწყო. **"შარშან საქართველოში 500-600 ათასმა ადამიანმა დაისვენა. ჩვენი მთავარი ამოცანაა, წელს ეს ციფრი 4-5-ჯერ გაიზარდოს. ეს არის სრულიად რეალისტური,"** - განაცხადა შეხვედრის დაწყებისას სააკაშვილმა.

რწმუნებულებმა პრეზიდენტს საპროგნოზო მაჩვენებლები გააცნეს. მათი ვარაუდით, მიმდინარე სეზონზე ტურისტების ნაკადი მნიშვნელოვნად გაიზრდება.

მაგალითად, თუ რწმუნებულებს ვენდობით, შარშან ბახმაროში 10-11 ათასი დამსვენებელი იყო, თუმცა წელს ამ რიცხვის 15 ათასამდე ზრდას ელოდებიან. პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელო-ზემო-სვანეთში ზაზა გოროზია მესტიაში ტურისტების 100-პროცენტიან ზრდას ელოდება. მისი თქმით, მესტიას შარშან 1200 ტურისტი ესტუმრა. წელს ეს ციფრი 3000-მდე გაიზრდება. როგორც გოროზიამ აღნიშნა, მესტიაში დამსვენებელთა 80 პროცენტი უცხოელებზე მოდის.

ტურისტების 100-პროცენტიან ზრდას ელიან რაჭაშიც. რაჭა-ლეჩხუმში პრეზიდენტის რწმუნებულის ინფორმაციით, შარშან სტიქიური მოვლენების გამო, ტურისტების მიღება შეფერხდა. **"წელს ყველა პრობლემა მოგვარებულია. 4000 ტურისტის მისაღებად შესაბამისი ინფრასტრუქტურა არსებობს,"** - განაცხადა პრეზიდენტის რწმუნებულმა რაჭა-ლეჩხუმში ოთარ სირაძემ.

რაც შეეხება კახეთს, პრეზიდენტის რწმუნებული პეტრე ცისკარიშვილი რეგიონში დამსვენებლების რაოდენობას არ უჩივის და აცხადებს, რომ წელს მათი რაოდენობა საგრძნობლად გაიზრდება. **"გასულ წელს კახეთში 7-8 ათასამდე დამსვენებელი ჩამოვიდა. პრობლემა კახეთში ტურისტების ღამისთევაა,"** - აღნიშნა ცისკარიშვილმა.

ტურისტების რაოდენობის ზრდას ელის პრეზიდენტის რწმუნებული შიდა-ქართლში მიხელ ქარელიც. მისი თქმით, შარშანდელი ციფრი - 11 ათასი წელს მნიშვნელოვნად გაიზრდება.

პრეზიდენტისგან შენიშვნები გუშინ სამცხე-ჯავახეთის რწმუნებულმა გოგა ხაჩიძემ მიიღო. პრეზიდენტი ბორჯომისა და ბაკურიანის ინფრასტრუქტურის განვითარებით უკმაყოფილოა. სააკაშვილმა ხაჩიძეს ამ მიმართულებით გააქტიურება დაავალა და მოუწესრიგებელი სასტუმროებისა და კვების ობიექტების მიმართ კანონის ფარგლებში გაკოტრების მექანიზმის ამოქმედება მოსთხოვა.

მისივე თქმით, ასევე საჭიროა ტურისტების მომსახურებისთვის სპეციალისტების გადამზადების ცენტრების შექმნა, რაზეც საქართველოს მთავრობა მუშაობს და მალე, საქართველოში ტურისტული სკოლები ქობულეთში, ბათუმსა და ბორჯომში გაიხსნება.

გუშინდელ შეხვედრაზე ცნობილი გახდა ასევე, რომ საქართველოში ტურიზმის განვითარების საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში, საქართველოში არსებული მუზეუმების მოდერნიზაცია და ახალი მუზეუმების მშენებლობა განხორციელდება. პრეზიდენტის განცხადებით, აჭარაში წელს სამი ახალი მუზეუმი დაიწყებს ფუნქციონირებას. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი ბათუმის ისტორიის ოქროს ხანის მუზეუმი იქნება. თანამედროვე მუზეუმის სტანდარტად კი პრეზიდენტმა ცოტა ხნის წინ გახსნილი, საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი დაასახელა.

კიდევ ერთი დეტალი: როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ზაზა გოროზიამ განაცხადა, აგვისტოს ბოლოსთვის, მესტიის აეროპორტიდან ფრენა შეჩერდება და დეკემბერში მისი რეკონსტრუქცია დასრულდება. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მოთხოვნით, ტურისტულ საზონზე მესტიის მიმართულებით კვირაში რამდენიმე რეისი აუცილებლად უნდა სრულდებოდეს. სააკაშვილმა სვანეთში არსებულ კრიმინოგენულ ვითარებაზე გაამახვილა ყურადღება. საქმე ის არის, რომ, გოროზიას განცხადებით, ბოლო პერიოდში სვანეთში ტურისტებზე თავდასხმის მორიგი ფაქტი დაფიქსირდა. **"სვანეთში ძალიან კარგი და კანონმორჩილი მოსახლეობა ცხოვრობს. ყაჩაღი, რომელიც უცხოელს ძარცვავს, ძარცვავს სვანეთის მოსახლეობას. აუცილებელია კრიმინოგენული ვითარების გაუმჯობესება. ამაში კი თავად სვანები უნდა დაგვეხმარონ,"** - მოუწოდებდა გუშინ რწმუნებულებს პრეზიდენტი. **24 საათი**

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

დღეს უიმბლდონი იწყება



C3

კილიკია სომხეთში, დინამო - ავსტრიაში



C4

ჩვენ ერთი გუნდი ვართ



C4

## დიდი ოთხეული სერია B-ში

იტალიური საფეხბურთო სკანდალი დასკვნით ფაზაში შედის. კარაბინიერებმა, ბორელის საგამოძიებო ჯგუფმა, და პროკურატურმა უკვე წარადგინეს 107 გვერდიანი დოკუმენტი, რომელიც ფაქტობრივად საბრალდებო დასკვნის ტოლფასია. დოკუმენტი შეიცავს კატეგორიულ მოთხოვნას, რომლის თანახმადაც ოთხი იტალიური გრანდი "იუვენტუსი", "მილანი", "ფიორენტინა" და "ლაციო" სერია B-ში ჩამოქვეითდნენ.

"იუვენტუსის", "ლაციოს" და "ფიორენტინას" ბრალად ედებათ 4 სპორტული სამართლის კოდექსის დარღვევა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანის - თამაშების ჩაწყობა და კორუფცია - ბრალდება ნეაპოლელმა პროკურორმა სტეფანო პალაციმ ჩამოაყალიბა. რაც შეეხება "მილანს", ამ გუნდის აღმასრულებელ დირექტორ ადრიანო გალიანის ერთადერთი ბრალდება წაუყენეს. სპორტული კოდექსის დარღვევა "კიევოსა" და "მილანის" მატჩის დროს. მართალია ბრალდება მხოლოდ ერთია, მაგრამ ესეც ანალოგიურად ისჯება და კლუბს ისევე, როგორც დანარჩენ სამს, ელიტარული დივიზიონიდან გავარდნა ემუქრება.

ცხადია უფრო მძიმე მდგომარეობაშია "იუვენტუსი", რომელსაც შესაძლოა, ბოლო ორი ჩემპიონობაც კი ჩამოართვან. ამავდრულად სასამართლოს, ამ ოთხ კლუბთან ერთად, 26 პიროვნების საქმის განხილვაც მოუწევს, რომლებიც ამა თუ იმ გზით უკავშირდებიან ზემოთ ხსენებულ კლუბებს.

საბრალდებო დასკვნა შეიცავს იმ სატელეფონო საუბრების გაშიფრვასაც, რომელიც პროკურატურის განკარგულებით ისმინებოდა. საბრალდებო დასკვნის პირველი 22 ფურცელი მთლიანად ეძღვნებათ ანტონიო ჯირაუდოს და ლუჩანო მოჯის. სწორედ მათი საუბრების მოსმენის შწემდეგ გახდა შესაძლებელი ამ საქმის გახსნა. უკვე დამტკიცდა, რომ სერია A-ს ოთხი მატჩი იყო ჩაწყობილი - "იუვენტუსი" - "ლაციო", "რეჯინა" - "იუვენტუსი", "ფიორენტინა" - "ბოლონია" და "იუვენტუსი" - "უდინეზე".

"მილანი" მძიმე ვითარებაში ერთი მატჩის გამო აღმოჩნდა, საუბარია "კიევო" - "მილანის" დაპირისპირებაზე.

ამ ვითარებაში ყველაზე მეტად შესაძლოა მილანურმა "ინტერმა" იხეიროს. კლუბის მფლობელი მასიმო მორატი მიიჩნევს, რომ თუ "მილანი" და "იუვენტუსი" სერია A-დან გარიცხეს, "ინტერი" ავტომატურად უნდა გამოცხადდეს ქვეყნის ჩემპიონად.

"თუ "იუვენტუსი" და "მილანი" დამნაშავეები არიან, მიმაჩნია, სწორი იქნება თუ "ინტერს" ჩემპიონად გამოაცხადებენ. ადრე თუ კლუბი, რომელმაც ტიტული მოიპოვა, კანონდარღვევაში იყო მხილებული, ტიტულს იმ გუნდს გადასცემდნენ, რომელმაც მომდევნო ადგილი დაიკავა", - აცხადებს მორატი.

## ჰიდინკი შვარცერს აბრუნებს

ავტსრალიის ნაკრების კარს იტალია - ავსტრალიის მერვედფინალურ მატჩში მარკ შვარცერი დაიცავს. შეგახსენებთ, რომ ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრაში ავსტრალიის ნაკრების კარში ჟელკო კალაჩი იდგა, რომლის შეცდომებს ავსტრალიელები კინაღამ შეეწირნენ. ჰიდინკმა ეს გაითვალისწინა და კარში შვარცერს აბრუნებს.

"საერთოდ არ მჩვევია მატჩამდე შემადგენლობის გამხელა, მაგრამ ახლა შემიძლია დაზუსტებით გითხრათ, რომ იტალიელებთან მატჩში კარში მარკ შვარცერი იდგება", - აცხადებს ჰიდინკი.

## ევრო 2008-ზე ბილეთები გაიაფდება

ევრო 2008-ის ფინალური ეტაპის მატჩებზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა 2007 წლის მარტში დაიწყება. ორგანიზატორები ირწმუნებიან, რომ ბილეთების გაყიდვის ორგანიზება იდეალური იქნება. ამავდროულად "ევრო - 2008 " ორგანიზატორების თქმით, ბილეთები უფრო იაფი იქნება, ვიდრე ამჟამინდელ მსოფლიო ჩემპიონატზე.

## თასს საიმედოდ ინახავენ

ოქროს თასი, რომელსაც 9 ივლისს მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებული მიიღებს, ბერლინში გასაიდუმლოებულ ადგილას ინახება.

"დოიჩე ველეს" ინფორმაციით, 9 ივლიის მიუნხენის "ბაიერნის" უშიშროების სამსახურის ოთხი თანამშრომელი თასს ფიფას წარმომადგენლებს გადასცემს.

## კორეული ტრაგედია

კორეის ნაკრების მარცხს შვეიცარიის გუნდთან ერთი ტრაგიკული შემთხვევა მოჰყვა. კორეის ნაკრების ფანმა ვერ გადაიტანა საყვარელი გუნდის მარცხი და ინფარქტით გარდაიცვალა.

25 წლის სტუდენტმა გრძნობა დაკარგა მატჩის ყურებისას. გულშემატკივარი შეხვედრას სეულის ერთ ერთ მოედანზე ადევნებდა თვალყურს, სადაც მასთან ერთად დაახლოებით 100 000 ფანი იყო შეკრებილი. გულწასული ფანი მაშინვე გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც იგი გარდაიცვალა. პოლიციელთა განცხადებით, ძალადობის ფაქტს ადგილი არ ჰქონია, გარდაცვლილი სტუდენტის მამის თქმით კი, მის შვილს გაზრდილი არტერიული წნევთა ჰქონდა.

## პოლი გაამხნევეს

ფიფას სამსაჯო კომიტეტმა გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომელშიც მხარი დაუჭირა ცნობილ ბრიტანელ არბიტრ გრემ პოლს.

ამ მუნდიალზე სამსაჯო შეცდომები მრავლადაა, თუცმა რაც ავტრალია - ხორვატიის მატჩში მოხდა, ალბათ ფეხბურთი ისტორიაში უნიკალური მოვლენაა. გრემ პოლმა ხორვატ ფეხბურთელ იოსიპ შიმუნიჩს სამჯერ აჩვენა ყვითელი ბარათი. ასეთი შეცდომა შესაძლოა გადათამაშების მიზეზიც კი გამხდარიყო.

"26 წლიანი კარიერის განმავლობაში პოლს ამდაგვარი შეცდომა არ ჰქონია. ასეთი რამ შესაძლოა ნებისმიერს შეემთხვეს, მოდით მკაცრად ნუ განვსჯით პოლს. რა თქმა უნდა იგი შეცდა, მაგრამ ფიფაში საჩივარიც კი არ შემოსულა, ამიტომ არ ღირს ამ ამბის გაზვიადება", - ნათქვამია ფიფას განცხადებაში.

# ინგლისმა ბეწვის ხიდზე გაიარა



*ბექჰემმა ინგლისი მეოთხედფინალში გაიყვანა*

ჯგუფური ეტაპის თამაშებისას ხშირად ამბობდნენ, რომ ფავორიტები ძალებს ზოგავდნენ, მაგალითად ბრაზილიის ნაკრებმა აშკარად ნახევარი ძალით ითამაშა თითქმის სამივე მატჩი, იგივე შთაბეჭდილებას ტოვენბდა ინგლისის ნაკრებიც, მაგრამ ერთია ჯგუფური ეტაპი და მეორე მერვედფინალები, აქ ძალების დაზოგვაზე ლაპარაკი ზედმეტია. გუშინ ინგლისის ნაკრებს ეკვადორთან შეხვედრაში ძალები არ დაუზოგავს, ინგლისელებმა ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ. უბრალოდ, როგორც ჩანს, ერიქსონის გუნდს ამის მეტი აღარ შეუძლია. ასეთი თამაშით კი ჩემპიონობაზე პრეტენზიის გაცხადება ცოტა არ იყოს ზედმეტია.

ერიქსონის შეგირდებმა საკმაოდ უნიათოდ ითამაშეს. შესაძლოა ამაში ბრალი თავად შვედ სპეციალისტსაც მიუძღვის, რომელმაც ეკვადორის წინააღმდეგ დაპირისპირებაში მინდორზე მხოლოდ ერთი გამოკვეთილი ფორვარდი უეინ რუნი გამოუშვა, რომელსაც ჯერაც ტრავმა არა აქვს ბოლომდე მოშუშებული. ამ ვითარებაში ალბათ არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ინგლისელებს მთელი 90 წუთის განმავლობაში ეკვადორელთა კართან ერთი საგოლე მომენტიც კი არ შეუქმნიათ.

ერთადერთი გოლი დევიდ ბექჰემის ოსტატობის წყალობთი გავიდა. კაპიტანმა გასაკეთებელი გააკეთა და როცა შანსი მიეცა, თავისი მთავარი კოზირი გამოიყენა. დევიდმა უზადოდ შეასრულა სტანდარტი და ტრიბუნაზე მყოფ მეუღლესთან ერთად მთელი ინგლისი გაახარა. სწორედ ბექჰემის გოლის წყალობით გავიდა ინგლისის ნაკრები მეოთხედფინალში. ერთი კია, თუ ერიქსონის შეგირდებმა მეოთხედფინალშიც ასევე ითამაშეს, მათთვის მეოთხედფინალური შეხვედრა ამ ჩემპიონატზე ბოლო იქნება, რაც ინგლისს ეკვადორმა აპატია, ამას ბრიტანელბს არც ჰოლანდია და არც პორტუგალია არ აპატიებს.

მერვედფინალში ინგლისის ნაკრებმა, ფაქტობრივად, ბეწვის ხიდზე გაიარა, ამჯერად ბექჰემსა და კომპანიას უბრალოდ გაუმართლა, როდემდე გატანს, ასეთი გამართლება, რთული სათქმელია.

### ინგლისი - ეკვადორი 1:0

**გოლი:** ბექჰემი (60)
**გაფრთხილება:** ტერი, რობინსონი, კარაგერი - ვალენსია, კარლოს ტენორიო, დენ ლა კრუზი
**ინგლისი:** რობინსონი, ჰარგრივზი, ფერდინანდი, ტერი, ეშლი კოული, ბექჰემი (ლენონი 87), ლამპარდი, კარიკი, ჯერარდი (დაუნინგი 90), ჯო კოული (კარაგერი 77), რუნი
**მწვრთნელი:** სვენ გორან ერიქსონი
**ეკვადორი:** მორა, დე ლა კრუზი, ჰურტადო, ესპინოზა, რეასკო, ვალენსია, კასტილიო, ედვინ ტენორიო (ლარა 69), მენდეში, კარლოს ტენორიო (კავიედესი 72), დელგადო
**მწვრთნელი:** ლუის სუარესი
**მსაჯი:** ფრანკ დე ბლეკერი (ბელგია)
**4 კარში დარტყმა 3**
**8 კარისკენ დარტყმა 9**
**13 ჯარიმა 24**
**5 კუთხური 7**
**3 თამაშგარე 6**
**49% ბურთის ფლობა 51%**
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ჯონ ტერი

## იაპონიაში ზიკოს შემცვლელს ეძებენ

ბრაზილიური ფეხბურთის ლეგენდა ზიკომ დატოვა იაპონიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი. იაპონიის ფეხბურთის ფედერაციამ უკვე დაიწყო ზიკოს შემცვლელის ძებნა, კერძოდ დაიწყო მოლაპარაკება ივიცა ოსმითან, რომელმაც 1990 წელს იუგოსლავიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა.

## რეალი რობენით დაინტერესდა

სააგენტო ბიბისის ინფორმაციით მადრიდის "რეალს" არიენ რობენის შეძენა სურს. ბრიტანული მედიის ინფორმაციით, სამეფო კლუბი "არისტოკრატებს" ჰოლანდიელ ფეხბურთელში 20 მილიონ ევროს უხდის, თუმცა საეჭვოა, რომ "ჩელსი" ამ თანხად რობენს შეელიოს.

## კანმა კლინსმანს ისევ შეუტია

გერმანია - შვედეთის შეხვედრაში ტელეოპერატორები ხშირად აჩვენებდნენ გერმანიის ნაკრების სათადარიგოთა სკამზე მოწყენილად მჯდომ ოლივერ კანს. გერმანელ მეკარეს თანაგუნდელების გოლებითაც კი არ გაუხარია. ცხადია ამის შემდეგ ჟურნალისტები დაინტერესდნენ თუ რა ხდება. ოლივერ კანი კი კვლავაც ვერ პატიობს კლინსმანს. შეგახსენებთ, რომ იურგენ კლინსმანმა პირველობა იენს ლემანს მიანიჭა, რაც კანისთვის მიუღებელია.

"კლინსმანს ჩემთვის არც კი აუხსნია, თუ რატომ დამტოვა სათადარიგოთა სკამზე. ჩემთვის ყოველი თამაში უაღრესად მძიმე გადასატანია. ვზივარ სათადარიგოთა სკამზე და არ მესმის რატომ ხდება ასე, ოთხი წლის განმავლობაში პირველი ნომერი ვიყავი, შემდეგ, აღმოჩნდა ლემანი თქვა - მე ვარ საუკეთესოო და კლინსმანმაც დაიჯერა. სეზონი მშვენივრად ჩავატარე, არ მესმის რატომ დამიწუნეს. წყენა იმდენად დიდია, რომ ნაკრების გამარჯვებით მიღებულ სიხარულსაც კი ვერ გამოვხატავ, - ამბობს კანი.

## ინგლისური აურზაური

კარგა ხნის განმავლობაში მსოფლიოს ჩემპიონატი ყოველგვარი სკანდალების გარეშე მიმდინარეობდა. ჯგუფური ეტაპი ისე გაილია, რომ გულშემატკივართა შორის სერიოზული დაპირისპირება არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით პოლონეთ - გერმანიის მატჩის შემდეგ მომხდარ ინციდენტს. ეტყობა ფანები, ისევე როგორც გუნდები, ძალებს მერვედფინალებისთვის ინახავდნენ. ბოლო ორი დღის განმავლობაში გერმანულ პოლიციას სამუშაო ბლომად ჰქონდა. ინგლისელმა ფანებმა აიშვეს. გერმანია - შვედეთის მატჩის შემდეგ ინგლისელები, რატომღაც, გერმანელ გულშემატკივრებს ეჩხუბნენ, ინგლისი - ეკვადორის მატჩამდე კი ნამდვილი აურზაური მოაწყეს. გერმანელ სამართალდამცავებს მოჩხუბრების დაშოშმინება დასჭირდა და საბოლოო ჯამში 500 ინგლისელი ფანი დააკავეს.

## ბეტისი სავიოლას შეძენას ლამობს

ესპანურ "ბეტისს" სურს არგენტინის ნაკრების ფორვარდის ხავიერ სავიოლას შეძენა. მოგეხსენებათ, ეს ფეხბურთელი "ბარსელონას" ეკუთვნის. ბოლო ორი სეზონია სავიოლას ხან "მონაკოში" უშვებენ იჯარით, ხან კიდევ "სევილიაში", ამჟამად ფეხბურთელის მომავალი კლუბის ვინაობა უცნობია.

"ბეიტისის" პრეზიდენტმა მანუელ ლუის დე ლოპერამ თავის ბარსელონელ კოლეგა ჟოან ლაპორტას გაცვლა შესთავაზა. "ბეტისიდან" "ბარსელონაში" ბრაზილიელი ფორვარდი ოლივეირა გადავა სანაცვლოდ კი სევილიური კლუბი სავიოლას მიიღებს. აღსანიშნავია, რომ "ბარსელონას" ოლივეირაც არ სჭირდება. ამიტომ ლოპერა ამ ფეხბურთელის გაყიდვასაც ცდილობს, რათა აღებული თანხით "ბარსელონადან" სავიოლა გამოისყიდოს.

## მეტოქეს სერიოზულად ვუყურებთ

იტალია - ავსტრალიის მერვედფინალურ შეხვედრაში სკუადრა აძურა აშკარა ფავორიტად გამოიყურება. სპეციალისტთა აზრით იტალიის ნაკრები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაისჯება, თუ მეტოქე ჯეროვნად არ შეაფასა.

იტალიელთა ლიდერ ფრანჩესკო ტოტის კი მიაჩნია, რომ ასეთი რამ საერთოდ გამორიცხულია.

"დაიწყო ფლეიოფების სტადია. ნებისმიერი გუნდი, რომელიც ამ ეტაპზე თამაშობს, პატივისცემას იმსახურებს. აბსურდულად მიმაჩნია მოსაზრება, რომ ჩვენ მეტოქეს ჯეროვნად ვერ შევაფასებთ, ეს უბრალოდ შეუძლებელია. მართალია ავსტრალიის ნაკრებს მდიდარი საფეხბურთო ტრადიციები არ აქვს, მაგრამ ეს გუნდი მერვედფინალშია, რაც თავისთავად მიუთითებს მის სიძლიერეზე", - აცხადებს ტოტი.

## არაგონესი იმედიანადაა

მერვედფინალებში საფრანგეთ - ესპანეთის დაპირისპირება ერთ-ერთი ყველაზე დამაინტრიგებელია. ესპანელთა მწვრთნელ ლცუის არაგონეს მიაჩნია, რომ მის გუნდს არ უნდა გაუჭირდეს ფრანგული ბარიერის გადალახვა.

"ჩემს გუნდში დარწმუნებული ვარ. ჯერ ერთი, სხვაგვარად ვერ იქნება და მეორეც, მართლა მჯერა, რომ მეოთხედფინალში გავალთ. თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატება გვსურს, ძლიერი გუნდები უნდა დავამარცხოთ. საფრანგეთის ნაკრები კი სწორედ ასეთია", - აცხადებს არაგონესი.

## მთავარი შედეგია

ბრაზილიის ნაკრების მცველმა რობერტო კარლოსმა განაცხადა, რომ მისი გუნდისთვის მთავარია შედეგი და მხოლოდ ამის შემდეგ ლამაზი ფეხბურთი.

"მე მიყვარს კარგი ფეხბურთი, ვინაიდან ბრაზილიელი ვარ, მაგრამ ყოველთვის ლამაზი ფეხბურთის ჩვენება შეუძლებელია. ამიტომაც მთავარია შედეგი", - ამბობს რობერტო კარლოსი.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილის ნაკრები მერვედფინალში განის გუნდს უპირისპირდება. ჯგუფურ ეტაპზე კი ბრაზილიელებს განსაკუთრებით ლამაზი ფეხბურთი ნამდვილად არ უჩვენებიათ აშკარად ჩანდა, რომ ეს გუნდი პირველ რიგში შედეგზეა ორიენტირებული.

# გერმანული მანქანა ამუშავდა



გერმანელთა პოლონური შეტევა - კლოზე და პოდოლსკი

**გერმანია - შვედეთი 2:0**
**გოლები:** 1:0 პოდოლსკი (4), 2:0 პოდოლსკი (12)
**გაფრთხილება:** ფრინგსი - ლუკიჩი, იონსონი, ოლბაკი
**გაძევება:** ლუკიჩი (35)
**გერმანია:** ლემანი, ფრიდრიხი, მეტცელდერი, მერტეზაკერი, ლამი, შნეიდერი, ფრინგსი (კელი 85), ბალაკი, შვაინშტაიგერი (ბოროვსკი 72), კლოზე, პოდოლსკი (ნოივილი 74)
**მწვრთნელი:** იურგენ კლინსმანი
**შვედეთი:** ისაკსონი, ალექსანდერსონი, ლუკიჩი, მელბერგი, ედმანი, იონსონი (ვილჰელმსონი 52), ლინდეროტი, კალსტრიომი (ჰანსონი 39), ლიუნგბერგი, იბრაჰიმოვიჩი (ოლბაკი 72), ლარსონი
**მწვრთნელი:** ლარს ლაგერბაკი
**მსაჯი:** კარლოს სიმონი (ბრაზილია)
**11 კარში დარტყმა 2**
**26 კარისკენ დარტყმა 5**
**16 ჯარიმა 20**
**4 კუთხური 4**
**3 თამაშგარე 2**
**63% ბურთის ფლობა 37%**
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** მიროსლავ კლოზე

გერმანული მანქანა ამუშავდა, მუნდიალის პირველივე მერვედფინალურმა მატჩმა დაგვანახა, თუ რაოდენ დიდ ძალას წარმოადგენს იურგენ კლინსმანის გუნდი. თურმე რაოდენ მართლები არიან გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურები, როდესაც ეხვეწებიან კლინსმანს, მუნდიალის შედეგების მიუხედავად ნაკრებში დარჩი და გუნდის ვარჯიში გააგრძელეო.

არადა, ჯერ კიდევ ერთი წლის წინ კონფედერაციათა თასის გათამაშებაზე, ვისაც კი არ ეზარებოდა, ყველა კლინსმანს აკრიტიკებდა. ესაოდა ამერიკაში რატომ ცხოვრობს და 24 საათს ნაკრებთან ერთად არ ატარებსო. იურგენ კლინსმანმა ჯერ კიდევ მაშინ თქვა, მე გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ვამზადებ და ფორმის პიკში ბუნდესნაკრები მუნდიალის დაწყებისთვის იქნებაო.

კლინსმანმა დანაპირები შეასრულა. გერმანიის ნაკრები მართლაც მშვენიერ ფეხბურთს აჩვენებს, რაც მთავარია ფეხბურთელობაში ფორვარდმა კლინსმანმა ნაკრებისთვისაც შემტევი ფეხბურთი არჩია და გერმანიის ნაკრები ამ ეტაპზე მართლაც საჩემპიონო ფეხბურთს აჩვენებს. რა თქმა უნდა, ძნელია იმის ვარაუდი, თუ რა იქნება შემდეგ და შეძლებს თუ არა ბუნდესნაკრები მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას, მაგრამ ერთი რამ უკვე ფაქტია. იურგენ კლინსმანმა უდიდესი სამუშაო გასწია და გერმანიის ნაკრები უაღრესად სოლიდურ გუნდად აქცია. არადა ბოლო წლების განმავლობაში გერმანელებს პოზიციები აშკარად ჰქონდათ დათმობილი. გავიხსენოთ თუნდაც აბსოლუტურად უსახური ნაკრები, რომელმაც ევრო - 2004-ზე ითამაშა. კლინსმანის მთავარი დამსახურება კი ისაა, რომ მას შემადგენლობა თითქმის არ შეუცვლია და იგივე ფეხბურთელებს, რომლებმაც პორტუგალიის ევროპის ჩემპიონატი ჩააგდეს, ახლა ზღაპრულ ფეხბურთს ათამაშებს.

ახლა გერმანიის ნაკრები უკვე მეოთხედფინალისთვის ემზადება, კლინსმანის გუნდს უდიდესი გამოცდა ექნება ჩასაბარებელი, მართალია არგენტინელებმა მექსიკასთან შეხვედრაში მთლად დამაჯერებლად ვერ ითამაშეს, მაგრამ მეოთხედფინალში გერმანელებს იოლი გასეირნება არ ექნებათ.

# მაქსიმ მექსიკა აატირა



გოლი-შედევერი მექსიკელთა კარში

**არგენტინა - მექსიკა 2:1 (1:1 ძ.დ.)**
**გოლები:** 0:1 მარკესი (6), 1:1 კრესპო (10), 2:1 მაქსი (98)
**გაფრთხილება:** ჰაინცე - სორინი - მარკსი, კასტრო, ტორადო, ფონსეკა
**არგენტინა:** აბონდანსიერი, სკალონი, აიალა, ჰაინცე, სორინი, კამბიასო (აიმარი 76), მასკერანო, მაქსი, რიკელმე, კრესპო (ტევესი 75), სავიოლა (მესი 84)
**მწვრთნელი:** ხოსე პეკერმანი
**მექსიკა:** ოსვალდო სანჩესი, მენდეში, მარკესი, კასტრო, ოსორიო, სალსიდო, გუარდადო (პინედა 66), მორალესი (ზინია 74), პარდო (ტორადო 38), ბორხეტი, ფონსეკა
**მწვრთნელი:** რიკარდო ლავოლპე
**მსაჯი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
**5 კარში დარტყმა 3**
**11 კარისკენ დარტყმა 12**
**23 ჯარიმა 28**
**6 კუთხური 5**
**8 თამაშგარე 2**
**51% ბურთის ფლობა 49%**
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** მაქსი

ვინ არის თანამედროვე ფეხბურთში მთავარი - მწვრთნელი თუ ფეხბურთელი? ამ საკითხზე უკვე დიდი ხანია კამათობენ, თუმცა ერთმნიშვნელოვანი პასუხის მიღება ალბათ შეუძლებელია.

თუ კონკრეტულ შემთხვევას განვიხილავთ, მაგალითად არგენტინა - მექსიკის მატჩს, პასუხი ერთმნიშვნელოვანია - რა თქმა უნდა, ფეხბურთელი.

საინტერესო რამ მოხდა, რიკარდო ლავოლპემ წმინდა სამწვრთნელო დუელი პირწმინდად მოუგო პეკერმანს, მატჩი კი მაინც წააგო. რატომ? იმიტომ, რომ ლავოლპეს გუნდში არ ჰყავს არც კრესპო, არც ტევესი, არც მატჩსი, არც რიკელმე, არც მესი და არც აიმარი, თითოეულ ამ ფეხბურთელს კი თავად შეუძლია მატჩის ბედის გადაწყვეტა და არ აქვს ამ დროს მნიშვნელობა, თუ რა ტაქტიკური ჩანაფიქრი ჰქონდა მწვრთნელს, რა ტაქტიკაზეა საუბარი, როცა ფეხბურთელს გააქვს გოლი, როგორიც მაქსიმ გაიტანა, ეს იყო მცირე საფეხბურთო შედევრი და ლავოლპე უკვე გუნდს ველარაფრით უშველიდა.

რაც შეეხება სამწვრთნელო დუელს. მატჩის დასაწყისშივე გამოჩნდა, რომ მექსიკელმა თავის კოლეგას სიურპრიზი მოუმზადა. თუ ყველას ეგონა, რომ ლავოლპეს გუნდი ყრუ დაცვით სტილს აირჩევდა და მეტოქეს მხოლოდ სწრაფი კონტრშეტევებით შეაწუხებდა, თავად შეხვედრამ საწინააღმდეგო დაგვანახა, მექსიკელებმა მთელს მინდორზე პრესინგს მიმართეს და თავად შეუტიეს არგენტინელებს. როგორც ჩანს, პეკერმარისთვის ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მან ბოლომდე ვერ მოახერხა თავისი გუნდის თამაშის დალაგება და რომ არა მაქსის ინდივიდუალური ოსტატობა, ვინ იცის ვინ ითამაშებდა მეოთხედფინალში.

თანაც მექსიკელები იდეალურად იყენებდნენ არგენტინის ნაკრების სუსტ მხარეებს. კერძოდ, შეტევები ხშირად მარცხენა ფლანგიდან ვითარდებოდა, სადაც დაცვაში სკალონი თამაშობს. აშკარაა, რომ დღევანდელ არგენტინის ნაკრებში მარჯვენა მცველის პოზიცია ყველაზე პრობლემატურია და აქ კიდევ ერთხელ ჩნდება კითხვა, რატომ არ წაიყვანა მსოფლიოს ჩემპიონატზე პეკერმანმა ხავიერ ძანეტი?

და კიდევ ერთი, რაც ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია, მექსიკელებმა არგენტინის ნაკრებს სივრცე მთლიანად შეუზღუდეს და ბურთის გათამაშების საშუალება არ მისცეს. შეგვიძლია მარტივი სტატისტიკა მოვიშველიოთ: ბურთის ფლობის მხრივ მატჩის ბოლოს თითქმის აბსოლუტური თანაფარდობა იყო.

ბოლოს კი მსაჯობაზეც ვიტყვით. შვეიცარელი ბუსაკას მსაჯობა შესაძლოა განსჯის საგანიც გახდეს. მან ასპროცენტიანი გოლი არ ჩათვალა მექსიკელთა კარში, ხოლორ მანამდე პირველი ტაიმის მიწურულს დაინდო ჰაინცე, რომელიც აშკარად გასაძევებელი იყო.

# სწრაფად, ძვირად, უფრო კორუმპირებულად

ჯერ კიდევ ძალიან ადრეა "პეკინის ოლიმპიურ სკანდალზე" საუბარი, მაგრამ ამის წინაპირობა უკვე არსებობს.

ჯერჯერობით მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ჩინეთის დედაქალაქის მერის მოადგილე, რომელიც პასუხს აგებდა ოლიმპიურ მშენებლობებზე, თანამდებობიდან დაითხოვეს კორუმპირებულობის გამო.

პეკინში საუბრობენ, რომ მისი დათხოვნა 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მომზადებასთანაა დაკავშირებული. ალბათ უკვე დროა, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა პეკინში სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი გაგზავნოს და ჩინელებისგან გამოძიების სრული გამჭვირვალობა მოითხოვოს. სხვაგვარად შესაძლოა შეილახოს არა მხოლოდ პეკინის 2008 წლის ოლიმპიური თამაშების იმიჯი, არამედ მთლიანად ოლიმპიური მოძრაობის იმიჯიც.ვიცე მერი, რომელიც ახლა დაპატიმრებულია, პასუხს აგებდა მილიარდების გადანაწილებაზე სპორტული ნაგებობების მშვენებლობებზე. ახლა კი დააკავეს ჩინეთის სახელმწიფო სამშენებლო კონცერნის ხელმძღვანელიც. ჩინეთის მთავრობამ ეს საიდუმლოდ ვერ შეინახა, ვინაიდან ამ კომპანიის აქციებით ჰონგკონგის სააქციო ბირჟაზეც ვაჭრობენ.




2008 წლის ოლიმპიადა უკვე სკანდალურია.

ამავდროულად ჩინეთის მთავრობამ ამ სკანდალთან დაკავშირებით ნამდვილი საინფორმაციო ბლოკადა მოაწყო. ხელისუფლებამ ჩინელი ჟურნალისტები მკაცრად გააფრთხილა, რომ ამ ამბავთან დაკავშირებით არაფერი არ უნდა დაიწეროს. საინტერესოა რას მალავს ასეთს ჩინეთის მთავრობა.

საერთაშორისო ილიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებმა მოიწონეს ჩინეთის მთავრობის ნაბიჯი, დროდესაც თანამდებობიდან დაითხოვეს კორუმპირებული ვიცე მერი, მაგრამ ამაზე შეჩერება არასწორი იქნებოდა. ცხადია, რომ კორუფცია მხოლოდ ერთი პიროვნებით არ შემოიფარგლებოდა და საჭიროა გამოძიების გაგრძელებაც. თუმცა როგორც ალვნიშნეთ, ჯერჯერობით ამ საქმის გარშემო ჩინეთის კედელი აღმართა და მედიისთვის ინფორმაცია ხელმისაწვდომი არაა.

# დღეს უიმბლდონი იწყება



ტურნირის უმთავრესი ფავორიტები: როჯერ ფედერერი და ჟუსტინ ენინ-არდენი.



დღეს ლონდონის გარეუბანში სტარტს აიღებს მსოფლიო ჩოგბურთის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტურნირი - უიმბლდონი. მართალია სპორტული სამყაროს ყურადღება მთლიანად გერმანიისკენ არის მიპყრობილი, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები იმართება, მაგრამ არც ჩოგბურთის უგულებელყოფა იქნებოდა სწორი და მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელი უიმბლდონი აშკარად ფეხბურთის ჩრდილში აღმოჩნდება, ტურნირი მაინც ბევრ საინტერესოს გვპირდება.

როგორც ვაჟთა, ასევ ქალთა ტურნირში თითქმის ყველა საუკეთესო ჩოგბურთელი მიიღებს მონაწილეობას. ფავორიტებიც თავიდანვე ცნობილია, თუმცა ყველამ კარგად იცის, რომ უიმბლდონის ტურნირი სენსაციებით მდიდარია და ალბათ, არც წლევანდელი იქნება გამონაკლისი.

დავიწყოთ ვაჟთა ტურნირით. მთავარი ფავორტი ცხადია როჯერ ფედერერია. მისი კონკურენტები კი, პირველ რიგში, ლეიტონ ჰიუიტი, ტიმ ჰენმანი, ენდი როდიკი და რაფაელ ნადალი იქნებიან.

ესპანელს უიმბლდონის მოგების არც ისე დიდი შანსი აქვს. მართალია ნადალი, თანამემამულე ჩოგბურთელებისგან განსხვავებით, მხოლოდ თიხის კორტებზე არ არის ძლიერი, მაგრამ ბალახის კორტი მაინც არ არის მისი სტიქია და წესით რაფაელს ძალიან გაუჭირდება. სამაგიეროდ, ფედერერთან ერთად, გამარჯვების დიდი შანსი ექნება ლეიტონ ჰიუიტს. ავსტრალიელი ხომ სწორედ ბალახის კორტის სპეციალისტია.

სპეციალისტები ყურადღებას რუს მარატ საფინზეც ამახვილებენ, თუმცა ამჟამად მსოფლიოს 87-ე ჩოგანს მოგების დიდი შანსი ნამდვილად არ ექნება. საფინისთვის ურიგო არ იქნებოდა მეოთხედფინალამდე მისვლა.

აღსანიშნავია, რომ საფინს პირველივე წრეში სერიოზული გამოცდა ელის. რუსის მეტოქე გრეგ რუსედსკი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ პოზიციები უკვე ორივე ჩოგბურთელმა დათმო, ალბათ, ეს მატჩი პირველი წრის მათავარი დაპირისპირება იქნება.

ტურნირის პირველ ეტაპზე კიდევ ერთი საინტერესო ორთაბრძოლის მომსწრენი უნდა გავხდეთ, თუ ნადალმა პირველი ორი წრე წარმატებით გადალახა და ანაგლოგიურად ითამაშა ჩოგბურთის ვეტერანმა აგასიმ მესამე წრეში, ეს ორი ვარსკვლავი ერთმანეთს დაუპირისპირდება. აღსანიშნავია, რომ ანდრე აგასის განცხადებით, იგი პროფესიულ კარიერას ასრულებს და მისი ბოლო დიდი ტურნირი აშშ-ს ღია პირველობა იქნება. ასე, რომ ანდრე აგასი ამ სეზონში ბოლოჯერ ითამაშებს უიმბლდონის ტურნირს.

ახლა, რაც შეეხება ქალთა ტურნირს. ფავორიტები აქაც ნაცნობი სახელებია. ბელგიური დუეტი ჟუსტინ ენინ-არდენი და კიმ კლიისტერსი, ფრანგი ამელი მორესმო, რუსი მარია შარაპოვა და ვენუს უილიამსი. საინტერესოა, რომ მეექვსე ნომრად განთესილ ვენუს უილიამსს, თუ ყველაფერი ლოგიკურად წავიდა, უკვე მეოთხედფინალში მოუწევს მსოფლიოს პირველ ჩოგან ამელი მორესმოსთან დაპირისპირება.

საკმაოდ იოლი ბადე აქვს მარია შარაპოვას, პირველი სერიოზული მეტოქე, წესით, მას მეოთხედფინალში უნდა შეხვდეს და ისიც თანამემამულე ელენა დემენტიევა, რომელიც ბალახის კორტზე თამაშით განთქმული ნამდვილად არ არის. შარაპოვამ ტურნირის დაწყებამდე განაცხადა, რომ ტიტულის მეორედ მოგება სურს და ყველაფერს გააკეთებს ამისთვის. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მარია ოპტიმალურ ფორმაში ვერ ხვდება წლევანდელ უიმბლდონს. ამის მთავარი მიზეზი კი მუდმივი ტრავმებია.

მოკლედ, დღეს დიდ ფეხბურთს პოპულარობაში დიდი ჩოგბურთიც შეეცილება. ალბათ, უიმბლდონი მუნდიალს ბევრ გულშემატკივარს ვერ წაართმევს, მაგრამ სპორტის მოყვარულთა ნაწილის ყურადღება მაინც გადაინაცვლებს გერმანიიდან ინგლისისკენ.

წლევანდელ უიმბლდონზე ქართული წარმომადგენლობაც იქნება. ირაკლი ლაბაძემ საკვალიფიკაციო ბარიერი გადალახა და პირველ წრეში ავსტრიელ პეიას დაუპირისპირდება.







## ბალაკმა ვარჯიში გამოტოვა

გუშინ მიხაელ ბალაკმა თავისი გუნდის მორიგი ვარჯიში გამოტოვა. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ გერმანელთა ლიდერი ტრავმირებული იყო, რის გამოც მუნდიალის გახსნით მატჩშიც კი არ უთამაშია. შვედებთან შეხვედრაში მიხაელს ტრავმა გაუმიზეზდა და ბუნდესნაკრების მენეჯერის თქმით, კლინსმანმა ფეხბურთელს დასვენების საშუალება მისცა. ტრავმა სერიოზული არაა და ბალაკი მეოთხედფინალისთვის, რომელშიც გერმანიის ნაკრები არგენტინელებს დაუპირისპირდება, სრულ მზადყოფნაში იქნება.

## ლა ვოლპეს წასვლა არ უნდა

მექსიკის ეროვნული ნაკრების თავკაცმა რიკარდო ლა ვოლპემ მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალში არგენტინასთან მარცხის შემდეგ განაცხადა, რომ სიამოვნებით განაგრძობს ნაკრებთან ერთად მუშაობას, მიუხედავად იმისა, რომ მექსიკელები მეოთხედფინალში ვერ გაიყვანა.

“მინდა, რაც შეიძლება დიდხანს დავრჩე ნაკრებთან ერთად. ვფიქრობ, ყველა დარწმუნდა, რომ ჩვენ შეგვიძლია კარგი ფეხბურთის თამაში, - განაცხადა არგენტინელმა სპეციალისტმა თანამემამულეებთან მატჩის, შემდგომ და დაამატა, - მაგრამ ჯერ დანამდვილებით არ ვიცი, დავრჩები თუ არა. მექსიკელებთან კონტრაქტი მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მიმთავრდება და საბოლოო გადაწყვეტილებას ფედერაციის პრეზიდენტი მიიღებს”.

“არგენტინელებთან შეხვედრა ისე წარიმართა, როგორც ველოდი, მაგრამ ჩვენი ბედი ერთმა ინდივიდუალურმა გოლმა გადაწყვიტა”, - აღნიშნა მექსიკელთა დამრიგებელმა.

## სენდეროსი ვერ ითამაშებს

პრესაში გავრცელებული ცნობით, სავარაუდოდ, შვეიცარიის ნაკრების ცენტრალური მცველი ფილიპ სენდეროსი გუნდს უკრაინასთან მერვედფინალურ მატჩში ვერ დაეხმარება.

ფეხბურთელმა ჯერაც ვერ მოიშუშა ჯგუფურ ეტაპში კორეასთან მიღებული მხარის ტრავმა.

“სამწუხაროდ, სენდეროსს მხარი აქვს ამოგდებული. მართალია, ექიმები ძალ-ღონეს არ იშურებენ, მაგრამ უკრაინელებთან მაინც ვერ ითამაშებს. შესაძლოა, მას ოპერაციაც კი დასჭირდეს”, - განაცხადა შვეიცარიელთა თავკაცმა იაკობ კუნმა.

შვეიცარიის ნაკრები უკრაინელებს დღეს დაუპირისპირდება.

## ნესტას მატერაცი შეცვლის

იტალიური “გაძეტა დელო სპორტის” ინფორმაციით, “სკუადრა აძურას” ცენტრალური მცველი ალესანდრო ნესტა კუნთის ტრავმის გამო ავსტრალიელებთან მერვედფინალურ შეხვედრაში ვერ ითამაშებს.

იტალიელმა ფეხბურთელმა ტრავმა ჩეხებთან მატჩში მიიღო. აპენინელთა თავკაცის მარჩელო ლიპის თქმით, ტრავმირებულ ალესანდრო ნესტას მარკო მატერაცი შეცვლის.

## ამერიკული ეპოქის დასასრული

განას ნაკრებთან მარცხს, რის გამოც ამერიკელები მსოფლიო ჩემპიონატს ნაადრევად გამოეთიშნენ, ამერიკული ფეხბურთის ეპოქის დასასრული მოჰყვა.

მუნდიალის დასრულებისთანავე, ნაკრებს ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელი დატოვებს. უკვე გადაწყვეტილია, რომ სანაკრებო კარიერას ამერიკელთა ლიდერი კლაუდიო რეინა გამოეთხოვება, ედი პოუპსა და პაბლო მასტროენს კი ჯერ არ მიუღიათ საბოლოო გადაწყვეტილება. რაც შეეხება მთავარ მწვრთნელს ბრიუს არენას, ამერიკელმა სპეციალისტმა, რომელიც გუნდს რვა წელია უდგას სათავეში, თანამდებობის დატოვება გადაწყვიტა.

“როდესაც დეკემბერში ჩვენი მომავალი მეტოქეების ვინაობა შევიტყვეთ, მივხვდით, რომ წინ მძიმე ბრძოლები გველოდა. სამწუხაროა, რომ გუნდიდან გამარჯვებული ვერ მივდივარ”, - განაცხადა ბრიუს არენამ.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყების წინ ამერიკელთა ნაკრები ფიფას რეიტინგში მეოთხე ადგილს იკავებდა.

## ლარსონი მიდის

მსოფლიოს ჩემპიონატის მერდვეფინალური ეტაპიდან გავარდნის შემდეგ, შვედთა ლიდერი ჰენრიკ ლარსონი ნაკრებიდან წასვლაზე დაფიქრდა.

“უკვე 34 წლის ვარ და ალბათ, დროა სანაკრებო კარიერის დასრულებაზე ვიფიქრო. თუმცა, გადაწყვეტილების მიღება არც ისე იოლია და ამიტომ, ასე ნაჩქარევად ვერაფერს ვიტყვი”, - განაცხადა შვედმა ფეხბურთელმა.

შეგახსენებთ, რომ შვედები ტურნირის მასპინძელ გერმანელებთან 0:2 დამარცხდნენ.

## აბრამოვიჩი ნესტაში 13 მილიონს იხდის

ბრიტანული პრესის ცნობით, ლონდონის “ჩელსის” მფლობელი, რუსი ოლიგარქი რომან აბრამოვიჩი “მილანის” მცველის, ალესანდრო ნესტას შეძენითაა დაინტერესებული და მზად არის იტალიელი ფეხბურთელის სანაცვლოდ 13 მილიონი ევრო გადაიხადოს.

გარდა ამისა, აბრამოვიჩი “სკუადრა აძურას” მცველს 4-მილიონიან კონტრაქტს სთავაზობს. ტრანსფერის განხორციელების შემთხვევაში, შესაძლოა, ნესტაში გადახდილ თანხას, “ჩელსის” ფრანგი მცველი უილიამ გალასიც დაემატოს. ეს უკანასკნელი საჯაროდ აცხადებს, რომ სიამოვნებით განაგრძობს კარიერას იტალიურ კლუბში.

## ლუჩესკუ რაპიდში დარჩა

ბუქარესტის “რაპიდის” თავკაცმა რაზვან ლუჩესკუმ ოფიციალურად განაცხადა უარი მეორე რუმინულ კლუბ “პოლიტექნიკასთან” კონტრაქტის გაფორმებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მხარეებმა სიტყვიერ შეთანხმებას რამდენიმე ხნით ადრე მიაღწიეს.

“რაპიდის” ფეხბურთელებმა დარჩენა მთხოვეს და მეც მათ ნებას დავყევი”, - ასე ახსნა თავისი გადაწყვეტილება ბუქარესტული კლუბის დამრიგებელმა, რომელიც “რაპიდიდან” წასვლას გუნდის მფლობელ ჯორჯე კოპოსთან უთანხმოების გამო გეგმავდა.

## ფიფამ თურქეთს სასჯელი შეუმცირა

ფიფას ოფიციალური საიტის ინფორმაციით, ფიფა-მ კიდევ ერთხელ განიხილა თურქეთის ნაკრებისთვის მიცემული სანქცია, რომელიც თურქებმა 2005 წლის ნოემბერში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში შვეიცარიასთან მატჩში გამოჩენილი უსაქციელობისთვის მიიღო.

ფიფამ პირველადი გადაწყვეტილება - ექვსი ოფიციალური მატჩის ცარიელ ტრიბუნებზე და თურქეთის საზღვრიდან 500 კმ-ის დაცილებით გამართვა, სამ თამაშამდე შეუმცირა.

"თუ მსგავსი ინციდენტები თურქეთის ნაკრების მიერ გამართულ ამ სამ შეხვედრაშიც განმეორდება, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მიმართ დამატებითი საქნციები გატარდება", - ნათქვამია ფიფას პრესრელიზში.

ექვსიდან ოთხ მატჩამდე შეუმცირდათ სასჯელი დისკვალიფიცირებულ ფეხბურთელებსაც - თურქ ემრე ბელოზოღლუსა და შვეიცარიელ ბენჟამინ ჰუგელს.

## კიუელი ნაკრებს ვერ დაეხმარება

"როიტერის" ინფორმაციით, ავსტრალიის ნაკრების ფეხბურთელი ჰარი კიუელი იტალიასთან მერვედფინალურ შეხვედრას გამოტოვებს.

გავრცელებული ცნობით, ავსტრალიელმა ფეხბურთელმა დაჭიმული კუნთის გამო ნაკრებთან ერთად ვერ ივარჯიშა და სავარაუდოდ, იტალიელებთან მისი თამაშიც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

## კაკა 2011 წლამდე

"მილანის" ვიცე-პრეზიდენტის ადრიანო გალიანის განცხადებით, გუნდმა ბრაზილიელ კაკასთან კონტრაქტი გაახანგრძლივა.

მანამდე "პენტაკამპეონეთა" ერთ-ერთი ლიდერით დაინტერესებას მადრიდის "რეალი" გამოთქვამდა. "სამეფო კლუბს" "მილანის" ჰავბექი ზინედინ ზიდანის შემცვლელად ესაჭიროებოდა.

ესპანელთა კაკათი დაინტერესებამ იტალიური კლუბის ხელმძღვანელობა ააფორიაქა, რის გამოც "მილანმა" ბრაზილიელ ფეხბურთელს კონტრაქტი 2011 წლამდე გაუხანგრძლივა.

"გუნდთან ახალ ხელშეკრულებას ხელი მოვაწერე და ალბათ, ამით საბოლოოდ დავუსვი წერტილი ჭორებს ჩემი "რეალში" ან "ჩელსიში" გადასვლის თაობაზე", - განაცხადა კაკამ.

## ზაკორა ტოტენჰემში

ბრიტანული პრესის ცნობით, კოტ`დივუარისა და ფრანგული "სენტ-ეტიენის" ნახევარმცველი დიდიე ზაკორა მომავალი სეზონიდან ლონდონის "ტოტენჰემში" განაგრძობს კარიერას.

ფეხბურთელის თქმით, მის გადაბირებას სხვა ინგლისური კლუბებიც - "ჩელსი", "მანჩესტერ იუნაიტედი" და "არსენალიც" ცდილობდნენ, თუმცა აფრიკელმა არჩევანი "ტოტენჰემზე" გააკეთა.

## ლიონმა და მონაკომ ფეხბურთელები გაცვალეს

საფრანგეთის ნაკრების მცველი სებასტიან სკილაჩი, ჟერემი ტულალანასა და კიმ კელსტრიომის შემდეგ, ფრანგული "ლიონის" მესამე ახალშენაძენი გახდა.

25 წლის მცველმა საფრანგეთის ხუთგზის ჩემპიონებთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

"როდესაც ისეთი გუნდი გთავაზობს თავისთან გადასვლას, როგორიც "ლიონია", რთულია უარის თქმა", - განაცხადა სკილაჩი, რომელიც მანამდე რვა სეზონი იცავდა "მონაკოს" ღირსებას.

თავის მხრივ, "ლიონიდან" "მონაკოში" გადაბარგდება მონსორო, რომელიც ჩემპიონებმა გასულ სეზონში "სოშოდან" დაიმატეს. თუმცა, ფეხბურთელი ჟერარ ულიეს გუნდს ვერ მოერგო და სეზონის განმავლობაში "ლიონის" შემადგელობაში მხოლოდ 13 შეხვედრა გამართა.

## გერმანიიდან ესპანეთში

გერმანული პრესის ცნობით, "შტუტგარტის" მცველმა ანდრეას ჰინკელმა ესპანურ "სევილიასთან" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

კონტრაქტის თანახმად, ფეხბურთელს კიდევ ერთი წელი უნდა ეთამაშა "შტუტგარტში", თუმცა გერმანელებმა ჰენკელი უეფას თასის მფლობელებს 4 მილიონი ევროს სანაცვლოდ მიჰყიდეს.

ბუნდესნაკრების თავკაცმა იურგენ კლინსმანმა წლეულს ანდრეას ჰენკელი ნაკრებს მიღმა დატოვა. ქვეყნის პირველ გუნდში გერმანელ მცველს 17 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

ცნობისათვის: ჰინკელის გარდა, "სევილიამ" მანამდე ბუნდესლიგაში მოთამაშე კიდევ ერთი ფეხბურთელი - "შალკე 04"-ის დანიელი ჰავბექი კრისტიან პოულსენი დაიმატა.

## ბროკი მილანს დაუბრუნდა

იტალიელი ნახევარმცველი კრისტიან ბროკი, რომელმაც უკანასკნელი სეზონი იჯარის წესით ფლორენციის "ფიორენტინაში" გაატარა, "შავ-წითელთა" შემადგენლობაში დაბრუნდა.

"მიხარია, რომ ხელახლა მოვირგებ "მილანის" მაისურს. როდესაც ასეთი დონის გუნდს დატოვებ, დაბრუნება არც ისე ადვილია და ბედნიერი ვარ, რომ ეს მოვახერხე. "ფიორენტინაში" საკმაოდ წარმატებული სეზონი მქონდა და ახლა კარლო ანჩელოტის განკარგულებაში ვარ", - განაცხადა იტალიელმა ფეხბურთელმა.

# კილიკია სომხეთში, დინამო - ავსტრიაში

მიხეილ აბაიშვილი

ვერ გეტყვით, უეფას რომელმა "ჭკვიანმა" მოიფიქრა, მაგრამ ფაქტია - გახურებული მსოფლიო ჩემპიონატის დროს ევროპაში პარალელურად ინტერტოტოს თასის ტურნირი მიმდინარეობს. თუ იმასაც ვიტყვით, რომ ამ ტურნირის პირველი ეტაპის განმეორებითი მატჩი თბილისის "დინამოსა" და ერევნის "კილიკიას" შორის გერმანია-შვედეთის მერვედფინალური შეხვედრის პარალელურად დაიწყო, შესაბამისად, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი ისეთი ცარიელი იყო, საქმის არსის არმცოდნე იფიქრებდა, უეფამ "დინამოს" დისკვალიფიკაცია მისცა და უმაყურებლო სტადიონზე მიუსაჯა თამაშიო. რაც არ უნდა იყოს, მაყურებელთა თანადგომა "დინამოს", პრინციპში, არც დაკლებია, რადგან ჩვენმა გუნდმა პირველივე, გასვლით შეხვედრაში გადაწყვიტა შემდეგ ეტაპზე მოხვედრის საკითხი. ერევანში გამართულ მატჩში "დინამომ" "კილიკიას" კარისგან ქვა ქვაზე არ დატოვა და ხუთი გოლი გაუტანა, საკუთარ კარში მხოლოდ ერთი ბურთი მიიღო და, შეიძლება ითქვას, უკვე მეორე ეტაპზე იყო გადართული.

მიხვდებით ალბათ, რომ სომხებთან განმეორებით შეხვედრას თბილისის "დინამოსთვის" უფრო საწვრთნელი ხასიათი ჰქონდა. "დინამომ" ძალზე ნაყოფიერად ივარჯიშა და თან ლამაზი გოლებიც გაიტანა. მატჩის პერიპეტიების გადმოცემას აზრი არც აქვს. საქართველოს ბრინჯაოს პრიზიორი იმდენად მაღალი კლასის გუნდია "კილიკიაზე", რომ მათ შედარებას აზრიც არ აქვს. გეტყვით მხოლოდ, რომ განსაკუთრებით ლამაზი გოლი გაიტანა შეცვლაზე შემოსულმა სანდრო იაშვილმა, რომელმაც საჯარიმო მოედნის კუთხიდან, "მოჭრილი" დარტყმით, კარის შორეული კუთხის "ცხრიანში" მოათავსა ბურთი. "დინამომ" ამჯერად სამი გოლი აკმარა მეტოქეს, ორი მატჩის ჯამში კი რვაჯერ აიღო "კილიკიას" კარი, მხოლოდ ერთი ბურთი გაუშვა და თამაშის დღესვე, უფრო ზუსტად, მეორე დღის დილის 3 საათზე ავსტრიისკენ აიღო გეზი. ავსტრიაში ჩვენი გუნდი საწვრთნელ შეკრებას ჩაატარებს და ინტერტოტოს თასის მეორე ეტაპის პირველ შეხვედრასაც იქვე ჩაატარებს. წილისყრამ ამ ეტაპზე ჩვენს გუნდს "კილიკიაზე" გაცილებით ძლიერი მეტოქე არგუნა - ავსტრიის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გასული "რიდი". ამ გუნდთან გასვლით შეხვედრას ჩვენები პირველ ივლისს ჩაატარებენ, შემდეგ იქვე დარჩებიან და საწვრთნელ შეკრებას გააგრძელებენ. სამშობლოში ჩვენი გუნდი 7 ივლისს დაბრუნდება, ხოლო "რიდთან" საპასუხო მატჩს თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 9 ივლისს ჩაატარებს.



"დინამომ" სომხები გაანადგურა

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

**"დინამო" (თბილისი) - "კილიკია" (ერევანი) 3:0**
**პირველი მატჩი 5:1**

**დინამო:** ლორია, ამბროზიო (მახარაძე, 8`), კაშია, თომაშვილი, კობახიძე, გრიგალაშვილი, გიგაური, ხუციშვილი (იაშვილი, 71`), მერებაშვილი (ხმალაძე, 47`), ბობოხიძე, დვალი. მთავარი მწვრთნელი კახა კაჭარავა
**გოლები:** 1:0 გრიგალაშვილი 28`, 2:0 გიგაური 41`, 3:0 იაშვილი 87`.

# ჩვენ ერთი გუნდი ვართ

მიხეილ აბაიშვილი

"თქვენ მარტო არ ხართ, ჩვენ არ მიგატოვებთ", - ეს გახლავთ სიტყვები ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ტრადიციული გუნდის, ინგლისის "ლივერპულის" ჰიმნიდან. ამ ჰიმნს მღეროდა "ლივერპულის" გულშემატკივართა არმია 2 წლის წინ გამართული ჩემპიონთა ლიგის ფინალის ტაიმებს შორის შესვენებაზე, თან შეუჩერებლად, თან მთელი თხუთმეტი წუთის განმავლობაში. ამ დროისათვის "ლივერპული" 0:3-ს მარცხდებოდა "მილანთან" და ვერავინ წარმოიდგენდა, რომ იტალიური გრანდი ამ ფინალს ვინმეს დაუთმობდა. მაგრამ "ლივერპულის" გულშემატკივრები არ ჩერდებოდნენ, "ლივერპულის" გუყლშემატკივრებმა სტვენა და ბოთლების სროლა არ დაუწყეს თავის საყვარელ გუნდს, "ლივერპულის" გულშსემატკივრებმა არ მიატოვეს "ლივერპული" და ცნობილი ქალაქის ცნობილმა გუნდმა ირწმუნა თავისი ძალის, გამოვიდა მეორე ტაიმში და პატარა სასწაული მოახდინა - ჩემპიონთა თასი "ენფილდზე" წაუღო თავის ყველაზე ერთგულ ფანების.

ეს გახლავთ გულშემატკივრობის კლასიკური ნიმუში იმ ქომაგების შესრულებით, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე, წარმოუდგენლად რთულ ვითარებაშიც კი თავისი სათაყვანებელი გუნდის გვერდით რჩებიან. როცა გუნდს ასეთი მხარდაჭერა აქვს, მაშინ ეს გუნდი თავს ზემოთ ახტება, მთელს ენერგიას დატოვებს მოედანზე და თუ მაინც ვერ მოიგებს, თავაწეული გავა მინდვრიდან. ასეთი გულშემატკივარი ძალიან სჭირდება ქართულ ფეხბურთს და საქართველოს ნაკრებს. მერე რა, რომ არ გვყავს ბექჰემი, ზიდანი და რონალდინიო, მერე რა, რომ საქართველოს ნაკრებს მკერდს არ უმშვენებს მსოფლიო ჩემპიონის ოქროს ვარსკვლავი, მერე რა, რომ ფიფას რეიტინგში ასეულს მიღმა ვართ. ეს ყველაფერი ერთად უნდა გამოვასწოროთ.

"ჩვენ ერთი გუნდი ვართ", - ასეთი გახლავთ საქართველოს ეროვნული ნაკრების და მისი გულშემატკივრების ოფიციალური დევიზი, უფრო ზუსტად, შეძახილი, რომელმაც მოედანზე თერთმეტი ფეხბურთელი და მოედნის მიღმა ტრიბუნებზე - ათეულ ათასობით ქომაგი უნდა გააერთიანოს. საქართველოს ნაკრები 16 აგვისტოს, ფარერის კუნძულებთან გასვლით მატჩში ჩაებმება ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში. 2 სექტემბერს კი თბილისში დიდი მოვლენაა - საქართველო-საფრანგეთი. ერთ თვეში, კერძოდ კი 9 ოქტომბერს, იტალიაც გვესტუმრება. ასეთ თამაშებში და სხვა ნებისმიერ მომდევნოშიც, ჩვენს ეროვნულ გუნდს, ჩვენს "ხუთჯვაროსნებს" მხარდაჭერა, ქომაგობა და გულშემატკივრობა სჭირდებათ. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ძალიან კარგ წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი. კინოთეატრ "ამირანის" ფოიეში მოეწყო საქართველოს ნაკრების ოფიციალური გულშემატკივართა კლუბის დაფუძნების ცერემონიალი. ამ ცერემონიალს დაესწრნენ ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი, გერმანელი სპეციალისტი კლაუს ტოპმიოლერი, რომელიც სპეციალურად 2 სექტემბრისთვის საქართველოს ჰიმნს სწავლობს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, საქართველოს კულტურის, სპორტის და ძეგლთა დაცვის მინისტრი გოკა გაბაშვილი, თბილისის მერი გიგი უგულავა და რაღა ბევრი გავაგრძელო - რიგითი ქართველები და თბილისელები. ამ დღეებში ძალიან ბევრი ფანკლუბი ვნახეთ. ზოგი არგენტინას გულშემატკივრობს, ზოგი - უკრაინას, ზოგის სიმპათიები მთლად კოტ დივუარის მხარესაა. მაგრამ, მოდით, ქართველებმა ყველას თავი გავანებოთ და ქართველებს, ჩვენს ნაკრებს, თერთმეტ რჩეულ ქართველს ვუქომაგოთ. მერწმუნეთ, როცა ეს ბიჭები მოედანზე არიან, ისინი იქ ჩემ მაგივრად, თქვენ მაგივრად, მთელი საქართველოს ღირსების დასაცავად თამაშობენ და ეს ღირსება ჩვენი საქმეა. ყველა ქვეყანაში გულშემატკივარი მეთორმეტე ფეხბურთელის ფუნქციას ასრულებს. მოდით, ქართველებო, ჩვენც გავხდეთ მეთორმეტე ფეხბურთელი.



გულშემატკივრობაც ასეთი უნდა.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

# ზეპ ბლატერი: „პრობლემები? - რას იზამთ, ეს ხომ ფეხბურთია!„

მარი ჭავახიშვილი

მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროს პირველი პირი გასულ უქმეებზე პირველად წარსდგა მასმედიის წინაშე. ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა გერმანიის დედაქალაქ ბერლინში საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც ყველა ქვეყნის ჟურნალისტები იყვნენ მიწვეულნი.

მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჰერ ბლატერს მისთვის უსიამო ბევრი შეკითხვა დაუსვეს და თითქმის სანანებლადაც გაუხადეს საქმე, რომ ჟურნალისტებთან შეხვედრა გადაწყვიტა.

- მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრით, - დელიკატური მისალმებით დაიწყო გამოსვლა ზეპ ბლატერმა და დარბაზში მსხდომთ სამ ენაზე - ფრანგულად, გერმანულად და ინგლისურად - მიესალმა.

- რა მეთქმის, ტურნირის მიმდინარეობით კმაყოფილი ვარ, - განაგრძობს ბლატერი, - ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება, რომ არსებობის ისტორიაში ეს საუკეთესოდ ორგანიზებული მსოფლიოს ჩემპიონატია. ქვეყანაში კომფორტულად ჩამოსვლას ხელს კარგად განვითარებული სატრანსპორტო სისტემაც უწყობს, რომლის ანალოგი არსად მინახავს. რა თქმა უნდა, მცირე ჩავარდნები არის, მაგრამ ისეთი უმნიშვნელო, რომ მასზე საუბარიც არ ღირს. ასეთ შემთხვევებში მხოლოდ ერთს ვამბობს ხოლმე - რა გიკვირთ, ეს ხომ ფეხბურთია?1

**- ორგანიზაციულ ჩავარდნებს გულისხმობთ?**

- არა მხოლოდ. პრეტენზიები უშუალოდ ტურნირის მონაწილეთა მიმართაც მაქვს. სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანი ყოველთვის არ იცავს პატიოსანი თამაშის პრინციპებს. იტალიელმა დე როსიმ, ამერიკელ ფეხბურთელს სახეში ისეთი დარტყმა მიაყენა, რომელსაც ღირსეული ფეხბურთელი არ უნდა კადრულობდეს. მსგავსი ფაქტები დაუშვებელია! რამდენადაც ვიცი, როსის მხოლოდ ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა, თუმცა ჩემი აზრით, უფრო მკაცრს სასჯელს იმსახურებდა.

წესების უხეში დამრღვევები ფიფაშიც გვხვდებიან. როგორც იცით, ბოტსვანას წარმომადგენელი სამშობლოში იქნა დეპორტირებული ბილეთების სპეკულაციისთვის. საბედნიეროდ, ეს სამარცხვინო ფაქტი დროზე აღვკვეთეთ.

**- არ გგონიათ, რომ დროა, ფეხბურთში სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია მოხდეს - მაგალითად, სადავო მომენტების დროს მოედანზე ვიდეოგამეორებები იქნეს გამოყენებული?**

- ნოვატორული ტექნოლოგიების ფეხბურთში დანერგვას მუდმივად მხარს ვუჭერ. ამჟამად ორი მნიშვნელოვანი სისტემის ტესტირებაზე ვმუშაობთ. პირველი, მიკროჩიპიანი ბურთის დანერგვაა და მეორე - მსაჯების მიკროკამერებით მუშაობა. ორივე სისტემა მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გამოვიყენეთ, თუმცა, რომელ მათგანს დავნერგავთ საბოლოოდ, ამას დრო გვიჩვენებს. თქვენ მიერ ნახსენები რევოლუციის მოხდენას ჩემ თავზე ვერ ავიღებ, მაგრამ გარანტიას გაძლევთ, რომ 2014 წლის მსოფლიოს პირველობა მაღალტექნოლოგიურ დონეზე ჩატარდება.

**- მატჩისშემდგომ პენალტები კვლავ ძალაში დარჩება?**

- ასე კატეგორიულად ამ საკითხის დასმა არასწორად მიმაჩნია. თავადაც კარგად მესმის, რომ პენალტების სერია - ლატარიაა, ხშირად წამგებიანიც. ვიცი, რომ ეს ძალზედ ცუდი პროცედურაა, რადგან პენალტების დროს საფეხბურთო ოსტატობა და ინდივიდუალიზმი იკარგება. ფეხბურთელი ერთს ურტყამს და წერტილიც იქ ისმება. წაგებულისთვის კი ეს დაუვიწყარი ტრაგედიაა! რთულია იმის გათვისება, რომ 90 წუთი მეტოქეს არაფერს უთმობდი, მაგრამ ბოლოს თასი დაუთმე.

**- გულახდილად გვითხარით, წლევანდელ მუნდიალზე რომელი გუნდები გესიმპათიურებათ?**

- ოცდათორმეტივე! ჩამოგითვალოთო? - მე ფიფას პრეზიდენტი ვარ და ჩვენი ოჯახის თითოეული წევრის მიმართ ერთნაირი სიმპათია მაქვს. ერთი ეგ არის, აფრიკულ გუნდებზე დამწყდა უფრო მეტად გული. აფრიკაზე დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო...

**- ტოგოს ნაკრების მიმართ რა დამოკიდებულება გაქვთ?**

- არცთუ დადებითი. ლამის იყო და ტოგოელებმა ეს დაუვიწყარი საფეხურთო ზეიმი გაგვიუფერულეს თავიანთი პრობლემებით. რამდენადაც მე ვიცი, ტოგოს ნაკრების ფეხბურთელები ბოიკოტით ემუქრებოდნენ თავიანთ ხელმძღვანელობას, თუ მათ მიერ მოთხოვნილ თანხას არ მიიღებდნენ. ტოგოს ქრონიკულად არასოდეს ჰყოფნის ფული. თავის მხრივ, ფიფა ცდილობს მაქსიმალური დახმარება გაუწიოს აფრიკულ ქვეყნებს, თუმცა პრობლემები მაინც რჩება.

**- საერთო ჯამში, შავი კონტინენტის წარმომადგენლებმა გერმანიაში თავი ვერაფრით დაგვამახსოვრეს...**

- ვერ დაგეთანხმებით. განამ რომ ბრაზილიას მოუგოს და მერე ფინალამდეც გააღწიოს, მაშინ რაღას იტყვით? კოტ`დივუარის უიღბლო ნაკრები ოთხი წლის შემდეგ გუნდი-აღმოჩენა იქნება. ერთადერთი, რაშიც აფრიკელებს ვადანაშაულებ ისაა, რომ მათ არ იციან, რას ნიშნავს ცივი გონებით თამაში.

**- მაინცადამაინც არც აზიელები ბრწყინავენ...**

- გეთანხმებით. სამწუხაროდ, ამ წლების განმავლობაში პროგრესი ვერ განიცადეს იაპონიამ, ირანმა და საუდის არაბეთმა.

**- იქნებ, ჯობს აფრიკისა და აზიის წარმომადგენელთა რიცხვი ევროპისა და ოკეანეთის ქვეყნების სასარგებლოდ შეამციროთ?**

- არავითარ შემთხვევაში! ქვოტებთან დაკავშირებით არანაირი ცვლილება არ იგეგმება. ერთადერთი ის ცვლილება იქნება, რომ ავსტრალია აზიის მონაწილე გუნდთა შორის გაერთიანდება.

**- თქვენი აზრით, ვინ გახდება ჩემპიონი?**

- პროგნოზებს არ ვაკეთებ.